პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 ნოემბერი ხუთშაბათი 2009
№279 (12958) ფასი 60 თეთრი



## დათო კი, მაგრამ... ლადოც?

ლეგიონი » გვერდი 4

# ჩანწყობილია!

## უეფამ ხუთი კლუბი და შვიდი მატჩი უკვე დაასახელა

» გვერდი 8

ჩემპიონთა ლიგა

# იუვემ ბაიერნი გამოთხარა

ბორდო-იუვენტუსი 2:0



## ბოლო ტურის მთავარი დრამა იუვენტუსი თუ ბაიერნი?

ბუმინდელი მატჩები » გვერდი 6

კალათბურთი



## კარგი დასაწყისის ცუდი დასასრული

ლეგიონერები » გვერდი 12

სუმო



## მონღოლი ვეფხვის დამარცხება

» გვერდი 11

## მანჩესტერისა და რუსეთის ქართველები ნაკრებში

დევდარიანის ახალი სამიზნეები » გვერდი 2



MS
MS
მყარი
MS
MS
MS
MS
უვნებელი
MS
დინამიური
MS
ხელმისაწვდომი
MS
MS
ვერძენ!!!
MS
MS

U 17

# მანჩესტერის და რუსეთის ქართველები ნაკრებში მოდიან

## დევდარიანმა ახლები გამოიძახა

**გიორგი დევდარიანი** სელექციას აგრძელებს და ელიტრაუნდის (რომელიც მომავალ წელს გაიმართება) დაწყებამდე, ფეხბურთელებს არა მხოლოდ საქართველოში, უცხოეთშიც ეძებს. 13 დეკემბერს 17-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი მორიგ შეკრებას დაიწყებს. როგორც შევიტყვეთ, დევდარიანმა „მანჩესტერ იუნაიტედის" სკოლის ფეხბურთელი **ბექა ქაჯაია** და მოსკოვის „ტრუდოვიე რეზერვის" თავდამსხმელი **რომეო გელენიძე** მიიწვია.

ზოგჯერ ისმის კითხვა - რატომ ეყრდნობა დევდარიანი უმთავრესად „საბურთალოს" ფეხბურთელებს. რეალურად კი, 17-წლამდელთა ნაკრებში სხვა სკოლის წარმომადგენლებიც არიან. თუმცა ერთი რომელიმე კლუბის საბაზოდ აღება ახალი პრაქტიკა როდია, ამის უამრავი მაგალითი არსებობს და კონკრეტული მომენტითაა განპირობებული. მაგალითად, **ვალერი ლობანოვსკი** საბჭოთა კავშირის ნაკრებში უმეტესწილად კიევის დინამოელებს იწვევდა, **კონსტანტინ ბესკოვი** სპარტაკელებს და ასე შემდეგ. ევროპულ მაგალითებს აღარ მოვყვებით...

მოდით, ასე ვთქვათ - მწვრთნელის საუკეთესო შემფასებელი ტაბლოა. დევდარიანის მაგალითზე კი ეს ტაბლო ჯერჯერობით პოზიტივზე მიუთითებს. მრავალფეროვნება კარგია თუნდაც სუფრაზე, თორემ ნაკრებში საუკეთესოები უნდა შეკრიბო, თუნდაც, ყველა ერთ კლუბში გამოდიოდეს...

დავუბრუნდეთ ახალწვეულებს. „მანჩესტერ იუნაიტედის" სკოლის ფეხბურთელ ბექა ქაჯაიას დევდარიანი 17-წლამდელებში გასასინჯად ადრეც იწვევდა, მაგრამ შესარჩევი ციკლის დაწყებამდე მისი ჩამოყვანა ვერ მოახერხა. შეგახსენებთ, რომ „ლელო" ქაჯაიაზე უკვე წერდა: 16 წლის ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედის" დუბაის საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს, მას ხან მარცხენა მცველად, ხან ნახევარმცველად ათამაშებენ. 15 წელია მისი ოჯახი დუბაიში ცხოვრობს. იქაურ სკოლაში ბექა 8 წლის წინ გადავიდა, მანამდე თბილისში, „ირაოზე" დადიოდა, ხოლო უკვე მეოთხე წელია, რაც ბურთს „მანჩესტერის" მომავალთან ერთად აგორებს. დევდარიანის დაინტერესებაც ბუნებრივია. ხოლო რაც შეეხება საქართველოს ნაკრების წინა შეკრებაზე ჩამოუსვლელობას, მიზეზი ის არის, რომ ბექა დუბაის ინგლისურ კოლეჯში სწავლობს, საიდანაც მისი გათავისუფლება ვერ მოხერხდა.

ახლა კი ბექამ ეტყობა „ფანჯარა" გამონახა (თუ „შატალოზე" წამოვიდა) და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების პირველივე შეკრებაზე გამოცხადდება. ეს თავად გვითხრა, როცა დუბაიში დავუკავშირდით.

*„დევდარიანმა თავად დამირეკა, რამაც ძალიან გამახარა. პირველივე შეკრებისთვის თბილისში ვიქნები",* - ამბობს ქაჯაია.

თავის დროზე დევდარიანი მოსკოვის „ტრუდოვიე რეზერვის" ქართველ ბომბარდირ **რომეო გელენიძის** ჩამოყვანითაც იყო დაინტერესებული. მან „რუსთავი 2"-ის გადაცემა „საფეხბურთო ღამეში" თქვა კიდეც, რომ გელენიძის თაობაზე ინფორმაცია არ მიაწოდეს, ყველანაირად ხელი შეუშალეს, ბოლოს კი უთხრეს - ეგ ბიჭი რუსეთის მოქალაქეა და საქართველოს ნაკრებში მის მიწვევაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.



გიორგი დევდარიანი

დევდარიანი სურვილს ბოლომდე მიჰყვა და შეიძლება ითქვას, გელენიძე რუსებს ხელიდან გამოგლიჯა. ფაქტია, ამ ბიჭს რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებში აქვს ნათამაშები და „ტრუდოვიე რეზერვი" არ უშვებდა, მაგრამ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის დაინტერესებამ და თავად ბავშვის სურვილმა შედეგი გამოიღო. მან არ დაივიწყა, რომელი ქვეყნის შვილია. მეტიც, თავად დაუკავშირდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და... რა დასამალია, ამაში დახმარება „ლელოსაც" სთხოვა.

*„უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოში ჩამოვდივარ და 13 დეკემბერს 17-წლამდელთა შეკრებაზე გამოვცხადდები. გიორგი დევდარიანი მელაპარაკა და მითხრა, რომ ჩემი გასინჯვა სურს. რომც არ დამტოვოს და საელიტრაუნდო განაცხადშიც ვერ მოვხვდე, საქართველოს სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს მაინც არ ვინანებ. ვიცი, რომ ახლა ნაკრებს მნიშვნელოვანი შეკრება ეწყება. რაც მთავარია, კლუბთან ურთიერთობა გავარკვიე. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა, რადგან დაინახეს, რომ გადაწყვეტილებას არ შევცვლიდი - რადგან ასე გინდა, წადიო",* - გვითხრა გელენიძემ.

რაც შეეხება მის მომავალს, ამ საკითხში ჯერ კიდევ გაურკვევლობაა: *„ძველ კლუბთან ურთიერთობა დავამთავრე და ახალი წლიდან სხვაგან გადავალ, მაგრამ სად, ეს ჯერ არ დამიზუსტებია. უფრო რეალური და სასურველი ვარიანტი კიევის „დინამოა", სადაც ბევრი მეგობარი მყავს და, რაც მთავარია, მენეჯერი მპირდება, რომ გადამიყვანს. ახალ წელს მოსკოვში დავბრუნდები და დავილაპარაკებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

პერსპექტივა

# სპარტაკი ერთ კვირაში იტყვის...

## ჭაბუკთა ოთხეული მოსკოვიდან დაბრუნდა

17-წლამდელთა ნაკრებისა და საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს" ოთხი ფეხბურთელით (კაპიტანი და მცველი **აჩიკო ტვილდიანი**, ნახევარმცველები **ვაკო ყაზაიშვილი, ლევან კოშაძე** და თავდამსხმელი **დათი ხოჭოლავა**) მოსკოვის „სპარტაკი" პალანგის ტურნირის დროს დაინტერესდა. ამის მერე მოსკოველებმა ქართულ კლუბთან მოლაპარაკებები დაიწყეს და შეპირებაც მიიღეს, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შემდეგ ხსენებულ კვარტეტს რუსეთის დედაქალაქში სინჯებზე გაუშვებდნენ.

ასეც მოხდა - უკვე ერთი კვირაა, ბიჭები მოსკოვში იმყოფებიან. „სპარტაკში" მათი ჩარიცხვის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. „საბურთალოს" გენერალურ დირექტორ **კახა ჭუმბურიძეს**, რომელიც ოთხეულს ახლდა, სწორედ მოსკოვში დავუკავშირდით:

*„დღეს მოსკოველთა ასაკობრივი გუნდის ორმხრივი შეხვედრა გაიმართა, სადაც ჩვენი ბიჭები თავიდან პირველ გუნდში დააყენეს. ამ გუნდმა 3:1 გაიმარჯვა, ერთი გოლი ხოჭოლავამ გაიტანა. მეორე ტაიმში ორი მათგანი მეორე გუნდში გადაიყვანეს... საბოლოოდ, ვინ ჩაირიცხება „სპარტაკში" და ვინ - არა, უახლოეს დღეებში გადაწყდება. თამაშს „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი ვალერი კარპინი და კლუბის სხვა სელექციონერები ესწრებოდნენ. მათ საბოლოო პასუხისთვის ერთი კვირა მოითხოვეს".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# პირველი გოლი სეზონში

„ბარსელონას" პირველ გუნდში მოულოდნელი გამოჩენის და „ბოლივარის" კარში გატანილი გოლის შემდეგ 16 წლის **გიორგი ჭანტურია** „ბარსელონას" ჟუვენილ B გუნდს დაუბრუნდა. ესპანეთის ეროვნულ ახალგაზრდულ ლიგაში „ბარსელონამ" სტუმრად 2:0 მოუგო „ლეიდას". გიორგიმ ამ მატჩის 55-ე წუთზე გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში. ჟუვენილ B ეროვნული ახალგაზრდული ლიგის ერთპიროვნული ლიდერია. ეს ჭანტურიას პირველი ოფიციალური გოლია ამ სეზონში.

**რატი ალექსიძის** „დიორი ეტომ" უნგრეთის თასზე შინ 0:1 წააგო „ჰონვედთან" და გათამაშებას დაემშვიდობა. რატიმ „ჰონვედთან" 90 წუთი ითამაშა. აზერბაიჯანში პირველი ტურიდან გადმოდებულ მატჩში „ბაქი" „ხაზარს" ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. **გიორგი ადამიამ** 88-ე წუთამდე ითამაშა, **ამირან მუჯირი** კვლავ სათადარიგო იყო. სხვათა შორის, მატჩს ლენქორანში 8 ათასი მაყურებელი დაესწრო. „ბაქი" 17 ქულით მე-7 ადგილზეა.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში „შტურმს" დაუბრუნდა **ილია კანდელაკი**, რომელმაც ვენაში „რაპიდის" წინააღმდეგ 90 წუთი ითამაშა. „შტურმი" „რაპიდთან" 1:2 დამარცხდა და 27 ქულით კვლავ მე-4 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველები უცხოურ პრესაში



ჯანო ანანიძე

# ჯანო ანანიძე, მარგალიტი ტალანტებს შორის

**ჯანო ანანიძის** გვარ-სახელი რუსეთის ფარგლებს კარგა ხანია გასცდა. ქართველი ვუნდერკინდი ევროპის გრანდკლუბების ინტერესთა სფეროში რომ მოექცა, ამის თაობაზე უკვე ვწერდით. პოპულარულ „ელ მუნდო დეპორტივოს" ვებგვერდზე წავაწყდით **ფრანსესკ აგილარის** მასალას, რომელიც ახალბელა ვარსკვლავებზეა და წერილის ერთი ნაწილი სწორედ ანანიძეს ეხება...

*„პოსტსაბჭოთა სივრციდან ქართული ფეხბურთი მდიდარი წარსულით ამაყობს. კავკასიის ამ პატარა ქვეყანაში ფეხბურთი დღესაც საკმაოდ პოპულარულია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღესდღეობით ქართველები შედეგებით თავს ვერ იწონებენ. მიუხედავად ამისა, საქართველო ტალანტების ქვეყნად რჩება და ამიტომაც არის, რომ ახალგაზრდა ქართველი მოთამაშეები ჭაბუკობის ასაკშივე მიჰყავთ უცხოურ კლუბებს. ლევან ყენია, ირაკლი შეყილაძე, ნიკა ძალამიძე და სხვა ტალანტები ამის ნათელი მაგალითია. საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა გუნდში გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყო და სწორედ მაშინ წარმოჩნდნენ ყენია, მჭედლიძე და მაკარიძე. ამ თაობის რჩეულები ცნობილი ქართველი ფეხბურთელების - კახა კალაძის, შოთა არველაძის, ლევან კობიაშვილის, გიორგი დემეტრაძისა და სხვათა მხარდამხარ თამაშობდნენ. დიდი პერსპექტივის მქონე ახალგაზრდა ქართველ ლეგიონერებს შორის ჯანო ანანიძე უდავოდ გამორჩეულია. ალბათ გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის მარგალიტია ტალანტებს შორის. ანანიძის გამორჩეულობას ისიც ადასტურებს, რომ 17 წლის ვუნდერკინდმა უკვე საქართველოს ოთხ ასაკობრივ ნაკრებში მოასწრო ასპარეზობა. 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების შემდეგ, 21-წლამდელთა და თვით ეროვნული გუნდის მაისურაც მოირგო. თუმცა ჯერჯერობით ხმაურიანი რეკორდი რუსულ პრემიერლიგაში დაამყარა, სადაც პატარა ქართველი ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელიც გოლით გამოირჩა. მოსკოვის „სპარტაკამდე" ჯანო კიევის „დინამოში" ირიცხებოდა, მაგრამ მისი ტალანტი იქ შეუმჩნეველი დარჩა და აგენტმა ბედის საძიებლად რუსეთში ჩაიყვანა. ის ნდობასა და შანსს ეძებდა და ტყუილადაც არ გარჯილა. „სპარტაკის" თავკაცის პოსტზე მიკაელ ლაუდრუპი ვალერი კარპინმა შეცვალა და ჯანოც მალევე წარმოჩნდა მოსკოველთა გუნდის დუბლებში. გამორჩეული თამაშით, რომელიც ტექნიკურობის გარდა, სწრაფ აზროვნებაზეა დამყარებული, ის მალევე მოექცა ყურადღების ცენტრში და 1 აგვისტოს „სპარტაკის" მთავარ გუნდში დებიუტიც ჰქონდა. აშკარაა, რომ ანანიძემ რუსეთის პრემიერლიგაში გამოცდა წარმატებით ჩააბარა. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დუბლების შემდეგ პრემიერლიგაში გადასვლისას მას ფსიქოლოგიური ბარიერი არ უგრძვნია. რუსეთისგან განსხვავებით, მას ეროვნულ გუნდში მრისხანე მეტოქესთან ჰქონდა დებიუტი - ექტორ კუპერმა ანანიძე მსოფლიო ჩემპიონ იტალიასთან თბილისურ მატჩში მთელი 58 წუთის განმავლობაში ათამაშა. როგორც ჩანს, ის რუსეთში დიდხანს არ დარჩება".*

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



## ალექსანდრე კვახაძე

# „ვიტ ჯორჯიაში" შეუცვლელი არავინაა

### კვახაძეს წასვლა ზამთარში სურს

„ზესტაფონი"-„ვიტ ჯორჯიას" მატჩის მიწურულს სტუმართა კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე გააძევეს. არადა, მან შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა. ლექსომ ამ თამაშში გოლიც გაიტანა, მაგრამ თავისი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. კვახაძე „ვიტ ჯორჯიას" ორ პრინციპულ მატჩში დააკლდება - ეროვნული ჩემპიონატის მომავალ ტურში რუსთავის „ოლიმპთან" და საქართველოს თასის განმეორებით მეოთხედფინალურ შეხვედრაში „ზესტაფონთან".

მასთან საუბარი „ზესტაფონთან" განვლილი მატჩით დავიწყეთ და სხვა თემებსაც შევეხეთ.

**- „ვიტ ჯორჯიას" ზესტაფონში დამარცხება რამ განაპირობა?**

- პირველ რიგში, იმას აღვნიშნავ, რომ „ზესტაფონთან" ძალიან დასანანი მარცხი განვიცადეთ. აბსოლუტურად თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, რომლის ლოგიკური შედეგიც ფრე იქნებოდა. სამწუხაროდ, ჩემმა გოლმა „ვიტ ჯორჯიას" ვერ უშველა. არ გაგვიმართლა, გამართლების გარეშე კი ისეთ ძლიერ მეტოქეს, როგორიც „ზესტაფონია", ვერ დაამარცხებ. მაგალითად, წინა ჩემპიონატში ამ გუნდს სამიდან სამივე მატჩი მოვუგეთ, წელს კი იღბალი მეტოქის მხარეზეა.

**- „ზესტაფონთან" განცდილი ორი მარცხი „ვიტ ჯორჯიას" დაღმასვლას ხომ არ მოასწავებს?**

- არავითარ შემთხვევაში. „ვიტ ჯორჯიაში" ყველაფერი რიგზეა, ახალი მწვრთნელის მეთოდებსაც ბოლომდე ავუღეთ ალღო და მალე სატურნირო მდგომარეობას საგრძნობლად გავიუმჯობესებთ.

**- უიღბლობა ახსენეთ და ზესტაფონში კონკრეტულად რომელ ეპიზოდებში არ გაგიმართლათ?**

- ვერ გამოვიყენეთ რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მომენტი, მივიღეთ სწრაფი გოლი, რამაც საქმე საგრძნობლად გაგვირთულა. თანაც, ჩვენს კარში პირველი გოლი რიკოშეტის შედეგად გავიდა...

**- თქვენი გაძევების ეპიზოდს როგორ გაიხსენებთ?**

- მატჩის მიწურულს ყვითელი ბარათი მივიღე, რაც ავტომატურად ნიშნავდა ჩემს დისკვალიფიკაციას რუსთავის „ოლიმპთან" მატჩში. ამის გამო ნერვები ვერ მოვთოკე და მსაჯმა წითელი ბარათიც მიჩვენა. ამას ბუნებრივია, ძალიან ვნანობ. ახლა არა მხოლოდ „ოლიმპთან" არ მაქვს თამაშის უფლება, არამედ „ზესტაფონთან" სათასო დაპირისპირებასაც გამოვტოვებ.

**- სანამ „ოლიმპთან" მოახლოებულ მატჩზე გკითხავთ, საინტერესოა, დაგრჩათ თუ არა თასის ნახევარფინალში გასვლის იმედი.**

- ყველას კარგად გვესმის, რომ „ზესტაფონთან" სამბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია და ნახევარფინალში გასასვლელად ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- პარასკევს კი ჩემპიონატის მორიგ ტურში „ოლიმპთან" გელით უმნიშვნელოვანესი მატჩი...**

- ამ თამაშის მნიშვნელობა თითოეულ ჩვენგანს კარგად აქვს გაცნობიერებული. მოქმედი ჩემპიონები ვართ და ტიტულის შენარჩუნების არცთუ ურიგო შანსი გვაქვს. „ოლიმპი" ერთპიროვნული ლიდერია, რომელიც უკვე შვიდი ქულით გვისწრებს. შესაბამისად, რეალური საჩემპიონო შანსის შესანარჩუნებლად მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება გვაძლევს ხელს.

**- „ვიტ ჯორჯიასთვის" კაპიტნის არყოფნა ალბათ, დიდი დანაკლისი იქნება.**

- ჩვენს გუნდში არც ერთი ფეხბურთელი არაა შეუცვლელი. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები ჩემს არყოფნაშიც შეძლებენ ღირსეულად თამაშს. თანაც, „ოლიმპთან" შეხვედრისთვის მხოლოდ მე კი არა, კვარაცხელია და ვასაძეც დისკვალიფიცირებულები არიან. შესაძლოა, ტრავმის გამოც დაგვაკლდნენ ფეხბურთელები, მაგრამ საკადრო პრობლემების მიუხედავად, მჯერა, რომ „ვიტ ჯორჯია" „ოლიმპს" ბევრ თავსატეხს გაუჩენს და გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**- „ოლიმპის" თამაშისთვის თვალის დევნებას თუ ახერხებთ?**

- მისი რამდენიმე მატჩი ნანახი მაქვს და მართლაც ძლიერი გუნდია, რომელსაც შემადგენლობაც გამორჩეული ჰყავს და მწვრთნელიც. „ოლიმპის" ლიდერობა შემთხვევითი ნამდვილად არაა, მაგრამ ჩვენ ჩვენი კოზირები გვაქვს, თანაც, საკუთარ მოედანზე ვითამაშებთ და გამარჯვებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**- „ოლიმპთან" პირველ წრეში ჩატარებულ მატჩს როგორ გაიხსენებთ?**

- ძალიან დაძაბული თამაში იყო, ლოგიკურად დასრულდა უგოლო ფრით. ვფიქრობ, ახლაც დაახლოებით თანაბარი მატჩი იქნება და ის გაიმარჯვებს, ვინც უშეცდომოდ ითამაშებს და საკუთარ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

**- როგორც ვიცით, დიდია იმის ალბათობა, რომ ზამთარში „ვიტ ჯორჯია" დატოვოთ.**

- დიახ, ეს ჩემი სურვილიცაა და „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობისაც, რომელიც ახალი კლუბის მოძებნაში აქტიურად მეხმარება. სავარაუდოდ, ადგილსამყოფელს ამ ზამთარსვე შევიცვლი, რადგან ზაფხულში „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი მეწურება და ჩემს სანაცვლოდ თანხა რომ აიღოს, „ვიტ ჯორჯიასთვის" უმჯობესია, კარიერა საზღვარგარეთ ახლავე გავაგრძელო.

**ლევან ჟანეზაშვილი**

ახალი თაობა

## გიორგი ბახტაძე

# საფეხბურთო მენტალიტეტში პრობლემები გვაქვს

### ევროპაში მეკარეებს ხელისა და ფეხის მირტყმასაც ასწავლიანო...

უნგრული „დიორი ეტოს" მეკარე გიორგი ბახტაძე ოთარ გაბელიამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე მიიწვია. გაბელიას ინტერესი გასაგები იყო - გიორგიმ უკვე მოასწრო ძალიან საინტერესო გზის გავლა. ბოლო ორ წელიწადში მან ბერძნულ გრანდ „ოლიმპიაკოსთან" კონტრაქტის გაფორმებაც მოახერხა და... იქიდან წამოსვლაც. შემდეგ იყო ასევე ბერძნული „პანსერაიკოსი", ოღონდ ქვედა დივიზიონიდან, რის შემდეგაც, უცნობი ფეხბურთელის კვალობაზე, იოლად მოხვდა „დიორი ეტოში". ქართველი მეკარეები უცხოეთში კანტიკუნტად მიდიან და როცა უცნობი გოლკიპერით იქ ასე ინტერესდებიან, თავისთავად აღსანიშნავი ფაქტია...

**- გიორგი, „ოლიმპიაკოსსა" და „დიორი ეტოში" ჩარიცხვის მიუხედავად, საქართველოში არც გიცნობენ. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, ასე იოლად უცხოეთში დამკვიდრება როგორ მოახერხე?**

- „ავაზაში" გავიზარდე. გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბდა კლუბი „ამირანი", რომელიც რეგიონალლიგაში გამოდიოდა. ვიყავი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი. საბერძნეთში ამის შემდეგ წავედი და „ოლიმპიაკოსთან" პირობითი კონტრაქტი გავაფორმე. თუმცა იმის გამო, რომ არაევროკავშირელი გახლდით, ლეგიონერებზე დაწესებულმა ლიმიტმა ხელი შემიშალა - არ მათამაშებდნენ და წავედი „პანსერაიკოსში". იქაც იმავე პრობლემას წავაწყდი და ასე აღმოვჩნდი „დიორი ეტოში".

**- ამ ყველაფერს ისე ჰყვები, თითქოს სამოგზაუროდ ყოფილიყავი წასული. ასე იოლად გადასვლა-გადმოსვლას როგორ ახერხებდი?**

- მენეჯერებში გამიმართლა, „არველაძეების ფონდმა" და გოგა გახოკიძემ „დიორი ეტოში" პრეზიდენტის ჩვენებურ მრჩეველ ლაშა ოდილაძეს ჩემზე ინფორმაცია მიაწოდეს. უნგრელებმა გამსინჯეს და 2-წლიანი კონტრაქტიც გამიფორმეს.

**- როგორც ვიცით, დუბლებში თამაშობ...**

- ძირითად გუნდში ვარ, მაგრამ დუბლებში ვთამაშობ, ეს გუნდი კი მეორე ლიგის ჩემპიონატში მონაწილეობს.

**- „დიორი ეტოსა" და „ოლიმპიაკოსს" შორის დიდი განსხვავებაა?**

- რა თქმა უნდა, ბერძნებს უფრო ძლიერი და ამბიციური კლუბი ჰყავთ, მაგრამ პირობებში არანაირი განსხვავება არ არის.

**- კარგ პირობებში ვარჯიში კი ნამდვილად წაგადგებოდა...**

- ძალიან მომწონს მეკარეთა უნგრული სკოლა. მოითხოვენ იტალიურ ტექნიკას, ბურთის ხელით სხვანაირად დაჭერას, ფეხით თამაშის განსხვავებულ მანერას, კარიდან გამოსვლებს და ასე შემდეგ. აქამდე, ბურთის მოლოდინში ხელები დაბლა მქონდა, ახლა ვიცი, რომ წინ უნდა გავწიო... ანუ ისეთ რაღაცებს მასწავლიან, რაც აქამდე არც გამეგო, სწავლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შემიძლია ვთქვა, რომ მეკარეობა თავიდან მასწავლეს.

**- თუმცა 20 წლის ასაკში ყველაფრის თავიდან სწავლა ძალიან რთულია...**

- რა თქმა უნდა, რთულია. თავიდან მეც გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა საკმაოდ კარგად ავუღე ალღო. იტალიური სკოლა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და მსურს, მათი სტილი რაც შეიძლება კარგად ავითვისო. ჩემი აზრით, საუკეთესო მეკარეები გერმანიაში იზრდებიან, თუმცა ტექნიკით იტალიელები გამოირჩევიან. ხელით თამაშის ტექნიკას, გამოსვლებს, კარის დაფარვას, თამაშის კარნახს და სხვა კომპონენტებს ვგულისხმობ. სხვათა შორის, საიდუმლოს გაგიმხელთ - თამაშის დროს მეტოქის ფარულად განეიტრალებასაც გვასწავლიან.

**- რას გულისხმობ? მაგალითად, როგორ უნდა მიარტყა თავდამსხმელს მხარი ან ფეხი ისე, რომ მსაჯებმა არაფერი დაინახონ?**

- თუნდაც ამას. სამწუხაროდ, ესეც თანამედროვე ფეხბურთის ელემენტია და ვერსად გავექცევით. ამას კი არა, ყველაფერს მასწავლიან, რაც თამაშსა და მეკარეობას უკავშირდება. როცა ფიზიკურად ძლიერი ხარ, მეტოქის ფორვარდს ხელი ან მხარი რომ გაჰკრა, ეს წესის დარღვევად არ ითვლება.

**- საბერძნეთში არ გითამაშია?**

- მხოლოდ ამხანაგურები და დუბლებში. პრინციპში, შანსი არც მომცეს და ამიტომაც წამოვედი.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევის მიუხედავად, ჯერ თამაშის საშუალება არ მოგცემია...**

- ოთარ გაბელიას ამ ნდობისა და ყურადღებისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი. თუ უკეთეს ფორმაში ვიქნები, ალბათ, თამაშსაც დავიმსახურებ. მწვრთნელის გადასაწყვეტი იყო, ვინ მოხვდებოდა განაცხადში და ვინ - არა. ირლანდია-შვეიცარიისთვისაც იმ დროისთვის საუკეთესო მეკარეები შეარჩია. ვიმეორებ, ჩემთვის გამოძახებაც სასიხარულო აღმოჩნდა.

**- „ოლიმპიაკოსის" მეკარე იყავი, მაგრამ მაშინ ნაკრებში არ გიძახებდნენ...**

- ჰოდა, ამიტომაც გამახარა გაბელიას ყურადღებამ. სულ იმას ვფიქრობდი, გამომიძახებენ თუ არა-მეთქი. რაც არ უნდა იყოს, ევროპულ კლუბში, მით უფრო „ოლიმპიაკოსში" ჩარიცხვა სულ სხვა იმედებს ბადებს, ჩემთვის კი, რაც არ უნდა კარგი საკლუბო კარიერა მქონდეს, ნაკრებში მოხვედრა უმთავრესი სტიმული და სურვილია. ეტყობა, გაბელია საინტერესო ფეხბურთელებს ყველგან ეძებს.

**- ბოლო ორი წელია, ევროპაში მოგზაურობ, თამაშობ და ვარჯიშობ. დაიხურე უკვე ევროპული ქუდი თუ ჯერ ბოლომდე ვერ გაშინაურდი?**

- ქართული ხასიათი ბოლომდე არ შემეცვლება. ისე, ეს ჩვენი ხასიათი შორიდან უფრო კარგად ჩანს - ძალიან ემოციურები ვართ, ბევრს ვნერვიულობთ, თუნდაც ვარჯიშის დროს, ვერ ვაკონტროლებთ საკუთარ თავს, მსაჯებს ხშირად ვეკამათებით... არ დავმალავ, ეს იყო ერთ-ერთი პრობლემაც, რის გამოც კლუბში ძალიან დიდი დაბრკოლება შემექმნა. შენიშვნასაც ვერ ვიტანდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ ფეხბურთში ასე არაფერი გამოვიდოდა. მოედანზე თავი უნდა მოთოკო და რასაც მწვრთნელი გეუბნება, ის უნდა გააკეთო. დისციპლინას უკვე სხვანაირად ვუყურებ.

**- ქართული ხასიათის ნაკლი აღნიშნე. ევროპაში წასულები ამას უფრო კარგად ამჩნევთ? მაინც რაშია პრობლემა?**



- თავიდან, „დიორი ეტოში" ხუთი ქართველი ჩავედით - რატი ალექსიძე, გიორგი განუგრავა, თორნიკე შარაშენიძე, დათო ლორთქიფანიძე და მე. ვფიქრობ, ჩვენთვის დამახასიათებელი მენტალური ნაკლი უმრავლესობას გვეტყობოდა. ცხოვრებისეულ მენტალიტეტზე არაფერს ვიტყვი, საფეხბურთოში კი მართლაც გვაქვს პრობლემები. თუმცა ნელ-ნელა იქაურ მოთხოვნებსაც შევეგუეთ.

**- შარაშენიძესა და ლორთქიფანიძეს საქართველოში არ იცნობენ და კარგი იქნება, თუ ორიოდ სიტყვით დაგვიხასიათებ...**

- შარაშენიძე 1992 წელს დაბადებული პერსპექტიული ცენტრალური თავდამსხმელია და შარშან უნგრეთის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა. ახლა პირველ გუნდში გადმოიყვანეს. წელიწადი და ორი თვეა, რაც „დიორი ეტოში" ჩაირიცხა, მაგრამ უნგრეთში უკვე დიდი ხანია ცხოვრობს. ლორთქიფანიძეს რაც შეეხება, ის სწრაფია, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. გიორგი განუგრავა ისედაც გეცოდინებათ. ტრავმის გამო, მას საკმაოდ ბევრი გაუცდა, მაგრამ ვარჯიში უკვე განაახლა და კლუბში მისი იმედი აქვთ. რატი ალექსიძე კი გუნდს კარგად შეეწყო და ძირითადშიც დაიმკვიდრა თავი.

**- თავად თუ გაქვს ძირითად გუნდში მოხვედრის იმედი?**

- ახლა ამას გამოვრიცხავ, რადგან პირველი მეკარე სერბეთის ნაკრების ყოფილი წევრი საშა სტევანოვიჩია. ის ახლაც ძალიან კარგ ფორმაშია, მაგრამ ერთ წელიწადში კარიერას ამთავრებს და იმედი მაქვს, მანამდე კარგად მოვემზადები და იქნებ, შევცვალო კიდეც.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

## დათო კი, მაგრამ ლადოც?

ლატვიურ ვირსლიგაში სეზონი დასრულდა. **დავით გამეზარდაშვილის** „სკონტომ“ 32 შეხვედრაში 73 ქულა დააგროვა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ჩემპიონის ტიტული ლიეპაიას „მეტალურგსმა“ მოიპოვა, ვერცხლი - „ვენტსპილსმა“.

ჩემპიონატის დასრულებასთან ერთად, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ გამოვლილი ბატალიების საუკეთესონი დაასახელა. ყველა პოზიციაზე მათ ტრადიციულად 2-2 ფეხბურთელი გამოარჩიეს. „22 საუკეთესოს“ შორის ორი ქართველი მოხვდა - „სკონტოს“ მცველი გამეზარდაშვილი და... რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ფორვარდი **ლადო დვალიშვილი**, რომელიც ზაფხულიდან მოყოლებული, ჰაიფას „მაქაბიში“ გადაბარგდა.

თავის ნომინაციაში გამეზარდაშვილს გვერდს „მეტალურგსის“ მცველი **დენის ივანოვსი** უმშვენებს, ლადო დვალიშვილის „მენყვილე“ კი „ვენტსპილსის“ თავდამსხმელი **ვიტას რიმკუსია.**

**დავით ცაბაძე**



დავით გამეზარდაშვილი

## ამისულაშვილი და გოგუა რჩეულთა შორის

რუსული სეზონის დასკვნითი ტურის წინ „სოვსპორტმა“ პრემიერლიგის საუკეთესოთა სია გამოაქვეყნა. ეს არის საბჭოეთის დროიდან პოპულარული „33 საუკეთესო“ - ანუ 3-3 საუკეთესო თითოეულ პოზიციაზე. სამწუხაროდ, „33-ში“ ვერც ერთი ქართველი ვერ მოხვდა. ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ლეგიონერთა შორის კი ორი ჩვენებურია - ნალჩიკის „სპარტაკის“ მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** და გროზნოს „ტერეკის“ ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა.** ამისულაშვილი მე-4 ადგილზეა. მან ჯერჯერობით ყველა ტურში ითამაშა და მისი გარჯა საშუალოდ 5.53 ბალით შეფასდა. მომდევნო პოზიციაზე გოგუაა. მართალია, 29 ტურიდან მან მხოლოდ 19 შეხვედრაში ითამაშა, მაგრამ არცთუ ურიგო შეფასება - 5.40 დაიმსახურა.

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე ამისულაშვილი

სანაკრებო საკითხი



მარცხნიდან: გრიგოლ ბედიაშვილი, მეკარეთა მწვრთნელი მამუკა აბუსერიძე, ზურაბ მამალაძე, გიორგი ლომაია

# ადამიანური რესურსის დეფიციტი

...თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ საქართველოს ნაკრები უახლოეს შეხვედრას მომავალი წლის მარტში ჩაატარებს; ანუ, ჩვენი ნაკრების ახალი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას სადებიუტო მატჩამდე კიდევ ოთხი თვე ლოდინი მოგვიწევს. არ დაგვავიწყდეს, რომ მარტში დაგეგმილი ის შეხვედრა ამხანაგური იქნება; საერთოდაც, ოფიციალურ მატჩებამდე ქეცბაიას საკმარისზე მეტი დრო ექნება, სავარაუდო კანდიდატებს რომ დააკვირდეს. ისიც ცნობილია, რომ ქეცბაია და მისი სამწვრთნელო შტაბის წევრები უცხოეთში მოასპარეზე თითქმის ყველა ლეგიონერს „საქმეში ნახავენ“; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაკრების ყველა კანდიდატზე ამომწურავი ინფორმაცია ექნებათ და საბოლოოდ ჩამოაყალიბებენ კიდევაც იმ 16-18-კაციან ბირთვს, რომელსაც დაეყრდნობიან 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში...

## სამართლიანობის პრინციპის მოლოდინი

გვჯერა, რომ ასეც იქნება - ამხანაგური მატჩები იმისთვის არის, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ნაკრებს „შეეჩვიოს“, მაგრამ ოფიციალური შეხვედრები ნამდვილად არ უნდა იყოს „საექსპერიმენტო პოლიგონად“ გადაქცეული; არადა, უკანასკნელი ორი შესარჩევი ციკლის დროს სწორედ ასეთ სურათს ვხედავდით: **კლაუს ტოპმიოლერისა და ექტორ კუპერის** დროს, საქართველოს ნაკრებს ხომ ერთი და იმავე შემადგენლობით ზედიზედ ორი მატჩიც არ ჩაუტარებია! რა თქმა უნდა, ცალკეულ ფეხბურთელთა ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო, გარკვეული კორექტივების შეტანა ხშირად მოხდება; მაგრამ, ისიც გავიხსენოთ, რომ ამ ორი ფაქტორის გარეშეც ხშირად ჩნდებოდა უამრავი უპასუხოდ დარჩენილი კითხვა - ამა თუ იმ ფეხბურთელის ნაკრებში გამოძახება-არგამოძახებას რომ ეხებოდა...

...მოკლედ, ახალი მწვრთნელის საქმიანობის დაწყებას ყველანი დიდი ინტერესით და, რაც მთავარია, არანაკლებ დიდი იმედითაც ველოდებით; თუმცა, **თემურ ქეცბაია** კი არა, **კაპელო, დელ ბოსკე, ლიპი** თუ სხვა ვინმე აღიარებული მწვრთნელიც ვერაფერს მიაღწევს, ნაკრებში კვალიფიციური ფეხბურთელები თუ არ ეყოლება. თანაც, იმავე ინგლისის, ესპანეთისა თუ იტალიის ნაკრებში, შესაძლოა, ერთი-ორი პოზიცია საჭიროებდეს გაძლიერებას. ჩვენთან კი თითქმის ყველა რგოლში სერიოზული პრობლემები გვაქვს. რა თქმა უნდა, ქეცბაიას ჯადოქრობას ვერ მოვთხოვთ, რამეთუ გუშინდელ ჩვეულებრივ ფეხბურთელს... ერთ-ორ თვეში ევროპული კლასის ვარსკვლავად ვერ „გადააქცევს“; თუმცა, ერთ რამეში ღრმად ვართ დარწმუნებული - საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ღირსეულნი ითამაშებენ! ანუ, ისინი, ვინც იმ მომენტისათვის ოპტიმალურ ფორმაში იქნებიან და იმისიც გვჯერა, რომ ქეცბაიას ნაკრებში მოღვაწეობის პერიოდში, სამართლიანობის პრინციპი არასდროს დაირღვევა; ჰო, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს და ჩვენთანაც წარსულს უნდა ჩაჰბარდეს ის დრო, როდესაც ნაკრებში - ვის ძველი დამსახურების გამო, ვის სატრანსფერო ინტერესების გამო, ვის კი გაურკვეველი მიზან-მიზეზის გამო იწვევდნენ...

...საქართველოს ნაკრების ოფიციალურ შეხვედრებამდე, სავარაუდოდ, წელიწადია დარჩენილი; ამ დროის განმავლობაში, რაღა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. თუმცა ახლავე შეგვიძლია, სათამაშო რგოლების მიხედვით ყველა სავარაუდო კანდიდატზე ვისაუბროთ. ნუ გამოვრიცხავთ მოვლენების ისეთ განვითარებასაც, რომ ამ ერთ წელიწადში, შესაძლოა, ახალი **ყენია** თუ **ანანიძეც** გამოჩნდეს; ანდა, შესაძლოა, ქეცბაიამ ისეთ ფეხბურთელს უხმოს ნაკრებში, მანამდე რომ ვერავინ „ამჩნევდა“...



გიორგი მაკარიძე



რონ კვასხვაძე

## მეკარეები

უკვე წლებია, საქართველოს ნაკრებში ყველაზე პრობლემური სწორედ მეკარის საკითხია; ალბათ, ამიტომაც იყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ფეხბურთელთა ნატურალიზაციის საკითხი დღის წესრიგში რომ დააყენა და კონკრეტული „მისამართიც“ მიგვითითა - ჩვენს უპირველეს გუნდს იტალიელი მეკარე სჭირდებაო! სამწუხაროდ, ბატონი **ზვიად სიჭინავას** იდეას კარგა ხანი განხორციელება არ უწერია - ნატურალიზაციასთან დაკავშირებით ხომ ფიფამ წესები საკმაოდ გაამკაცრა; ანუ, სად ან როგორ გინდა, ისეთი მეკარე მოძებნო, თავისი ქვეყნის ნაკრებში არასდროს რომ უთამაშია და ამას გარდა, სულ მცირე, სამი წელიწადი საქართველოში რომ აქვს ნაცხოვრები? ისეთი უცხოელი მეკარის ნახვაც გაგვიჭირდება, უახლოესი წინაპარი რომ... ქართველი ჰყავდეს - ბებია, ბაბუა, დიდი ბებია, დიდი ბაბუა და ასე შემდეგ; მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ადგილობრივ რესურს დავეყრდნოთ და პირველი, ვინც გვახსენდება, რაღა თქმა უნდა, **გიორგი ლომაიაა!** გასაგებია, რომ უკანასკნელ შესარჩევ ციკლში ლომაიამ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა; მაგრამ, მოდი, ისიც ვაღიაროთ, რომ ჩვენი ნაკრების ქრონიკული წარუმატებლობის მხოლოდ ლომაიაზე გადაბრალებაც არ იქნება სამართლიანი - ვერც სხვა რგოლის ფეხბურთელებზე ვიტყოდით, დაფრინავდნენო...

ლომაია ამჟამად 30 წლის არის, ანუ მეკარისათვის იდეალური ასაკია; ვერც ფიზიკურ მონაცემებს დავუწუნებთ - ტანმაღალ და ათლეტურ მეკარეს, მართლაც აქვს იმის მონაცემები, რომ საქართველოს ნაკრებში ადგილი უპრობლემოდ დაიკავოს; არც ის არის პატარა ამბავი, რომ ამ ბოლო დროს სათამაშო პრაქტიკა აქვს და აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის ბაქოს „ინტერის“ შემადგენლობაში ზედიზედ რამდენიმე მატჩში ჩინებულად ითამაშა. არადა, კლუბში ორი სერიოზული კონკურენტი ჰყავს - ერთი, გამოცდილი ბრაზილიელია, ვინც მანამდე „ინტერის“ ძირითად მეკარედ მიიჩნეოდა; მეორე კი ადგილობრივი ახალგაზრდაა, რომელსაც აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებში რეგულარულად იძახებენ. აი, საქართველოს ნაკრებში კი ლომაიას „იქით“, მართლაც, ძნელია ღირსეული კონკურენტის მოძებნა; ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ჩემპიონატში ამ ეტაპზე ისეთი მეკარე არ ჩანს, სანაკრებო დონეზე ასპარეზობა რომ შეეძლოს. ექტორ კუპერმა ლომაიას გარდა სამი მეკარეც გამოცადა, მაგრამ გიორგი ლორიას, ზურაბ მამალაძესა და გრიგოლ ბედიაშვილს უფრო მეტი სტაბილურობა მოეთხოვებათ; საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს „ზესტაფონისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარეს **რონ კვასხვაძეს** (რაღაც მომენტებში **კა-კო დევაძესაც** რომ გვაგონებს), მაგრამ ამ ნიჭიერმა ბიჭმა ჯერ კლუბში უნდა დაიმკვიდროს ადგილი, თორემ სათამაშო პრაქტიკის არქონა ირლანდიელ თანატოლებთან მატჩშიც გამოჩნდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ დღესდღეობით კიდევ ორი ლეგიონერი მეკარე გვყავს, ორივე ახალგაზრდა და ორივე ნიჭიერი: **ნუკრი რევიშვილი** და **გიორგი მაკარიძე.** სამწუხაროდ, ორივე მათგანი საკუთარ კლუბში სათადარიგოთა სკამზე ზის: რევიშვილი - „რუბინში“, მაკარიძე - ფრანგულ „ლე მანში“; საქართველოს ნაკრებშიც უკვე წელიწადნახევარზე მეტია აღარ გამოუძახიათ: რევიშვილმა უკანასკნელი სანაკრებო შეხვედრა 2008 წლის 6 თებერვალს ჩაატარა (თბილისში, ლატვიასთან 1:3 რომ დავარცხდით), მაკარიძემ კი იმავე წლის 26 მარტს ითამაშა ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ (იქაც დიდი ანგარიშით წავაგეთ - 1:4) და ეს იყო კლაუს ტოპმიოლერის ბოლო სანაკრებო მატჩი. ამასთან, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შეძლებენ რევიშვილი და მაკარიძე თავიანთ კლუბებში სათამაშო პრაქტიკის მოპოვებას, არადა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე ნიჭიერია და ნამდვილად არ გვინდა, რომ ამდენი ხნის უთამაშებლობამ მათ კარიერაზე უარყოფითად იმოქმედოს. აი, სულ ეს არის; კიდევ შესაძლოა ვინმე „გამოჩნდეს“, მაგალითად, „ლოკომოტივის“ მეკარე **მაქსიმე ქვილითაია,** მართლაც არ ტოვებს ურიგო შთაბეჭდილებას, მაგრამ ერთია საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობა და სულ სხვაა - საერთაშორისო მატჩები...

*(გაგრძელება მომდევნო ნომერში)*

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

### მეორე ლიგა

#### აღმოსავლეთი. X ტური

| | |
|---|---|
| ივერია-სპარტაკი 2 | 1:1 |
| დუშეთი-ლიდერი 2009 | 2:1 |
| დილა-ალგეთი | 4:1 |
| ზოოვეტი-თიანეთი | 1:0 |
| 35-ე სკოლა 2-ავაზა | 0:4 |
| გვარდია-აბული | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი 2 | 11 | 7 | 3 | 1 | 17-10 | 24 |
| 2. დილა | 11 | 7 | 2 | 2 | 29-11 | 23 |
| 3. ზოოვეტი | 11 | 7 | 1 | 3 | 24-10 | 22 |
| 4. 35 სკოლა 2 | 11 | 6 | 2 | 3 | 18-17 | 20 |
| 5. გვარდია | 11 | 6 | 1 | 4 | 20-13 | 19 |
| 6. თიანეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 22-14 | 18 |
| 7. ავაზა | 11 | 5 | 2 | 4 | 25-11 | 17 |
| 8. დუშეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 17-22 | 15 |
| 9. ლიდერი 2009 | 11 | 2 | 3 | 6 | 10-19 | 9 |
| 10. ივერია | 11 | 2 | 3 | 6 | 9-20 | 9 |
| 11. ალგეთი | 11 | 2 | 2 | 7 | 15-22 | 8 |
| 12. აბული | 11 | 0 | 2 | 9 | 4-39 | 2 |

#### დასავლეთი

##### გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| სქური-ტორპედო 2 | 0:0 |

##### XV ტური

| | |
|---|---|
| ქ. ტორპედო-სქური | 0:1 |
| გურია 2-ჩხერიმელა | 3:1 |
| მარგვეთი-ადელი | 2:3 |
| ბათუმი 2-სამგურალი | 1:0 |
| ჩიხურა 2-საირმე | 2:0 |
| იმერეთი-ბახმარო | 4:0 |
| დინამო (ქთ)-ტორპედო 2 | 0:1 |

*სულორი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 14 | 12 | 0 | 2 | 35-15 | 36 |
| 2. იმერეთი | 14 | 9 | 3 | 2 | 37-16 | 30 |
| 3. ტორპედო 2 | 14 | 8 | 4 | 2 | 21-7 | 28 |
| 4. ბახმარო | 14 | 7 | 1 | 6 | 21-25 | 22 |
| 5. ჩხერიმელა | 14 | 7 | 1 | 6 | 19-21 | 22 |
| 6. სამგურალი | 14 | 6 | 4 | 4 | 26-19 | 22 |
| 7. ჩიხურა 2 | 14 | 6 | 3 | 5 | 21-18 | 21 |
| 8. სქური | 14 | 6 | 3 | 5 | 16-15 | 21 |
| 9. გურია 2 | 14 | 6 | 2 | 6 | 24-23 | 20 |
| 10. ბათუმი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 15-17 | 17 |
| 11. საირმე | 14 | 4 | 3 | 7 | 21-30 | 15 |
| 12. დინამო (ქთ) | 14 | 4 | 0 | 10 | 11-27 | 12 |
| 13. მარგვეთი | 14 | 2 | 6 | 6 | 17-23 | 12 |
| 14. ქ. ტორპედო | 14 | 2 | 4 | 8 | 17-31 | 10 |
| 15. სულორი | 14 | 1 | 4 | 9 | 18-32 | 7 |

## ლეგიონერი

# გოლი სამეულში, მაგრამ სიმბოლურის გარეშე

რუსული პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურში ნალჩიკის „სპარტაკმა" „მოსკვა" სტუმრად დაამარცხა და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლას ჩამოაშორა. ნალჩიკელთა გამარჯვებაში თავისი წვლილი **დავით სირაძემაც** შეიტანა. ჩრდილოკავკასიელთა დედაქალაქურ წარმატებას სწორედ ქართველმა ფორვარდმა დაუდო სათავე, როცა 25-ე წუთზე ანგარიში გახსნა. ეს გოლი სირაძის ეფექტური თამაშის ერთგვარი გვირგვინიც იყო, რაც ვებგვერდ „სოვსპორტს" მხედველობიდან არ გამორჩენია. ეს გამოცემა ყოველი ტურის შემდეგ სწორედ საუკეთესო გოლებს გამოარჩევს. რჩეულთა შორის სირაძის გოლი სამეულში მოხვდა. არჩევანს ასეთი განმარტებაც დაურთეს:

*„მოსკვას" სამ ფეხბურთელსა (შეშუკოვს, ჟევნოვსა და ეპურიანუს) და ათასობით გულშემატკივარს დავით სირაძის ეს გოლი დიდხანს ემახსოვრებათ. საერთოდ კი მსგავსი გოლის ნახვა თანამედროვე ფეხბურთში მართლაც რომ იშვიათობაა. თავად განსაჯეთ - სანამ ბადეში გაეხვეოდა, ბურთი სამი ფეხბურთელის ფეხებს შორის გასრიალდა. ასეთი ეფექტური ტრიუკი შეასრულა სირაძემ... შეშუკოვმა ფეხების „დახურვა" ვერ მოასწრო და ქართველმა თავდამსხმელმა ბურთი სამ მოთამაშეს გაუძვრინა ფეხებს შორის".*

ამ საჭირო და ეფექტური გოლის მიუხედავად, რუსულმა გამოცემებმა სირაძე ტურის სიმბოლურ ნაკრებში არ შეიყვანეს. ეგ არის, soccer.ru სიმბოლური ნაკრების დასახელებისას სათადარიგოებსაც გამოყოფს ხოლმე და სირაძისთვის სწორედ ამ შვიდეულში გაიმეტეს ადგილი.

**დავით ცაბაძე**

# ოქროც არის და ვერცხლიც, ახლა ბრინჯაო...

## ჯანაშია ლოკომოტივის გამარჯვებაში დარწმუნებულია, სპარტაკისა კი ეეჭვება

ვინ გახდება ბრინჯაოს პრიზიორი რუსულ პრემიერლიგაში, რომელი გუნდი მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურს „რუბინისა" და „სპარტაკის" შემდეგ? მას მერე, რაც ჩემპიონის ვინაობა გაირკვა, რუსულ სპორტულ მასმედიას ახლა ეს საკითხები აღელვებს. კითხვაზე დასკვნითი ტური გაგვცემს პასუხს - სანქტ-პეტერბურგში „ზენიტი" მოსკოვის „სპარტაკს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ ვითარებას - თუ მოსკოვის „ლოკომოტივი" სტუმრად „ხიმკის" დაამარცხებს, ხოლო „ზენიტი" შინ „სპარტაკს" ვერ მოუგებს, მესამე ადგილი და ბრინჯაო რკინიგზელებს დარჩებათ.

ახლა დავთვალოთ ქართული წილები რუსულ მედლებში - **ლაშა სალუქვაძემ, დავით კვირკველიამ და ნუკრი რევიშვილმა** ოქრო უკვე მოიპოვეს, **ჯანო ანანიძემ** ვერცხლი დაიბევა. ახლა საკითხავია, შესწვდებიან თუ არა **მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი** ბრინჯაოსა და ჩემპიონთა ლიგის დარჩენილ, მესამე საგზურს?

ბოლო ტურის წინ აზრი **ზაზა ჯანაშიამაც** გამოთქვა. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილი ფორვარდის კომენტარი „სოვსპორტზე" გამოჩნდა. სხვათა შორის, ამ გამოცემამ ზაზა (ამჟამად რკინიგზელთა კლუბში ჭაბუკთა ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელია) „ლოკომოტივის" ლეგენდადაც მოიხსენია.

*„ეჭვი არ მეპარება, რომ „ლოკომოტივი" გასვლით შეხვედრაში „ხიმკის" მოუგებს. მაგრამ სხვა საქმეა, რას იზამს „სპარტაკი" სანქტ-პეტერბურგში - შეძლებს თუ არა, „ზენიტს" ქულები დააკარგვინოს. ამაში ნამდვილად არ ვარ დარწმუნებული".*

**დავით ცაბაძე**

## ქალთა ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# ტრადიციას არ უღალატეს...

საქართველოს ქალთა ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მორიგი მატჩი გამართა. დანიასა (15:0) და შოტლანდიასთან (3:1) სტუმრად განცდილი ორი მარცხის შემდეგ **მამუკა სვანაძის** გუნდმა ბულგარეთთან გასვლითი შეხვედრაც წააგო - 0:5.

ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ნადირაშვილი, სუთიძე, პასიკაშვილი, ქველიძე, თოდაძე, მატვეევა (46. მალიძე), ჭიჭინაძე (73. ხუბულური), გაბელია, პოლოსიანი, ტატუაშვილი, სხირტლაძე (70. კვალიაშვილი).**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 21-0 | 7 |
| 2. შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-1 | 4 |
| 4. საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-7 | 3 |
| 5. საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-23 | 0 |

საქართველოს ნაკრები წლის ბოლო მატჩს დღეს საბერძნეთთან სტუმრად გამართავს.

**დავით ცაბაძე**

## თფფ

ასაკობრივი ჩემპიონატები

### ელიტლიგა 1993

#### I ჯგუფი. VIII ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი 1-თბილისი | 1:4 |
| დინამოს აკადემია-ავაზა | 4:0 |
| ბორჯომი-35-ე სკოლა 1 | 5:0 |
| შევარდენი-ვიტ ჯორჯია | 0:6 |
| მთ. გლობუსი-ოლიმპი (რუს) | გადაიდო |
| თს აკადემია 1-ნ/დინამოელი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამოს აკ. | 8 | 7 | 0 | 1 | 31-6 | 21 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 7 | 6 | 1 | 0 | 20-4 | 19 |
| 3. ავაზა | 8 | 5 | 1 | 2 | 23-12 | 16 |
| 4. ბორჯომი | 8 | 4 | 2 | 2 | 19-16 | 14 |
| 5. თს აკადემია 1 | 7 | 3 | 2 | 2 | 12-9 | 11 |
| 6. ოლიმპიკი 1 | 6 | 3 | 1 | 2 | 18-11 | 10 |
| 7. მთ. გლობუსი | 7 | 3 | 1 | 3 | 16-11 | 10 |
| 8. ოლიმპი (რუს) | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 9. 35-ე სკოლა 1 | 8 | 1 | 2 | 5 | 11-20 | 5 |
| 10. თბილისი | 8 | 1 | 1 | 6 | 14-27 | 4 |
| 11. ნ/დინამოელი | 7 | 1 | 1 | 5 | 8-24 | 4 |
| 12. შევარდენი | 8 | 1 | 0 | 7 | 11-44 | 3 |

#### II ჯგუფი. VIII ტური

| | |
|---|---|
| თს აკადემია 2-35 მეტეხი | 3:1 |
| იმედი-ლიდერი 2009 | 0:2 |
| მერანი-საბურთალო | 3:2 |
| ძიზიყი-ამერი | 3:2 |
| ვეფხვები-35-ე სკოლა 2 | 1:2 |
| ოლიმპიკი 2-კახეთი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიდერი 2009 | 8 | 6 | 0 | 2 | 22-15 | 18 |
| 2. საბურთალო | 8 | 5 | 1 | 2 | 24-9 | 16 |
| 3. მერანი | 7 | 5 | 1 | 1 | 24-10 | 16 |
| 4. ვეფხვები | 8 | 5 | 0 | 3 | 16-8 | 15 |
| 5. თს აკადემია 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 15-12 | 11 |
| 6. ოლიმპიკი 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 6-4 | 11 |
| 7. 35-ე სკოლა 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 13-19 | 11 |
| 8. ამერი | 7 | 3 | 1 | 3 | 14-15 | 10 |
| 9. ძიზიყი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-12 | 9 |
| 10. იმედი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-14 | 5 |
| 11. კახეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-20 | 4 |
| 12. 35 მეტეხი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-19 | 1 |

### ელიტლიგა 1994

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| ამერი-35-ე სკოლა | 1:1 |
| დერბი-ლოკომოტივი | 0:1 |
| მერანი-ერთობა | 3:3 |
| თბილისი-ნ/დინამოელი | 0:0 |
| ოლიმპი-ლიდერი 2009 | 3:0 |
| თს აკადემია 94-შევარდენი | გადაიდო |
| ოლიმპიკი-მთ. გლობუსი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკადემ. 94 | 7 | 7 | 0 | 0 | 24-4 | 21 |
| 2. მერანი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-12 | 19 |
| 3. ნ/დინამოელი | 8 | 4 | 2 | 2 | 17-10 | 14 |
| 4. დერბი | 8 | 4 | 1 | 3 | 18-9 | 13 |
| 5. ოლიმპი | 8 | 4 | 1 | 3 | 17-9 | 13 |
| 6. ამერი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-8 | 13 |
| 7. ოლიმპიკი | 7 | 4 | 0 | 3 | 11-7 | 12 |
| 8. ლოკომოტივი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-9 | 11 |
| 9. 35-ე სკოლა | 8 | 3 | 2 | 3 | 14-15 | 11 |
| 10. ერთობა (ახმ) | 8 | 2 | 2 | 4 | 16-24 | 8 |
| 11. თბილისი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 12. მთ. გლობუსი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-17 | 6 |
| 13. შევარდენი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-14 | 5 |
| 14. ლიდერი 2009 | 8 | 0 | 0 | 8 | 2-28 | 0 |

### ელიტლიგა 1995

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| ჰერეთი-ნ/დინამოელი | 2:3 |
| 35-ე სკოლა-ოლიმპიკი | 3:2 |
| თს აკადემია 95-საბურთალო | 4:0 |
| დინამოს აკ-მთ. გლობუსი | 5:0 |
| გორი 96-ავაზა | 6:1 |
| იმედი-შევარდენი | 2:5 |
| ვეფხვები-დერბი | 3:0 |

*ოლიმპი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 7 | 7 | 0 | 0 | 26-6 | 21 |
| 2. თს აკადემია 957 | 7 | 0 | 0 | 20-0 | 21 | |
| 3. ნ/დინამოელი | 6 | 5 | 1 | 0 | 32-7 | 16 |
| 4. ავაზა | 7 | 5 | 1 | 1 | 27-9 | 16 |
| 5. გორი 96 | 7 | 4 | 1 | 2 | 23-11 | 13 |
| 6. ვეფხვები | 8 | 4 | 1 | 3 | 13-9 | 13 |
| 7. შევარდენი | 8 | 4 | 0 | 4 | 21-17 | 12 |
| 8. დინამოს აკ. | 8 | 3 | 2 | 3 | 19-9 | 11 |
| 9. ჰერეთი (ლაგ) | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 10. 35-ე სკოლა | 8 | 3 | 1 | 4 | 14-22 | 10 |
| 11. იმედი | 7 | 2 | 0 | 5 | 7-20 | 6 |
| 12. მთ. გლობუსი | 7 | 1 | 1 | 5 | 7-23 | 4 |
| 13. დერბი | 8 | 1 | 0 | 7 | 4-38 | 3 |
| 14. საბურთალო | 6 | 0 | 1 | 5 | 7-26 | 1 |
| 15. ოლიმპიკი | 8 | 0 | 0 | 8 | 4-27 | 0 |

### ელიტლიგა 1996

#### I ჯგუფი. VIII ტური

| | |
|---|---|
| ავაზა-თს აკადემია 96 | 0:1 |
| შევარდენი-საბურთალო 1 | 0:0 |
| 35-ე სკოლა 1-დერბი | 9:1 |
| კახეთი-ნ/დინამოელი | გადაიდო |
| ოლიმპი-ოლიმპიკი | გადაიდო |
| ოლიმპი 1-თბილისი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. 35-ე სკოლა 1 | 8 | 7 | 0 | 1 | 36-6 | 21 |
| 2. თს აკადემია 96 | 8 | 6 | 2 | 0 | 21-6 | 20 |
| 3. ოლიმპი 1 | 7 | 4 | 2 | 1 | 18-10 | 14 |
| 4. ოლიმპი (რუს) | 7 | 3 | 2 | 2 | 14-8 | 11 |
| 5. თბილისი | 7 | 3 | 1 | 3 | 16-10 | 10 |
| 6. ავაზა | 8 | 3 | 1 | 4 | 9-14 | 10 |
| 7. ოლიმპიკი | 6 | 2 | 3 | 1 | 9-10 | 9 |
| 8. ნ/დინამოელი | 7 | 1 | 3 | 3 | 5-13 | 6 |
| 9. საბურთალო 1 | 8 | 1 | 3 | 4 | 6-19 | 6 |
| 10. შევარდენი | 7 | 0 | 5 | 2 | 8-10 | 5 |
| 11. კახეთი | 7 | 0 | 4 | 3 | 9-19 | 4 |
| 12. დერბი | 8 | 0 | 2 | 6 | 6-32 | 2 |

#### II ჯგუფი. VIII ტური

| | |
|---|---|
| ვეფხვები-გარეჯი | 8:0 |
| თს აკადემია 2-საბურთ. 2 | 0:4 |
| იმედი-მიმინო 94 | 2:0 |
| მცხ/მუხრანი-35-ე სკოლა 2 | 2:1 |
| ოლიმპი 2-ამერი | 0:1 |
| მთ. გლობუსი-თს აკად. 1 | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იმედი | 8 | 8 | 0 | 0 | 24-6 | 24 |
| 2. თს აკად. 1 | 7 | 5 | 2 | 0 | 19-4 | 17 |
| 3. ამერი | 8 | 5 | 1 | 2 | 21-8 | 16 |
| 4. ვეფხვები | 7 | 5 | 0 | 2 | 26-12 | 15 |
| 5. მიმინო 94 | 7 | 5 | 0 | 2 | 15-5 | 15 |
| 6. მცხ/მუხრანი | 8 | 4 | 0 | 4 | 19-23 | 12 |
| 7. 35-ე სკოლა 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 8-14 | 7 |
| 8. ოლიმპი 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 6-13 | 7 |
| 9. მთ. გლობუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-14 | 4 |
| 10. თს აკად. 2 | 7 | 1 | 1 | 5 | 12-22 | 4 |
| 11. საბურთ. 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 13-20 | 3 |
| 12. გარეჯი | 8 | 0 | 1 | 7 | 2-33 | 1 |

### ელიტლიგა 1997

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| გორი-მცხეთა | 5:0 |
| ოლიმპი-ვეფხვები | 0:0 |
| ნ/დინამოელი-მიმინო 94 | 8:2 |
| საბურთალო 1-მერანი | 2:0 |
| საბურთ. 2-ლოკომოტ. 97 | 1:6 |
| 35-ე სკოლა-ჩემპიონი | 3:2 |
| ავაზა-პრაიდი/ფერო | 2:1 |
| კახეთი-თბილისი 2 | 1:3 |
| თბილისი 1-იმედი | 1:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გორი | 8 | 6 | 2 | 0 | 30-6 | 20 |
| 2. ჩემპიონი | 8 | 6 | 0 | 2 | 27-13 | 18 |
| 3. ნ/დინამოელი | 8 | 5 | 2 | 1 | 32-14 | 17 |
| 4. ავაზა | 8 | 5 | 2 | 1 | 23-11 | 17 |
| 5. იმედი | 8 | 5 | 0 | 3 | 31-17 | 15 |
| 6. 35-ე სკოლა | 8 | 5 | 0 | 3 | 19-11 | 15 |
| 7. საბურთალო 1 | 8 | 5 | 0 | 3 | 18-15 | 15 |
| 8. მერანი | 8 | 4 | 3 | 1 | 20-9 | 15 |
| 9. ოლიმპი (რუს) | 8 | 4 | 2 | 2 | 15-10 | 14 |
| 10. ვეფხვები | 8 | 4 | 2 | 2 | 12-11 | 14 |
| 11. ლოკომოტ. 97 | 8 | 4 | 1 | 3 | 22-7 | 13 |
| 12. პრაიდი/ფერო | 8 | 3 | 2 | 3 | 12-14 | 11 |
| 13. თბილისი 2 | 8 | 3 | 0 | 5 | 11-18 | 9 |
| 14. მცხეთა | 8 | 1 | 1 | 6 | 10-25 | 4 |
| 15. საბურთალო 2 | 8 | 1 | 1 | 6 | 14-46 | 4 |
| 16. მიმინო 94 | 8 | 1 | 0 | 7 | 11-24 | 3 |
| 17. თბილისი 1 | 8 | 1 | 0 | 7 | 12-26 | 3 |
| 18. კახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 5-47 | 0 |

### ელიტლიგა 1998

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| 35-ე სკოლა 1-საბურთ. | 2:2 |
| ოლიმპიკი-თს აკადემია 2 | 2:2 |
| ჩემპიონი-ავაზა | 0:0 |
| იმედი-შევარდენი | 2:3 |
| ოლიმპი-მორკინალი | 5:1 |
| თს აკად. 98-35-ე სკოლა 2 | 0:0 |

*მერანი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 8 | 6 | 1 | 1 | 30-8 | 19 |
| 2. საბურთალო | 8 | 6 | 1 | 1 | 37-16 | 19 |
| 3. მერანი | 6 | 5 | 0 | 1 | 21-7 | 15 |
| 4. 35-ე სკოლა 1 | 7 | 4 | 3 | 0 | 18-11 | 15 |
| 5. შევარდენი | 8 | 4 | 2 | 2 | 18-19 | 14 |
| 6. ავაზა | 7 | 3 | 1 | 3 | 22-16 | 10 |
| 7. მორკინალი | 7 | 3 | 0 | 4 | 18-21 | 9 |
| 8. თს აკად. 2 | 7 | 2 | 1 | 4 | 10-15 | 7 |
| 9. თს აკად. 98 | 7 | 1 | 3 | 3 | 6-6 | 6 |
| 10. ჩემპიონი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-16 | 5 |
| 11. 35-ე სკოლა 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 5-14 | 5 |
| 12. ოლიმპიკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-16 | 2 |
| 13. იმედი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-33 | 0 |

### ელიტლიგა 1999

#### VIII ტური

| | |
|---|---|
| მთ. გლობუსი-საბურთ. | 2:4 |
| ნ/დინამოელი-მორკინალი | 3:4 |
| შავნაბ/ორიონი-თს აკად. 2 | 1:1 |
| შევარდენი-ოლიმპი 1 | 6:2 |
| 35-ე სკოლა-ირაო 2 | 2:3 |
| თს აკადემია 99-ოლიმპი 2 | 1:1 |
| ავაზა-თბილისი 2 | 1:2 |
| ირაო 1-თბილისი 1 | 1:4 |
| ოლიმპიკი-ჩემპიონი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ/დინამოელი | 8 | 7 | 0 | 1 | 49-11 | 21 |
| 2. შევარდენი | 8 | 7 | 0 | 1 | 36-13 | 21 |
| 3. თბილისი 1 | 8 | 6 | 0 | 2 | 32-16 | 18 |
| 4. ავაზა | 8 | 5 | 1 | 2 | 20-8 | 16 |
| 5. მორკინალი | 8 | 4 | 3 | 1 | 26-17 | 15 |
| 6. საბურთალო | 8 | 4 | 2 | 2 | 33-20 | 14 |
| 7. ირაო 1 | 7 | 4 | 1 | 2 | 21-14 | 13 |
| 8. თს აკადემია 99 | 7 | 4 | 1 | 2 | 17-10 | 13 |
| 9. თბილისი 2 | 8 | 2 | 3 | 3 | 17-22 | 9 |
| 10. მთ. გლობუსი | 8 | 2 | 3 | 3 | 13-18 | 9 |
| 11. ოლიმპი 1 | 8 | 2 | 2 | 4 | 25-23 | 8 |
| 12. ირაო 2 | 8 | 2 | 2 | 4 | 16-26 | 8 |
| 13. ჩემპიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-11 | 7 |
| 14. შავნაბ/ორიონი7 | 1 | 3 | 3 | 9-18 | 6 | |
| 15. თს აკადემია 2 | 7 | 0 | 3 | 4 | 3-18 | 3 |
| 16. 35-ე სკოლა | 8 | 0 | 3 | 5 | 7-29 | 3 |
| 17. ოლიმპიკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-22 | 2 |
| 18. ოლიმპი 2 | 8 | 0 | 2 | 6 | 11-53 | 2 |

### ელიტლიგა 2000

#### VII ტური

| | |
|---|---|
| გაგრა-ჩემპიონი | 2:5 |
| გორი-ირაო | 2:4 |
| მიმინო 94-35-ე სკოლა 1 | 1:2 |
| შევარდ.-35-ე სკოლა 2 | 0:0 |
| ავაზა-ტგ 2000 | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩემპიონი | 7 | 6 | 1 | 0 | 18-5 | 19 |
| 2. ავაზა | 6 | 5 | 0 | 1 | 18-1 | 15 |
| 3. ტგ 2000 | 6 | 4 | 2 | 0 | 20-8 | 14 |
| 4. ირაო | 7 | 4 | 2 | 1 | 20-13 | 14 |
| 5. 35-ე სკოლა 1 | 7 | 4 | 2 | 1 | 16-12 | 14 |
| 6. გორი | 7 | 2 | 1 | 4 | 11-18 | 7 |
| 7. მიმინო 94 | 7 | 1 | 2 | 4 | 11-14 | 5 |
| 8. გაგრა | 7 | 1 | 1 | 5 | 11-21 | 4 |
| 9. შევარდენი | 7 | 0 | 2 | 5 | 5-16 | 2 |
| 10. 35-ე სკოლა 2 | 7 | 0 | 1 | 6 | 4-26 | 1 |



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# ინტრიგა ბოლო ტურს დაუტოვეს

## დვალიშვილმა ვერც მიუნხენში გაიტანა

წუხანდელი ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმოხილვას ქართველთა ამბებით დავიწყებთ - ჰაიფას „მაქაბის" თავდამსხმელმა **ლადო დვალიშვილმა** ვერც მიუნხენში გამოიჩინა თავი „ბაიერნის" ნინააღმდეგ. 23 წლის დვალიშვილი 63-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე მან 7,15 კილომეტრი დისტანცია დაფარა, მიუნხენელთა კარში კი სულ ერთხელ დაარტყა - მატჩის პირველ წუთზე **ჰანს იორგ ბუტმა** მისი დარტყმული მოიგერია. ლადომ 11 8 პასი (73 %) ზუსტი გააკეთა. სამწუხაროდ, „მაქაბის" მთელ ლიგაში ყველაზე სუსტი თავდასხმის ხაზი ჰყავს, გუნდმა ხუთ მატჩში ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა. ამ სეზონში ლადოს კიდევ ერთი, ბოლო შანსი 8 დეკემბერს მიეცემა, როცა არაფრისმომცემ მატჩში ებრაელები უკვე პირველ ადგილზე გასულ „ბორდოს" მასპინძლობენ. **კახა კალაძეზე** კი ბევრი სალაპარაკო არცაა, „მილანის" თავკაცმა **ლეონარდომ** დაცვის ცენტრში კახას **ნესტასა** და **ტიაგოს** წყვილი არჩია, ქართველი კი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

მიუნხენის „ბაიერნი" „ბორდოს" მადლიერი უნდა იყოს, ფრანგულმა კლუბმა 2:0 მოუგო „იუვენტუსს" (**ფერნანდოსა** და **შამახის** გოლებით) და გერმანულ გუნდს ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი გაუჩნდა. ახლა ბოლო ტურში „ბაიერნმა" იტალიაში უნდა მოუგოს „იუვენტუსს". „ბაიერნმა" „მაქაბის" კი მხოლოდ 1:0 აჯობა, 62-ე წუთზე გამარჯვების გოლი **ივიცა ოლიჩმა** გაიტანა.

B ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედმა" მეორე შემადგენლობა დაუხვედრა აუტსაიდერ „ბეშიქთაშს" და არაა გასაკვირი, რომ წააგო. სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი გასული ისედაც იყო მერვედფინალში, მაგრამ ამ მარცხით „მანჩესტერმა" ეჭვქვეშ დააყენა ჯგუფში პირველობა. აი, მეორე ადგილისთვის ბოლო ტურში ბრძოლა „ვოლფსბურგსა" და ცსკას (7-7 ქულა) მოუწევთ, ოღონდ დაუსწრებლად, რადგან ისინი ერთმანეთს წუხელ შეხვდნენ მოსკოვში და რუსულმა არმიამ 2:1 იმარჯვა. ერთნაირი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბურთების შეფარდების წყალობით გერმანიის ჩემპიონი მერვედფინალში გავა, „ბეშიქთაშს" კი მხოლოდ ევროპის ლიგის საგზურისთვის შეუძლია ბრძოლა.

C ჯგუფში მართალია, „მილანმა" ვერ შეძლო შინ „მარსელის" დამარცხება - პირველ ტაიმში გოლები **ბორიელომ** და **ლუჩო გონსალესმა** გაცვალეს, მაგრამ იტალიურ გუნდს მერვედფინალში გასვლის მაინც კარგი შანსი აქვს - ბოლო ტურში აუტსაიდერ „ციურიხს" შვეიცარიაში ხვდება და იმ შემთხვევაში, თუ პირველ წრეში მილანური მარცხისთვის შურს იძიებს, მეორე ადგილს გაინაღდებს. **გონსალო იგუაინის** ერთადერთი გოლის წყალობით მადრიდის „რეალმა" „ციურიხს" მოუგო - 1:0. ამ მატჩში ფეხბურთს დაუბრუნდა **კრიშტიანო რონალდო**, რომელსაც „რეალში" 30 სექტემბრის შემდეგ არ უთამაშია. „სამეფო კლუბი" ბოლო ტურში მარსელში ჩადის და თუ 4 და მეტი ბურთის სხვაობით წააგებს, შეიძლება, გათამაშებას გამოეთიშოს, ამის საფრთხე კი ერთობ მცირეა.

D ჯგუფში გამსვლელთა ვინაობა ჯერ კიდევ წინა ტურში გაირკვა. წუხელ „ჩელსიმ" „პორტუს" 1:0 პ(**ნიკოლა ანელკა**) მოუგო და პირველი ადგილი დაიბევა. ბოლო ტურში მხოლოდ ერთი საკითხი უნდა გაირკვეს, რომელი გუნდი მოიპოვებს ევროპის ლიგის საგზურს, „ატლეტიკო" თუ კვიპროსული აპოელ-ი...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### A ჯგუფი

#### ბორდო–იუვენტუსი 2:0

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო - შალმე, სიანი, პლანიუ, ტრემულინასი - ფერნანდო, დიარა - გუფრანი, პლაშილი, ვენდელი - შამახი.

**იუვენტუსი (4-2-3-1):** ბუფონი - კასერესი, ლეგროტალიე, კიელინი, გროსო - ფ. მელო, სისოკო (89. მარკიზიო) - კამორანეზი, დიეგო, დელ პიერო (68. იმობილე) - ამაური (77. ჯოვინკო).

**გოლები:** 1:0 ფერნანდო (54), 2:0 შამახი (94)

**მაყურებელი:** 31 000

**არბიტრი:** ედუარდო გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** ბორდო
**პირველი კუთხური:** ბორდო
**პირველი ჯარიმა:** იუვენტუსი
**პირველი გაფრთხილება:** იუვენტუსი

| | | |
|---|---|---|
| 19 (6) | დარტყმა | 8 (2) |
| 24 | ჯარიმა | 23 |
| 10 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

#### ბაიერნი–მაქაბი 1:0

**ბაიერნი (4-4-2):** ბუტი - ლამი, დემიკელისი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი - მიულერი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, პრანიჩი (70. ოტლი) - ოლიჩი (81. ტიმოშჩუკი), გომესი.

**მაქაბი (4-4-2):** დავიდოვიჩი - მეშუმერი, მაიმონი, კეინანი, მასისელა - კაიალი, ოსმანი (74. გოლასა), კულმა (69. რაფაელოვი), ლადირი - კატანი, დვალიშვილი (63. არბაიტმანი).

**გოლი:** 1:0 ოლიჩი (62)

**მაყურებელი:** 58 000

**არბიტრი:** კრეიგ თომსონი (შოტლანდია)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** მაქაბი
**პირველი კუთხური:** ბაიერნი
**პირველი ჯარიმა:** მაქაბი
**პირველი გაფრთხილება:** მაქაბი

| | | |
|---|---|---|
| 21 (6) | დარტყმა | 9 (2) |
| 12 | ჯარიმა | 23 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| 2. იუვენტუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-3 | 8 |
| 3. ბაიერნი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| 4. მაქაბი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-7 | 0 |

**ბოლო ტური**
იუვენტუსი-ბაიერნი
მაქაბი-ბორდო

### B ჯგუფი

#### ცსკა–ვოლფსბურგი 2:1

**ცსკა (4-4-2):** აკინფეევი - ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, შჩენიკოვი - კრასიჩი, რაჰიმიჩი, ალდონინი, მამაევი - ძაგოევი, ნეციდი.

**ვოლფსბურგი (4-4-2):** ბენალიო - რიტერი, რიკარდო კოშტა, მადლუნგი, შეფერი - ჰასებე, ჟოსუე, მიშიმოვიჩი, გენტნერი - ჯეკო, მარტინსი (68. ზიანი).

**გოლები:** 0:1 ჯეკო (19), 1:1 ნეციდი (58), 2:1 კრასიჩი (66)

**მაყურებელი:** 13 478

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** ცსკა
**პირველი კუთხური:** ცსკა
**პირველი ჯარიმა:** ვოლფსბურგი
**პირველი გაფრთხილება:** ვოლფსბურგი

| | | |
|---|---|---|
| 20 (7) | დარტყმა | 16 (5) |
| 6 | ჯარიმა | 8 |
| 10 | კუთხური | 5 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

#### მანჩესტერი–ბეშიქთაში 0:1

**მანჩესტერი (4-4-2):** ფოსტერი - ნევილი, ვიდიჩი, ბრაუნი, რაფაელი (74. ევრა) - ობერტანი, ჯიბსონი (74. კერიკი), ანდერსონი, პარკი (69. ოუენი) - მაკედა, უელბეკი.

**ბეშიქთაში (4-2-3-1):** რუშთუ - იბრაჰიმ კაში, ფერარი, იბრაჰიმ თორამანი (67. ერჰანი), იბრაჰიმ უზულმესი - ფინკი, ერნსტი - ეკრემი, ტელო (75. უგური), ისმაილი - ბობო (84. ბათუჰანი).

**გოლი:** 0:1 ტელო (20)

**მაყურებელი:** 74 252

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** ბეშიქთაში
**პირველი კუთხური:** მანჩესტერი
**პირველი ჯარიმა:** ბეშიქთაში
**პირველი გაფრთხილება:** ბეშიქთაში

| | | |
|---|---|---|
| 27 (8) | დარტყმა | 6 (3) |
| 12 | ჯარიმა | 10 |
| 7 | კუთხური | 1 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 63% | ბურთის ფლობა | 37% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 2. ვოლფსბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 7 |
| 3. ცსკა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| 4. ბეშიქთაში | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |

**ბოლო ტური**
ვოლფსბურგი-მანჩესტერი
ბეშიქთაში-ცსკა

### C ჯგუფი

#### რეალი–ციურიხი 1:0

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი, პეპე, არბელოა (58. ვან დერ ვაარტი) - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო - კაკა (90. გრანერო), რაული (70. რონალდო), მარსელო - იგუაინი.

**ციურიხი (4-4-2):** ლეონი - სტაჰერი, ბარმეტლერი, ტიჰინენი, კოხი - გაიჩი (76. ფონლანტენი), აეგერტერი, როშა, ჯურიჩი (88. შონბახლერი) - მარგაირასი, ალფონსი (86. მეჰმედი).

**გოლი:** 1:0 იგუაინი (21)

**მაყურებელი:** 60 000

**არბიტრი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** რეალი
**პირველი კუთხური:** რეალი
**პირველი ჯარიმა:** რეალი
**პირველი გაფრთხილება:** ციურიხი

| | | |
|---|---|---|
| 18 (7) | დარტყმა | 8 (2) |
| 17 | ჯარიმა | 8 |
| 14 | კუთხური | 1 |
| 5 | გაფრთხილება | 1 |
| 61% | ბურთის ფლობა | 39% |

#### მილანი–მარსელი 1:1

**მილანი (4-2-1-3):** დიდა - ოდო (28. აბატე), ნესტა, ტიაგო სილვა, ძამბროტა - ამბროზინი, პირლო - ზეედორფი - პატო, რონალდინიო, ბორიელო.

**მარსელი (4-1-3-2):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - ლუჩო გონსალესი (66. კონე) - აბრიელი, სისე, შეირუ (85. მორიენტესი) - ბრანდაო, ნიანგი (73. ბენ არფა).

**გოლები:** 1:0 ბორიელო (10), 1:1 ლუჩო გონსალესი (16)

**მაყურებელი:** 49 000

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** მარსელი
**პირველი კუთხური:** მილანი
**პირველი ჯარიმა:** მარსელი
**პირველი გაფრთხილება:** მილანი

| | | |
|---|---|---|
| 16 (4) | დარტყმა | 16 (4) |
| 15 | ჯარიმა | 19 |
| 8 | კუთხური | 8 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| 2. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 3. მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 4. ციურიხი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 |

**ბოლო ტური**
ციურიხი-მილანი
მარსელი-რეალი

### D ჯგუფი

#### პორტუ–ჩელსი 0:1

**პორტუ (4-3-3):** ბეტო - სეპუნარო (79. ფარიასი), როლანდო, ბ. ალვეში, პერეირა - ბელუში (71. გუარინი), ფერნანდო, მეირელეში - ვარელა (60. ჰალკი), ფალკაო, როდრიგესი.

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი - ივანოვიჩი, კარვალიო, ტერი, ჟირკოვი - ბალაკი (68. ესიენი), ობი, დეკუ (76. ჯ. კოული), მალუდა - ანელკა, დროგბა.

**გოლი:** 0:1 ანელკა (69)

**მაყურებელი:** 35 000

**არბიტრი:** იონას ერიქსონი (შვედეთი)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** ჩელსი
**პირველი კუთხური:** ჩელსი
**პირველი ჯარიმა:** ჩელსი
**პირველი გაფრთხილება:** პორტუ

| | | |
|---|---|---|
| 20 (8) | დარტყმა | 13 (2) |
| 15 | ჯარიმა | 12 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

#### აპოელ–ატლეტიკო 1:1

**აპოელ (4-4-1-1):** ქიოტისი - პურსაიტიდესი, პ. ჟორჟე, კონტისი, ელია (70. ბრეშკა) - კოსოვსკი (77. ჟევლიაკოვი), მორაიში, მიხაილი (71. ბროერსი), ალექსანდრუ - პინტუ - მიროსავლიევიჩი.

**ატლეტიკო (4-4-2):** ასენხო - უიფალუში, ხუანიტო, პერეა, დომინგესი - ხურადო (79. მ. როდრიგესი), სანტანა, კამაჩო, სიმაო (92. ა. ლოპესი) - ფორლანი (87. რეიესი), აგუერო.

**გოლები:** 1:0 მიროსავლიევიჩი (5), 1:1 სიმაო (62)

**მაყურებელი:** 22 500

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

სტატისტიკა
**მატჩი დაიწყო:** ატლეტიკო
**პირველი კუთხური:** აპოელ
**პირველი ჯარიმა:** აპოელ
**პირველი გაფრთხილება:** აპოელ

| | | |
|---|---|---|
| 5 (1) | დარტყმა | 18 (8) |
| 17 | ჯარიმა | 20 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. პორტუ | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 3. ატლეტიკო | 5 | 0 | 3 | 2 | 3-9 | 3 |
| 4. აპოელ | 5 | 0 | 2 | 3 | 2-5 | 2 |

**ბოლო ტური**
ჩელსი-აპოელ
ატლეტიკო-პორტუ




ლადო დვალიშვილმა პირველივე წუთებზე სახიფათოდ შეუტია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# ინტერს უნდა რცხვენოდეს!

## ...არა იმიტომ, რომ ბარსასთან წაგება კატასტროფაა, არამედ იმის გამო, რომ ნერაძურიმ იმპოტენტის შთაბეჭდილება დატოვა

„ლიონი“ „ლივერპულს“ ვერაფრით დაეხმარა, ამიტომაც ინგლისური გრანდი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებას ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშება. G ჯგუფში „შტუტგარტს“ ჰქონდა სევილიელთა დახმარების იმედი, მაგრამ ანდალუსიელებმაც „ჩაისვარეს“ და გერმანელებს ახლა თვითონ მოუწევთ საკუთარი თავისთვის ბრძოლა - ბოლო ტურში „უნირეას“ უნდა მოუგონ. „ბარსელონას“ ჯგუფში ისევ არაფერია გარკვეული, უბრალოდ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „ინტერი“ უგერგილო გუნდია. H ჯგუფში „არსენალმა“ მერვედფინალი გაინაღდა, „ალკმაარი“ კი ჩემპიონთა ლიგის ღირსი არ ყოფილა...



ეს-ესაა, ბარსელონელმა პედრომ ძანეტისა და კამბიასოს ინტერს გოლი გაუტანა

### E ჯგუფი

**დებრეცენი-ლივერპული 0:1**

გოლი: 0:1 ნ'გოგი (4)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დანიელ აგერი (ლივერპული)

ვუსამძიმრებთ „ლივერპულის“ ყველა გულშემატკივარს: ჯგუფში ჩარჩენა ამ გენიალური გუნდისთვის მეტისმეტად დიდი ტკივილია. 2002/03 წლების სეზონის შემდეგ „ლივერპულს“ ასეთი რამ პირველად დაემართა. თუმცა „მერსისაიდელთა“ ჯგუფში ჩარჩენა ლოგიკური შედეგია იმისა, რაც ამ სეზონში „ლივერპულის“ თავს ხდება - კრიზისი აშკარაა. **რაფა ბენიტესის** შეგირდებმა „დებრეცენს“, რა თქმა უნდა, აჯობეს და მოუგეს, მაგრამ „ლიონმა“ ვერ ივაჟკაცა.

პირველი და მეორე ტაიმების მიწურულს, „დებრეცენს“ ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ არც ამას ექნებოდა რაიმე მნიშვნელობა. „ლივერპულის“ გულშემატკივრებს კი თავის დამშვიდება იმით შეუძლიათ, რომ მათი საყვარელი გუნდი ახლა ევროპის ლიგის ფავორიტია...

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩარჩენამ გუნდის მთავარი მწვრთნელი არ შეიწირა. სპორტული დირექტორი **კრისტიან პურსლოვი**: *„რაფაელის გათავისუფლებას არავინ აპირებს. რამდენიმე თვის წინ ბენიტესმა ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ხანგრძლივ გეგმებს „ლივერპულში“ ასე სწრაფად არავინ ცვლის ხოლმე.“*

*„რა თქმა უნდა, იმედგაცრუებულები და შოკირებულები ვართ. „ლივერპულისთვის“ ჯგუფში ჩარჩენა დიდი სირცხვილია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯგუფური ეტაპის გადალახვა ყოველთვის ვერ მოხერხდება. ამიერიდან ჩვენი მიზანი ევროპის ლიგის მოგება უნდა იყოს,“* - ეს მეკარე **პეპე რეინას** სიტყვებია.

**ფიორენტინა-ლიონი 1:0**

გოლი: 1:0 ვარგასი (28-პენ)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სებასტიან ფრეი (ფიორენტინა)

„ფიორენტინამ“ მერვედფინალში თამაშგანაღდებულ „ლიონს“ პირველივე წუთებიდან ისე მედგრად შეუტია, რომ ფრანგები დაიბნენ და ბურთი ფეხებში ებლანდებოდათ. **სანტანას** და **ჯილარდინოს** მატჩის დებიუტშივე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ვერ ივარგეს. თუმცა მოგვიანებით, **მარკო მარკიონიმ** მარჯვენა ფლანგიდან დრიბლინგი განახორციელა და „ლიონის“ მარცხენა მცველმა **სისოხომ** მისი შეჩერება მხოლოდ წესების დარღვევითღა შეძლო - პენალტი **ვარგასმა** უპრობლემოდ გაიტანა. „ლიონს“ პირველ ტაიმში თავი საერთოდ არ შეუწუხებია - თვითონ განსაჯეთ, ფრანგებმა ფლორენციელთა კარის მისამართით პირველად მხოლოდ 45-ე წუთზე დაარტყეს.

აი, მეორე ნახევარში კი „ლიონიც“ გამოსწორდა - როგორც ჩანს, ფეხბურთელებს გაახსენდათ, რომ „ლივერპულის“ ბედი მათ ხელთ იყო და ინგლისური გრანდი შეეცოდათ. მატჩის ბოლო წუთებში ფრანგებს რამდენიმე კარგი მომენტი შეექმნათ, მაგრამ იდეალურად თამაშობდა ფლორენციელთა კარის დარაჯი **სებასტიან ფრეი**. ამ უკანასკნელმა მაყურებლები განსაკუთრებით მსაჯის მიერ დამატებულ დროში გააოგნა, როცა **ლისანდრო ლოპესს** „მკვდარი ბურთი“ აუღო. ამრიგად, ათწლიანი შესვენების შემდეგ, „ფიორენტინა“ კვლავ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ეს წარმატება აბსოლუტურად დამსახურებულია!

სებასტიან ფრეი (ფიორენტინა): *„ფრანგი ვარ, მაგრამ თავი იტალიელი მგონია. ფრანგული კლუბების წინააღმდეგ ყოველთვის გაორმაგებული მოტივაციით ვთამაშობ, რადგან მე საფრანგეთის ნაკრების მსხვერპლი ვარ. ვფიქრობ, დღესაც დავამტკიცე, რომ ცუდი მეკარე არ ვარ.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 |
| 2. ლიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 3. ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 4. დებრეცენი | 5 | 0 | 0 | 5 | 5-15 | 0 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

ლივერპული-ფიორენტინა

ლიონი-დებრეცენი

### F ჯგუფი

**რუბინი-დინამო 0:0**

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ალეხანდრო დომინგესი (რუბინი)

ჯგუფში, სადაც „მონასტერი არეულია“, ყოველთვის იგრძნობა დაძაბულობა და ამ ტურში ეს, როგორც მოსალოდნელი იყო, „რუბინისა“ და კიევის „დინამოს“ თამაშს დაეტყო. პირდაპირ ვიტყვით, კიეველებს შეტევაში არაფერი გამოუვიდათ, განსაკუთრებით ფლანგებზე ჩაისვარეს. ყაზანელები კი რაღაცას მაინც ახერხებდნენ: განსაკუთრებით **დომინგესი** გამოირჩეოდა. მან უკრაინელთა ფლანგის მცველები აანიოკა და მეკარე **შოვკოვსკიც** გვარიანად ანერვიულა. მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ რუსეთის ჩემპიონს „დინამოსთვის“ თუნდაც ერთი გოლი გაეტანა.

მეორე ტაიმში უკრაინელები გამოსწორდნენ, მაგრამ არა იმდენად, რომ **რიჟიკოვის** კართან ხეირიანი მომენტები შეექმნათ. საუკეთესო შანსი **ანდრეი შევჩენკოს** ჰქონდა და ისიც იმიტომ მიეცა, რომ ერთ მომენტში ყაზანელი მცველები აიჭრნენ. საბოლოო ჯამში კი უგოლო ფრე აბსოლუტურად ლოგიკური შედეგია იმისა, რაც მოედანზე ხდებოდა.

*„დინამო“ „ბარსელონა“ არ არის, მაგრამ „დინამოც“ ძალიან ძლიერი გუნდია... ჩვენი მიზანი? ამას უფრო ოცნებას დავარქმევდი: მერვედფინალში გასვლა,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ, „რუბინის“ აშკარად კმაყოფილმა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა**, შეიტყო რა იმის შესახებ, რომ „ბარსელონამ“ „ინტერი“ დაამარცხა...

**ინტერი-ბარსელონა 2:0**

გოლები: 1:0 პიკე (10), 2:0 პედრო (26)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჩავი (ბარსელონა)

„ბარსა“ ვალდებული იყო, შეეტია და მოეგო, „ბარსამაც“ შეუტია და რა თქმა უნდა, მოიგო. პირველ ტაიმში „ინტერს“ კატალონიელთა ნახევარზე საერთოდ არაფერი გაუკეთებია და რაც მილანელებმა თავის ნახევარზე გააკეთეს, ისიც არ ვარგოდა - ორივე გოლი პირველ ტაიმში გაუშვეს. მთელი პირველი 45 წუთის განმავლობაში **კამბიასო** და კომპანია **ჩავის, ინიესტასა** და **პედროს** მხოლოდ კუდში დასდევდნენ. „ბარსელონას“ არც იმ ფაქტმა დააკლო რამე, **მესი** და **იბრაჰიმოვიჩი** სათადარიგოთა სკამზე რომ ისხდნენ და ძალები „რეალთან“ დუელისთვის შემოინახეს. „ინტერს“ უნდა რცხვენოდეს! არა იმიტომ, რომ „ბარსელონასთან“ წაგება კატასტროფაა, არამედ იმის გამო, რომ **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა შეტევაში აბსოლუტური იმპოტენტის შთაბეჭდილება დატოვა, ხოლო დაცვაში რა გამოუვიდა, ეს ანგარიშიდანაც ჩანს.

მეორე ტაიმში კატალონიელებს შეტევებზე დიდად აღარ უფიქრიათ, მაგრამ „ინტერმა“ **ვიქტორ ვალდესის** კართან რეალური საგოლე მომენტი მაინც ვერ შექმნა. ექსბარსელონელი **სამუელ ეტო'ო** თითქმის შეუმჩნეველი იყო. ახლა „ბარსას“ შეუძლია კიევში ერთბურთიანი სხვაობით წააგოს და მერვედფინალში მაინც გავა, „ინტერს“ კი „რუბინი“ ჰყავს დასამარცხებელი...

**პეპ გვარდიოლა:** *„ჩემს ბიჭებს ვულოცავ, დღეს ძალიან კარგად ითამაშეს და მერვედფინალისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით. ჩვენ ყოველთვის მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გვაქვს“.*

**დეიან სტანკოვიჩი:** *„ნოუ კამპზე“ „ბარსელონასთვის“ საკუთარი თამაშის თავზე მოხვევა ადვილი არასდროს არ არის. „ბარსა“ უმაღლესი კლასის გუნდია. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მომდევნო ტურს და „რუბინთან“ მატჩს დაველოდოთ.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| 2. ინტერი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| 3. რუბინი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-5 | 6 |
| 4. დინამო | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

ინტერი-რუბინი

დინამო-ბარსელონა

### G ჯგუფი

**უნირეა-სევილია 1:0**

გოლი: 1:0 დრაგუტინოვიჩი (45-საკ. კარში)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დაჩიან ვარგა (უნირეა)

„უნირეა“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს უკვე ძალიან სერიოზულად უმიზნებს, რაც სევილიელი **დრაგუტინოვიჩის** „დამსახურებაა“, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს რუმინელთა საჯარიმო დარტყმის შემდეგ, შესანიშნავი თავური დარტყმით ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა - რას იზამს, არ გაუთენდა კარგი დღე. სხვა მხრივ, „სევილია“ მეტოქეს სჯობდა, მაგრამ არა იმდენად, რომ სათამაშო უპირატესობა ანგარიშში აესახა. ანდალუსიელებს გოლის გატანაში ხელს ხან ძელი უშლიდათ, ხან „უნირეას“ მცველები, ხანაც მეკარე **არლაუსკისი**, რომელმაც ერთ მომენტში **კონკოს** „მკვდარი ბურთი“ აუღო.

**მანოლო ხიმენესი** (სევილია): *„სტატისტიკას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ უილბლო მარცხი განვიცადეთ. პირველიდან ბოლო წუთამდე თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით და მეტოქე დავჯაბნეთ. ერთი ეგაა, რომ გოლები ვერ გავიტანეთ. „უნირეას“ გამარჯვებას ვულოცავ, მაგრამ შედეგი აშკარად ალოგიკურია.“*

**რეინჯერსი-შტუტგარტი 0:2**

გოლები: 0:1 რუდი (16), 0:2 კუზმანოვიჩი (59)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კაკაუ (შტუტგარტი)

**მარკუს ბაბელი** ისევ 4-2-3-1 სქემას ენდო და გაუმართლა კიდეც, რაც მეტწილად **კაკაუს** დამსახურებაა, რომელმაც მისთვის უჩვეულო პოზიციაზე (კაკაუ ერთადერთი თავდამსხმელის, **პაველ პოგრებნიაკის** უკან მოქმედებდა) ძალიან კარგად ითამაშა. წარმოშობით ბრაზილიელმა შტუტგარტის შეტევები სწრაფი და კრეატიული გახადა. მას მარცხნიდან **ჰლები**, მარჯვნიდან კი **რუდი** ეხმარებოდნენ და თამამად ვიტყვით, ბაბელის ამ სქემამ გაამართლა. მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიელები თავს ხშირად ხუთი უკანახაზელით იცავდნენ, შტუტგარტელებმა არაერთხელ შეძლეს მათი დაცვის გარღვევა. გერმანული კლუბის გამარჯვება დამსახურებულია, რადგან „რეინჯერსმა“ კარისკენ მხოლოდ ხუთჯერ დაარტყა და აქედან, კარში არც ერთი დარტყმა არ წასულა. გლაზგოელებს მხოლოდ ერთი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ, რომელიც **კრის ბოიდმა** ვერ გამოიყენა. „შტუტგარტი“ ბოლო ტურში „უნირეას“ მასპინძლობს და თუ მერვედფინალში გასვლა უნდა, აუცილებლად უნდა დაამარცხოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| 2. უნირეა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 3. შტუტგარტი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 4. რეინჯერსი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-12 | 2 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

შტუტგარტი-უნირეა

სევილია-რეინჯერსი

### H ჯგუფი

**არსენალი-სტანდარდი 2:0**

გოლები: 1:0 ნასრი (35), 2:0 დენილსონი (45)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დენილსონი (არსენალი)

ზუსტად ისე, როგორც „ბარსელონამ“, საქმე ლონდონის „არსენალმაც“ პირველივე ტაიმში მოითავა, თუმცა „მეთოფეებმა“ უფრო მეტად დაჩაგრეს „სტანდარდი“, ვიდრე „ბარსამ“ მილანის „ინტერი“. და ის, რომ საბოლოო ანგარიში მხოლოდ და მხოლოდ 2:0-ია, ძალიან სასაცილო ფაქტია, რადგან „არსენალს“ გაცილებით დიდი სხვაობით უნდა მოეგო. ასე განსაჯეთ, ლონდონელების ბურთის ფლობის მაჩვენებელი პირველ ტაიმში 75 პროცენტი იყო. თუ მეორე ტაიმში **არსენ ვენგერის** გუნდს ეს მაჩვენებელი შეუმცირდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ლონდონელებმა ძალების დაზოგვა გადაწყვიტეს და მატჩის მეორე ნახევარში თავი მაინცდამაინც აღარ მოუკლავთ.

**სესკ ფაბრეგასთან** ერთად ძალიან კარგად ითამაშა **დენილსონმა**, რომელმაც ჯერ **ნასრის** გაატანინა, მერე კი თვითონაც იხეირა. სხვათა შორის, ლიეჟელებსაც ჰქონდათ გოლის გატანის შანსი, თანაც ორჯერ, მაგრამ ჯერ **მბოკანიმ** (მე-16 წუთზე), მერე კი **მანგალამ** (83) თავიანთი მომენტები ვერ გამოიყენეს - ერთმა ხარიხას მოარტყა, მეორემ კი ძელს. საბოლოოდ კი 2:0, რომელმაც „არსენალი“ მერვედფინალში გაიყვანა, „სტანდარდი“ კი „ოლიმპიაკოსს“ 3 ქულით დააშორა.

ინგლისური ტაბლოიდი „სანი“ მატჩის მეორე დღეს წერდა, არსენ ვენგერმა ისევ ყველაფერი სწორად გააკეთა, „არსენალს“ სწორედ ახლა სჭირდებოდა გამოფხიზლებაო.

**ალკმაარი-ოლიმპიაკოსი 0:0**

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ანტონიოს ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი)

უგოლო ფრე მხოლოდ „ოლიმპიაკოსს“ აწყობდა. ასე რომ, „ალკმაარი“ ისევ უნდა გავლანძღოთ. ჰოლანდიის ჩემპიონმა 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ ამ გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაში აშკარად ზედმეტი ფუფუნება იყო, რადგან „ალკმაარმა“ ბერძნულ გრანდს ისეთი ვერაფერი დაუპირისპირა, რის გამოც ცოტათი მაინც შევაქებდით. ჰოლანდიელები უიდეო და უგეგმო ფეხბურთს თამაშობდნენ, „ოლიმპიაკოსის“ მთავარი ამოცანა კი საკუთარი კარის უსაფრთხოება გახლდათ, რომლის ამოხსნას ბერძნებმა თავი ბრწყინვალედ გაართვეს.

მოკლედ, ერთ გუნდს არ უნდოდა, მეორეს კი არ შეეძლო და საბოლოო ანგარიშიც აბსოლუტურად ლოგიკურია. მატჩის საუკეთესო მომენტი კი **სხაარსის** დარტყმა იყო, რომლის შემდეგ ბურთი **ნიკოპოლიდისის** კარისკენ რიკოშეტით წავიდა, მაგრამ გამოცდილმა მეკარემ ივარგა. ზოგადად, 38 წლის კიპერი და მისი „თანამოაზრეები“, **მელბერგი** (32 წლის) და **ჟევლაკოვი** (33) უკანა ხაზს შესანიშნავად აკონტროლებდნენ. ბოლო ტურში ბერძნები უმოტივაციო „არსენალს“ მასპინძლობენ და ფრეც ეყოფათ იმისათვის, რომ მერვედფინალში გავიდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-5 | 7 |
| 3. სტანდარდი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 4. ალკმაარი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

ოლიმპიაკოსი-არსენალი

სტანდარდი-ალკმაარი

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

ესპანური ამბები

## ბარსას არ ასვენებენ

ესპანეთის ფეხბურთის ლიგამ (ლფპ) 19 დეკემბრისთვის დანიშნული მატჩი „ხერესსა" და „ბარსელონას" შორის მომავალი ოთხშაბათისთვის გადმოიტანა. გამოდის, რომ „ბლაუგრანა" მადრიდის „რეალთან" მატჩის შემდეგ ოთხ დღეში კიდევ ერთ შეხვედრას გამართავს. მატჩის გადმოტანის მიზეზი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატია, რომელიც 9-დან 19 დეკემბრამდე აბუ-დაბიში გაიმართება. ამ ტურნირში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „ბარსელონაც" მონაწილეობს.

## აბიდალმა გააგრძელა

„ბარსელონას" ფრანგმა მცველმა **ერიკ აბიდალმა** კატალონიურ კლუბთან კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა ურთიერთობა. დღეიდან აბიდალი 2012 წლის ზაფხულამდე „ბარსელონას" ეკუთვნის, ახალ კონტრაქტში გაუმჯობესდა ფეხბურთელის პირობები. აბიდალის გამოსასყიდი თანხა 90 მილიონი ევრო იქნება. თავად ფეხბურთელმა, ახლახან H1N1-ის ვირუსი (ღორის გრიპი) გადაიტანა და ჯერ უქმობს. **ხოსეპ გვარდიოლა** აგრძელებს მისი ვარსკვლავების „ბარსელონაში" დიდი ხნით დაკავების პოლიტიკას. ახლახან გააგრძელეს კონტრაქტი **ვიქტორ ვალდესმა**, პედრომ, კარლეს პუიოლმა, ლეო მესიმ და იაია ტურემ.

## გუტი კლასიკოსაც გამოტოვებს



მადრიდის „რეალს" ვეტერანი ნახევარმცველი **გუტი** „ელ კლასიკოზე" არ ეყოლება. „სამეფო კლუბის" ექიმთა განმარტებით, გუტის დაბრუნება ახალი ტრავმის გამო გადაიდო, მას მარცხენა ფეხის კუნთი დაეჭიმა. ფეხბურთელმა გამოკვლევა „სანიტას დე ლა მორალეხას კლინიკაში" გაიარა, სადაც გაირკვა, რომ მისი ტრავმა უფრო სერიოზული ყოფილა, ვიდრე ეს თავიდან ეგონათ. 33 წლის გუტის „ალკორკონთან" ცნობილი მარცხის (0:4) შემდეგ არ უთამაშია, თავიდან მანუელ პელეგრინისთან უთანხმოების, შემდეგ კი ტრავმის გამო.

## მიგელი ისევ წასვლაზე ალაპარაკდა

„ვალენსიას" მცველი **მიგელი** ისევ გუნდიდან წასვლაზე დაფიქრდა. ბოლო ტურის წინ, პარასკევის ვარჯიშზე ფეხბურთელმა დააგვიანა, რის გამოც **უნაი ემერიმ** მიგელი პამპლონაში „ოსასუნას" წინააღმდეგ სათამაშოდ აღარ წაიყვანა, მის პოზიციაზე კი **ბრუნო** ვიხილეთ. ის თამაში „ვალენსიამ" 3:1 მოიგო. მიგელის აგენტმა **პაულუ ბარბოზამ** განაცხადა, რომ ფეხბურთელთან ერთად განიხილავს ზამთრის სატრანსფერო პერიოდშივე „ვალენსიას" დატოვების შესაძლებლობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჰონვედისა და ფენერბაჰჩეს მატჩი, რომელზეც სერიოზული ეჭვებია

სკანდალი

# მანიპულირებული მატჩები: მაფია ჩემპიონთა ლიგასაც შეეხო!

## უეფამ საეჭვო გუნდები და მატჩები დაასახელა

სკანდალში, რომლის შესახებაც ამ დღეებში ხშირად ვწერთ, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მატჩებიცაა მოხვედრილი და ახლა უკვე ცნობილი გახდა იმ კონკრეტული შეხვედრების სია, რომლებზეც ეჭვობენ. ეჭვი სულ 5 კლუბზე წარმოიშვა. ესენია: „ტირანა" (ალბანეთი), „დინაბურგი" (ლატვია), „ვლაჟნია" (ალბანეთი), „ლიუბლიანა" (სლოვენია) და „ჰონვედი" (უნგრეთი).

უეფას სადისციპლინო კომისია 40 საეჭვო მატჩიდან 7 თამაშს განიხილავს. გარდა ამისა, ეჭვმიტანილია სამი მსაჯი და კიდევ ერთი პიროვნება, რომელსაც უეფასთან ურთიერთობა აქვს, მაგრამ უეფას თანამშრომელი არ არის.

*„ქაოსურობა ახლა არაფერს მოგვიტანს. სამართალდამცავებს დრო უნდა მივცეთ, რათა ყველაფერი დეტალურად იყოს გამოძიებული და რამდენადაც მწარე უნდა იყოს სიმართლე, ის უნდა ითქვას!"* - აცხადებს უეფას გენერალური მდივანი **ვოლფგანგ ნირსბახი**.

უეფამ მოუწოდა ყველა ფეხბურთელს თუ ფუნქციონერს: თუკი იცით რომელიმე მატჩის მანიპულირების ფაქტის შესახებ, შეგვატყობინეთ და ანონიმურობა გარანტირებულიაო. აი, შავ სიაში მოხვედრილი ის შვიდი მატჩიც: ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი: „სტაბეკი"-„ტირანა" 4:0; ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი: „იეჰუდა"-„დინაბურგი" 4:0, „დინაბურგი"-„იეჰუდა" 0:1; „რაპიდი"-„ვლაჟნია" 3:0, „ვლაჟნია"-„რაპიდი„ 0:5; ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი: „ლიუბლიანა"-„მეტალურგი" 0:3, „ფენერბაჰჩე"-„ჰონვედი" 5:1.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ვან გაალმა ტონი მოკვეთა!

## იტალიელი: ლუისს და მე ვეღარავინ და ვეღარაფერი შეგვარიგებს

მიუნხენის „ბაიერნში" ვითარება დღითი დღე მძიმდება. ჰაიფას „მაქაბისთან" მატჩის წინ „ზებენერშტრასედან" მორიგი სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა: რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** იტალიელი თავდამსხმელი **ლუკა ტონი** გუნდიდან მოკვეთა! სწორედ ამიტომ არ იყო ტონი გუშინდელი მატჩის განაცხადში და ჯერაც უცნობია, შეინდობს თუ არა ჰოლანდიელი მწვრთნელი მსოფლიოს 32 წლის ჩემპიონს ბუნდესლიგის მომავალი ტურისთვის.

რა გახდა ტონის გუნდიდან მოკვეთის მიზეზი? სამშაბათს იტალიელმა მშობლიურ ტელეარხ „რაი3"-ს ინტერვიუ მისცა, სადაც ვან გაალთან ურთიერთობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი და ლუისის შერიგება გამორიცხულია.

*„ოთხი თვეა, ვან გაალთან ძალიან ცუდი ურთიერთობა და სერიოზული პრობლემები მაქვს. ყველაფერს აქვს საზღვარი და ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო. პირდაპირ ვიტყვი: ჩემი და ვან გაალის ურთიერთობის სასიკეთოდ შეცვლა უკვე გამორიცხულია. ჩვენ ვერავინ და ვერაფერი შეგვარიგებს. ძალიან მინდა, რომ იტალიაში დავბრუნდე, რათა ბევრი გოლი გავიტანო და იტალიის ნაკრებში დამაბრუნონ. იტალიის ნაკრების დღევანდელი თავდამსხმელებიდან, „სკუადრა აძურაში" ყველაზე მეტი გოლი მე მაქვს გატანილი და დაუშვებელია ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ვითამაშო,"* - განუცხადა ტონიმ ჩვენს იტალიელ კოლეგებს.

ვან გაალის პასუხი: *„ლუკა ტონი ძალიან ცუდად იქცევა და მე ამას ვერ ავიტან. ვფიქრობ, განაცხადიდან მოკვეთით მე ის უკვე დავსაჯე. დანარჩენი კი ხელმძღვანელების გადასაწყვეტია".*

**გოტფრიდ ლენცი**



ლუის ვან გაალისა და ლუკა ტონის შერიგება გამორიცხულია

გამოძახილი

# რა ფული უშოვია ანრის...



არბიტრ მარტინ ჰანსონს თურმე ღამეები არ ეძინა, რაიმონ დომენეკი კი ლამის მილიონი ევროთი გამდიდრებულა

თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერი ფულით იწონება და ფასდება. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ პლეი ოფში ფრანგმა ვარსკვლავმა **ტიერი ანრიმ** ბურთი ჯერ ხელით გაისწორა და შემდეგლა მიაწოდა თანაგუნდელ **უილიამ გალასს**, რომელმაც ირლანდიის ნაკრების კარში გამარჯვების გოლი შეაგდო და „ლურჯებს" მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოუტანა. და რა მოუტანა ამ წარმატებამ საკუთრივ ფრანგ ფეხბურთელებს? ყველაზე დამსახურებულს - 450.226, ხოლო პირადად ანრის - 423.070 ევრო. თურმე, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების მოთამაშეებთან ასე ყოფილა შეთანხმებული: ყოველი მოგებული შეხვედრისთვის (ოფიციალური თუ ამხანაგური, სულერთია) თითოეულ მოთამაშეს 13.579 ევრო ერგებოდა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შემთხვევაში დაგროვილი თანხა ორმაგდებოდა.

ალსანიშნავია, რომ უკლებლივ ყველა შეხვედრაში მონაწილეობა **ქარიმ ბენზემამ** და **ალუ დიარამ** მიიღეს და, შედეგად, მათ ზემოთ დასახელებული 450.226 ერგოთ. ფედერაციასთან ცალკე გარიგება ჰქონდა „ლურჯების" მწვრთნელს **რაიმონ დომენეკს**, რომელმაც 900.460 ევრო ჩაიჯიბა. დომენეკმა განაცხადა: *„მე რომ კლუბში მემუშავა, ათჯერ უფრო დიდ გასამრჯელოს მივიღებდი".*

როგორც ჩანს, ფრანგების ბონუსებმა გულიდან დარდი გადაჰყარა შვედ მსაჯს **მარტინ ჰანსონს**, რომელმაც საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებთა შეხვედრაში ანრის „ხელბურთი" ვერ შეამჩნია. მან თქვა: *„ბოლო დღეების განმავლობაში სულ იმაზე ვფიქრობდი, დამენებებინა თუ არა მსაჯობისთვის თავი, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ მე ბრალი არაფერში მიმიძღვის".*

საინტერესოა, რატომ არ მიუძღვის არაფერში ბრალი მსაჯს, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში ხელით თამაში ვერ შეამჩნია?

ამასობაში კი, მოგეხსენებათ, ფიფამ მომავალ ოთხშაბათს სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ კი კეიპტაუნში საგანგებო თათბირი მოიწვია, სადაც დელეგატები საფრანგეთისა და ირლანდიის შეხვედრაში მომხდარ ამბავზე იმსჯელებენ. როდესაც თავდაპირველად ამის შესახებ გამოცხადდა, ირლანდიელებს გადათამაშების იმედი ჩაესახათ, მაგრამ ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა** მათ ცივი წყალი გადაასხა. ბლატერმა განაცხადა, რომ თათბირზე რაგინდ რთული დისკუსია გაჩაღდეს, შეხვედრას არავინ გადაათამაშებს. მოგეხსენებათ, ფიფამ ერთხელ უკვე უარყო ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის თხოვნა გადათამაშებასთან დაკავშირებით. ბლატერის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია:

*„შეხვედრის შედეგი არ შეიცვლება და მატჩი ხელახლა არ ჩატარდება. ფეხბურთის წესებში ნათლად წერია, რომ თამაშის მსვლელობისას მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა".*

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებდა გასაჩივრებას, მაგრამ როგორც გაირკვა, ამის უფლება აქ ჰქონია.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეგემონიათა ჭიდილი





# იუვენტუსი vs ინტერი

„ინტერი“ უკვე ოთხი წელია არავის უთმობს სკუდეტოს და შესაბამისად, ქვეყნის ყველაზე ძლიერი გუნდის სტატუსს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ „ნერაძური“ კვლავაც წარუმატებელია ევროარენაზე, რაც იტალიელ ექსპერტთა აზრით, უპირველეს ყოვლისა, სერია A-ს იმიჯს ლახავს. „ბარსელონასთან“ ნაჩვენები უსუსური თამაშის შემდეგ, „ინტერი“ მასმედიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, რაც მოსალოდნელიც გახლდათ. ავტორიტეტული გამოცემა „კორიერე დელო სპორტი“ ასეთ რამეს წერს:

„ჩემპიონთა ლიგის უპირობო მოგებას არავინ ითხოვს, მაგრამ იტალიის ჩემპიონი რომ ღირსების გარეშე თამაშობს, ეს არის ტრაგედია. ასეთი ჩემპიონი არავის სჭირდება და მილანელებმა ეს კარგად უნდა გაითავისონ. ფასი არ აქვს „ბოლონიასთან“ მოპოვებულ გამარჯვებას, თუ ევროასპარეზზე შერცხვი და ისე ითამაშე, როგორც შეშინებულმა დებიუტანტმა“.

იტალიურ პრესაში ასეთი პათოსის არაერთი სტატია დაიბეჭდა. როგორც ჩანს, აპენინებზე აღარ მოსწონთ იმ გუნდის ჰეგემონია, რომელსაც ქვეყნის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად ვერ გააქვს. საერთოდ, ბოლო ათწლეული იტალიაში ორი გუნდის ჰეგემონიად შეგვიძლია დავყოთ: 2005 წლამდე „იუვენტუსი“ იყო სკუდეტოს ბატონ-პატრონი, შემდეგ კი „ინტერის“ ჯერი დადგა. სხვათა შორის, ევროტიტულები ვერც „იუვემ“ მოიგო, თუმცა ტურინელთა შემთხვევაში ღირსების შელახვასა და ქვეყნის იმიჯის შებლალვაზე ლაპარაკი ნამდვილად არ ყოფილა. და მაინც, რომელ გუნდს ანიჭებენ უპირატესობას იტალიელელი გულშემატკივრები: „იუვენტუსს“ კალჩოპოლიმდე თუ „ინტერს“ კალჩოპოლის შემდეგ? გავეცნოთ გამოკითხვის შედეგებს, რომელიც ამპლუების მიხედვით ფეხბურთელთა დუელებში გამოიხატა. მაშ ასე, „იუვენტუსი“ VS „ინტერი“.

მეკარე

**ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი) VS ჟულიო სეზარი (ინტერი)**

**ჟულიო სეზარი** უდავოდ ძალიან ძლიერი მეკარეა და შემთხვევით არ გახლავთ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ძირითადი კიპერი, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ყველა გამოკითხვის შედეგების მიხედვით **ჯიჯი ბოფონი** მსოფლიოს ნომერი პირველი მეკარეა. ბუფონის მიღწევებზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიოს ჩემპიონია. გავიხსენოთ მუნდიალი და ის, რაც ბევრს უკვე დავიწყებული აქვს: ამ მართლაც ბრწყინვალე მეკარემ მსოფლიო ფორუმზე გამართულ შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა, იქიდან ერთი ავტოგოლი გახლდათ, მეორე კი თერთმეტმეტრიანი. ერთი სიტყვით, სეზარს ბუფონმა აჯობა.

*გამარჯვებული: ბუფონი (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 1:0*

მარჯვენა მცველი

**ჯონათან ძებინა (იუვენტუსი) VS დუგლას მაიკონი (ინტერი)**

გამარჯვება **მაიკონს** დარჩა, რაც სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება. მაშინდელ „იუვენტუსში“ მარჯვენა ფრთა ყველაზე სუსტ წერტილად მიიჩნეოდა, რაც **ჯონათან ძებინას** არცთუ დამაჯერებელი ასპარეზობის პირდაპირპროპორციული გახლდათ. საგულისხმოა, რომ თანამედროვე „იუვეშიც“ სწორედ მარჯვენა მცველის პოზიცია მიიჩნევა ყველაზე სუსტად - **გრიგერა** და **კასერესი** აშკარად ვერ უწყობენ ფეხს **კანავაროს**, **კიელინის** და **გროსოს**. რაც შეეხება დუგლას მაიკონს, სრულიად საპირისპირო ვითარებაა, ბრაზილიელი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ძლიერი ფიგურაა დღევანდელ „ინტერნაციონალეში“. შესაბამისად, უპირატესობა მას მიენიჭა.

*გამარჯვებული: მაიკონი (ინტერი)*

*იუვენტუსი-ინტერი 1:1*

ცენტრალური მცველი

**ფაბიო კანავარო (იუვენტუსი) VS ივან კორდობა (ინტერი)**

თუ კარგად დავაკვირდებით, ამ ფეხბურთელებს შორის ბევრ მსგავსებას აღმოვაჩენთ. ცენტრალური მცველის კვალობაზე საკმაოდ ტანმორჩილნი არიან, თუმცა ძალიან მაღალი ნახტომი აქვთ და მეორე სართულზე უზადოდ თამაშობენ. **ივან კორდობა** გამოირჩევა მებრძოლი ხასიათით და შეუპოვრობით, მაგრამ **ფაბიო კანავარო** მაინც უფრო მაღლა უნდა დამდგარიყო და ასეც მოხდა. ბრწყინვალე „იუვენტუსის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი, რომელმაც კარიერის პიკს 2006 წელს უწია, მუნდიალი მოიგო და ოქროს ბურთსაც დაეუფლა. ასე რომ...

*გამარჯვებული: კანავარო (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 2:1*

ცენტრალური მცველი

**ლილიან ტურამი (იუვენტუსი) VS ვალტერ სამუელი (ინტერი)**

**ვალტერ სამუელი** ძალიან საიმედო მცველია და მისთვის ეპითეტები ნამდვილად არ დაგვენანება. 2005 წლიდან „ინტერის“ შემადგენლობაში ირიცხება, 84 თამაში აქვს ჩატარებული და ექვსი გოლი გატანილი. შესანიშნავი მაჩვენებელია, მაგრამ მას **ლილიან ტურამთან** მოუწია შეჭიდებამ, მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველთან. დღეს ამაზე საუბარი თამამად შეიძლება, ის თავისუფლად შეგვიძლია დავაყენოთ **ლოთარ მათეუსის**, **პაოლო მალდინის**, **ფრანკო ბარეზისა** და სხვა გენიალური მცველების გვერდით. კანავაროს მსგავსად, ისიც მსოფლიოს ჩემპიონია და რა გასაკვირია, რომ გამარჯვება მას ხვდა წილად.

*გამარჯვებული: ტურამი (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 3:1*

მარცხენა მცველი

**ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი) VS მაქსველი (ინტერი)**

„ინტერის“ გულშემატკივრებს **მაქსველი** ყოველთვის განსაკუთრებულად უყვარდათ, რადგან თავის საქმეს ჩუმად და გულმოდგინედ აკეთებდა. მართლაც შესანიშნავი სეზონი ჩაატარა 2007/08 წლებში და „ინტერის“ გაჩემპიონებაში თავისი არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა. მეორე მხარეს, სახეზე გვყავს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი უკანახაზელი, რომელსაც ფლანგზე ასპარეზობაში ცოტა თუ შეედრება. მართალია, ბოლო დროს უწინდელივით ველარ ბრწყინავს, მაგრამ „იუვეში“ ასპარეზობისას მართლაც გენიალური გახლდათ. საერთოდაც, **ძამბროტა** უფრო დიდი ფეხბურთელია, ვიდრე მაქსველი და გამარჯვებაც მას ხვდა წილად.

*გამარჯვებული: ძამბროტა (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 4:1*

მარჯვენა ნახევარმცველი

**მაურო კამორანეზი (იუვენტუსი) VS ხავიერ ძანეტი (ინტერი)**

შავ-თეთრ კუთხეში თქვენ წინაშეა ფეხბურთელი, რომელიც თანაბრად კარგად ასპარეზობს დაცვით და შეტევით ფაზაში. დღემდე „იუვენტუსის“ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია და გუნდის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვს. ამასთან, ითამაშა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე და ოქროს მედალიც მოიპოვა. შავ-ლურჯ კუთხეში გახლავთ ფეხბულთელი, რომელიც უკვე ცამეტი წელია „ინტერში“ ასპარეზობს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის ლეგენდა, რომელიც კლუბის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. ამიტომ, არჩევანი სწორედ მასზე შეჩერდა.

*გამარჯვებული: ძანეტი (ინტერი)*

*იუვენტუსი-ინტერი 4:2*

ცენტრალური ნახევარცმველი

**ემერსონი (იუვენტუსი) VS ესტებან კამბიასო (ინტერი)**

ბრაზილიურ-არგენტინული დაპირისპირება **კამბიასოს** გამარჯვებით დასრულდა. თავისთავად, **ემერსონმა** შესანიშნავი წლები გაატარა „იუვენტუსში“ და ამაზე სტატისტიკა ნათლად მეტყველებს. ტურინული გრანდის შემადგენლობაში 67 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ის გახლდათ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპეციალისტის, **ფაბიო კაპელოს** ფავორიტი ფეხბურთელი. საშუალება რომ ჰქონდეს, ალბათ, ინგლისის ნაკრებშიც გამოიძახებდა. თუმცა, უპირატესობა მაინც ესტებან კამბიასოს მიენიჭა, ფეხბურთელს, რომელიც 2004 წლიდან „ინტერში“ ასპარეზობს - 162 შეხვედრა აქვს შავ-ლურჯი მაისურით ჩატარებული და 22 გოლი გატანილი.

*გამარჯვებული: კამბიასო (ინტერი)*

*იუვენტუსი-ინტერი 4:3*

ცენტრალური ნახევარმცველი

**პატრიკ ვიეირა (იუვენტუსი) VS პატრიკ ვიეირა (ინტერი)**

ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საყრდენი ნახევარმცველი, რომელმაც „იუვენტუსშიც“ ითამაშა და „ინტერშიც“. „ნერაძურიში“ დღემდე ასპარეზობს, ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვერ ხვდება, მაგრამ როცა მოედანზეა, ჩვეული სტაბილურობით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, უპირატესობა მაინც „იუვენტუსში“ მოასპარეზე **ვიეირას** მიენიჭა და ეს არც არის გასაკვირი - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2004-06 წლებში ფრანგი გაცილებით ახალგაზრდა გახლდათ და შეიძლება ითქვას, რომ საუკეთესო დროებას განიცდიდა.

*გამარჯვებული: ვიეირა (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 5:3*

მარცხენა ნახევარმცველი

**პაველ ნედვედი (იუვენტუსი) VS დეიან სტანკოვიჩი (ინტერი)**

**სტანკოვიჩი** დღემდე „ინტერის“ ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია და თავისი წვლილი შეაქვს გუნდის წარმატებებში. სერბი მილანურ გრანდში 2004 წელს გადაბარგდა, უკვე მოასწრო 266 შეხვედრის გამართვა და 24 გოლის გატანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისებრ ძლიერად და ზუსტად მოქმედი ფეხბურთელებიდან ცოტა თუ ურტყამს ბურთს. თუმცა გამარჯვება მაინც კონკურენტს, **პაველ ნედვედს** დარჩა. ჩეხმა ტურინულ გრანდში 9 დაუვიწყარი წელი გაატარა, სამჯერ მოიგო სკუდეტო და ორჯერ იტალიის სუპერთასი. რომ არა კალჩოპოლი და მისი შედეგები, მის კოლექციაში კიდევ ერთი ჩემპიონის მედალი იქნებოდა. უდავოდ გენიალური ფეხბურთელია, რომელმაც კარიერა გასულ ზაფხულს დაასრულა.

*გამარჯვებული: ნედვედი (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 6:3*

თავდამსხმელი

**ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი) VS ადრიანო (ინტერი)**

**ადრიანომ** მთელი რვა წელი იასპარეზა „ინტერში“, 123 შეხვედრა გამართა და 48 გოლი გაიტანა. საკმაოდ კარგი შედეგია და საერთოდაც, რომ არა მისი მძიმე ხასიათი, შეეძლო გაცილებით მეტისთვის მიეღწია. რაც შეეხება **დელ პიეროს**, მასზე სალაპარაკოდ შეიძლება ერთი გვერდი არ გვეყოს. ტურინული გრანდის ლეგენდამ შავ-თეთრი მაისურით უკვე 435 მატჩი გამართა. მისი სურვილია 500-მატჩიან ზღვარს გადააბიჯოს და წესით, მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს. ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით რომ გამარჯვება „პინტურიკიოს“ დარჩა.

*გამარჯვებული: დელ პიერო (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 7:3*

თავდამსხმელი

**დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი) VS ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)**

ტრავმებს რომ არ დაეტანჯათ, ალბათ, კიდევ უფრო მეტს მიაღწევდა, მაგრამ **დავიდ ტრეზეგე** უდავოდ ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გოლეადორია. „იუვენტუსში“ 2000 წლიდან ირჯება, 238 მატჩი აქვს ჩატარებული და 137 გოლი გატანილი. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დელ პიეროს იდეალური მეწყვილე გახლავთ. მიუხედავად ამისა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** სამწლიანი ინტერული კარიერა უფრო მეტად დაუფასდა და გამარჯვება სწორედ მას დარჩა. მართლაც კოლოსალურია ის როლი, რომელიც შვედმა „ნერაძურის“ წარმატებებში ითამაშა. მიჯრით მოპოვებულ სკუდეტოებს მილანელები დიდწილად სწორედ ზლატანს უნდა უმადლოდნენ და გამომდინარე აქედან, მისი გამარჯვება სულაც არ გახლავთ გასაკვირი.

*გამარჯვებული: იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)*

*იუვენტუსი-ინტერი 7:4*

მწვრთნელი

**მარჩელო ლიპი/ფაბიო კაპელო (იუვენტუსი) VS რობერტო მანჩინი/ჟოზე მოურინიო (ინტერი)**

რობერტო მანჩინი თავისთავად საინტერესო სპეციალისტია, რომ აღარაფერი ვთქვათ **ჟოზე მოურინიოზე**, მაგრამ ისინი ამ დუელში წინასწარვე განწირულნი იყვნენ. **ფაბიო კაპელო** და **მარჩელო ლიპი**, ორი უდიდესი ტაქტიკოსი და უდიდესი სტრატეგი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა დროის ორი გამორჩეული სპეციალისტი, რომლებმაც „იუვენტუსთან“ ერთად არაერთი ტიტული მოიპოვეს.

*გამარჯვებული: ლიპი/კაპელო (იუვენტუსი)*

*იუვენტუსი-ინტერი 8:4*

**ლაშა ნიკლაური**

ათი ყველაზე...


ერიკ კანტონა


პოლ მაკგრათი


როი კინი


ვინი ჯონსი


შონ გოუთერი

# ოჰ! აჰ! კანტონა!

დიდი ხანია, „ლელოს" მკითხველისთვის რუბრიკა „ათი ყველაზე..." არ შეგვითავაზებია. დღეს გაზეთ „სანს" დავესესხებით და ინგლისურ ფეხბურთში მისი თვალით ჩავიხედავთ. „სანი" წერს, რომ ქვეყანას, რომელმაც მსოფლიოს ფეხბურთი აჩუქა, წლების განმავლობაში თავისი ვარსკვლავები ჰყავდა. მაგალითად, პოლ გესქოინი, ჯორჯ ბესტი, დევიდ ბექჰემი... ეს ის ხალხია, რომელსაც ინგლისელები არასდროს დაივიწყებენ... უკაცრავად, ვერასდროს დაივიწყებენ. ისინი განსაკუთრებული ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი, თუმცა გაზეთი იმაშიც მართალია, რომ მავანი შესაძლოა ყველა ჯურის ნიჭით იყოს შემკული, მაგრამ გმირი ვერ გახდეს. რატომ? იმიტომ, რომ გულშემატკივარი (როგორც ინგლისში, ასევე, ალბათ, სხვა ქვეყნებშიც) ხშირად სულ სხვა, არა საფეხბურთო, არამედ ადამიანური თვისების გამო შეიყვარებს ხოლმე მოთამაშეს. ყოფილა შემთხვევები, როდესაც არცთუ ნიჭიერი ფეხბურთელი თავდადების გამო გამხდარა ათასების კერპი. „სანს" ძალიან იოლად მოაქვს ასეთი კაცის მაგალითი: ჯეისონ ლი ერთი აყლაყუდა თავდამსხმელი გახლდათ, რომელსაც ვარცხნილობის (დღეს გადახოტრილია) გამო, თუ ძალიან მოვაქართულებთ, „ანანასას" ეძახდნენ. ეს კაცი ბურთს 1989 წლიდან დასდევს და დღესაც, 38 წლისა, სადღაც „კორბი თაუნშია". კარიერის განმავლობაში მან თექვსმეტი კლუბი გამოიცვალა, რომელთაგან ზოგში ორჯერაც იყო, მაგრამ გმირად 1994-97 წლებში „ნოტინგემ ფორესტში" იქცა. მისი კარიერის ზერელე აღწერიდანაც იოლად ჩანს, რომ ლი გამორჩეული ნიჭით არ იყო დაბადებული, მაგრამ ის გიჟური თავდადება და ენერგია, რომლითაც ოთხმოცდაათიან წლებში გამორჩეოდა, ნოტინგემელ ფანებს ყოველ ტურში მის სახელზე სიმღერებს ათხზვევინებდა.

დღეს „სანი" სწორედ ინგლისელი გმირების ჩამონათვალს გვთავაზობს. ვიმეორებთ, გმირების, რომელთაგან ზოგი, შესაძლოა, ძალიანაც ნიჭიერი იყო და ბურთითაც კაშკაშებდა, ზოგი კი არა.

## 10. მეტ ლე ტისიე

დიდი ხნის განმავლობაში ლე ტისიე და „საუთჰემპტონი" ერთი ცნება იყო. მან ამ კლუბში 1986-2002 წლებში ითამაშა. რასაკვირველია, ყოველთვის გმირი არ იყო, როგორც ჩვენში კომუნისტების დროს უყვარდათ თქმა - „განვლო გზა უბრალო მუშიდან საამქროს უფროსობამდე", მაგრამ ბოლოს თილისმა გახდა. ნიჭიერი ფორვარდი იყო, თუმცა იმდენად ფიზიკური მონაცემით ვერ გამოირჩეოდა, რამდენადაც ტექნიკით. სუსტი ჯანის გამო, ხანდახან მოწინააღმდეგეთა ფანები დასცინოდნენ კიდეც. ლე ტისიე ბურთს ორივე ფეხით კარგად ფლობდა. მას ბევრი ლამაზი გოლი გაუტანია. ჯარიმებისა და პენალტების დარტყმაში ბადალი არ ჰყავდა. ის რომ არა, „საუთჰემპტონი" გაცილებით მეტ დროს გაატარებდა ქვედა ლიგებში.

## 9. მიკი ქუინი

ლე ტისიეს მსგავსად არც ქუინი გახლდათ ალნაგი და ლონიერი. ინგლისის სტადიონებზე გავრცელებული ფანთა სიმღერა „ვინ მიირთმევს ყველა ნამცხვარს" თავდაპირველად სწორედ მას მოუგონეს და ისიც მეტისმეტად იოლად მიირთმევდა, რისი მირთმევაც მოედანზე შეიძლებოდა. ქუინმა ბურთის გორება „დერბიში" დაიწყო და ყურადღებაც თავიდან იქ მიიპყრო. შემდეგ ის „უიგანში" გადავიდა, თუმცა კარიერის მწვერვალზე „პორტსმუთში", „ნიუკასლსა" და „ქოვენტრიში" გახლდათ.

## 8. პერი გროვსი

„ჩვენ ყველანი პერი გროვსის საყაროში" ვცხოვრობთ, ერთხმად მღეროდა „არსენალის" ლეგენდარული სტადიონი, დღეს დანგრეული „ჰაიბერი" 1986-92 წლებში და როგორც ინგლისელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, ამ მწითურ მარცხენაფლანგელს დღესაც არ აკლია ხალხის სიყვარული. თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ფანკლუბი დღეს, გროვსის კარიერის დამთავრებიდან თხუთმეტი წლის შემდეგაც არსებობს და ვებსაიტიც მუშაობს. მეტსაც გეტყვით, მისი ავტობიოგრაფია უფრო დიდი ტირაჟით გაიყიდა, ვიდრე **ეშლი კოულის, რიო ფერდინანდისა** და **ფრენკ ლემპარდის**. სხვათა შორის, პერი გროვსმა აქილევსის მყესის ორი ოპერაციის შემდეგ ფეხბურთის თამაშს თავი მხოლოდ და მხოლოდ 28 წლისამ დაანება.

## 7. პიტერ ოსგუდი

„ოსგუდი, ოსგუდი „სტემფორდ ბრიჯის" მეფედ დაბადებული", - „ჩელსის" ნამდვილმა ფანმა ამ სიმღერაში სიტყვა ოსგუდი რაც შეიძლება მეტჯერ უნდა გაიმეოროს, რათა სრულყოფილად გამოხატოს თავისი სიყვარული ლეგენდარული ფეხბურთელისადმი, რომელიც 2006 წლის 1-ელ მარტს 59 წლისა გარდაიცვალა. დღევანდელ ქომაგებს თვალს შესაძლოა **ჯონ ტერისა** და ფრენკ ლემპარდის ფიგურები სჭრით, მაგრამ პიტერ ოსგუდი ყოველთვის დარჩება ლონდონელი ლურჯების ნამდვილ, პირველ კერპად. როდესაც ამ თავდამსხმელმა „ჩელსიში" გაიბრწყინა (1964-74) „ლურჯები" ისტორიაში პირველად გახდნენ ძალიან გამორჩეულნი და პოპულარულნი - 1970 წელს ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგეს, შემდგომ წელიწადს კი ევროპის თასების მფლობელთა თასიც მიაყოლეს. ერთადერთი, რაც ოსგუდს კარიერაში დააკლდა, სანაკრებო დიდება და აღიარება გახლდათ. მან ინგლისის ეროვნულ გუნდში მხოლოდ 4 შეხვედრა ჩაატარა. რატომ? იმიტომ, რომ ნაკრების იმდროინდელ მწვრთნელს, საბჭოთა კავშირში ალფ რამსეიდ ცნობილ **ალფ რემსის** მისი მექალთანეობა და „ჰარი-ჰარალე" აღიზიანებდა.

## 6. ნევილ საუთჰოლი

თუკი ამ კაცამდე მიაღწევდი, „დიდ ნევს", ბურთს ველარ ააცილებდი - ასეთი შემორჩა, ყოველ შემთხვევაში, მეხსიერებას. ნევილ საუთჰოლმა 1998-იდან 2002 წლამდე თორმეტი კლუბი მოიარა, მაგრამ ამას, რასაკვირველია, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მის კარიერაში მთავარი ის 17 წელიწადი იყო, რომელიც გოლკიპერმა 1981-98 წლებში „ევერტონში" გაატარა. მისმა განსაკუთრებულმა ნიჭმა დიდი როლი ითამაშა „ევერტონის" მიერ ორჯერ ინგლისის ჩემპიონის ტიტულის, ორჯერ ფეხბურთის ასოციაციის თასის და ერთხელაც უეფას თასის მოპოვებაში, თუმცა ჩვენ გვინდა შეგახსენოთ ის, რაც „სანს" არ უწერია: 1994 წლის 6 ნოემბერს, თბილისში, სწორედ ის იდგა უელსის ნაკრების კარში, როდესაც საქართველოს ნაკრებმა ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა და კიდევ, იმ თამაშიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, უელსმა ჰოლანდიასთან შვიდი გოლი გაუშვა (უელსელთა გუნდს მართლაც საშინელი პერიოდი ჰქონდა), მაგრამ მატჩის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ მეკარე საუთჰოლი დაასახელეს. იმ დღეს საუთჰოლმა საოცარი დარტყმები მოიგერია.

## 5. შონ გოუთერი

„აჭამეთ თხას და ჩვენ გოლებს გავიტანთ", - ასე მღეროდნენ ფანები ინგლისში, იმიტომ, რომ „გოუთ" ინგლისურად თხაა, ხოლო ბერმუდელ თავდამსხმელს საჯარიმოში პასს თუ მიაწოდებდით, გაიტანდა. გოუთერმა „როტერჰემში", „ბრისტოლ სიტისა" და „მანჩესტერ სიტიში" თამაშით გამოიჩინა თავი და ვინ იცის, რა სიმაღლეებს მიაღწევდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითადშიც რომ შეეღწია. „იუნაიტედი" რატომ ვახსენეთ? იმიტომ, რომ ამ ოკეანისგაღმელმა კაცმა პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა 1989 წელს სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედში" დაიწყო.

## 4. ვინი ჯონსი

დიახ, ეს სწორედ ის კაცია, ჰოლივუდიდან, ოღონდ მოდი, ნუ დაგვავიწყდება, რომ სანამ მსახიობი გახდებოდა საკმაოდ კარგი, თან გიჟმაჟი ფეხბურთელი იყო და 1995 წლის 7 ივნისს საქართველოს წინააღმდეგაც აქვს ნათამაშები უელსის ნაკრების შემადგენლობაში. სხვა ამბავია, რომ მისი საფეხბურთო კარიერის გახსენებისას გონებაში უპირველეს ყოვლისა ოსტატობა კი არა, წითელ-ყვითელი ბარათები მოდის. მან თავის დროზე სახელი გაითქვა, როგორც „უიმბლდონელი გიჟების ბანდის" წევრმა („უიმბლდონის" თავდადებულ ფეხბურთელებზეა ლაპარაკი და არა კრიმინალზე) და ამ გუნდთან ერთად, 1988 წელს ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოიგო. ერთგულებითა და თავდადებით შემორჩა „ლიდსის", „შეფილდ იუნაიტედის" და „ჩელსის" ფანების მეხსიერებასაც. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იგი უელსის ნაკრების წევრი იყო. კაცმა არ იცის, რატომ თამაშობდა ინგლისელი კაცი უელსის ნაკრებში, მაგრამ როგორც „სანის" ჟურნალისტები ამბობენ, თუ ბიჭები ხართ, მიდი და ჰკითხეთ - წინაპრებში ვინმე უელსელი ხომ არ ერია.

## 3. როი კინი

ნიჭიერი ფეხბურთელი იყო როი კინი თუ უნიჭო? უდავოდ ნიჭიერი. მას ერთგულების, თავდადების და თანაგუნდელების დაზღვევა-დახმარების მომადლებული ნიჭი ჰქონდა. სანამ „მანჩესტერ იუნაიტედის" გმირი გახდებოდა, „კინომ" „ნოტინგემ ფორესტში" გაითქვა სახელი. კინი გახლდათ ფეხბურთელი, რომელიც მოწინააღმდეგე გუნდის ფანებს ეზიზღებოდათ, თავის გუნდში კი ყველას უყვარდა. თუმცა, 2005 წელს, ირლანდიელმა მანჩესტერელი თანაგუნდელების ცხოვრების წესისა და მათი ცოლების ზედმეტად გააქტიურების (სამზარეულოს გარეთ, კლუბის ცხოვრებაში) წინააღმდეგ გაილაშქრა და ამის გამო გუნდის დატოვებაც მოუხდა.

## 2. პოლ მაკგრათი

რა **ლედლი კინგი**, რის ლედლი კინგი, ნამდვილად დანჯღრეული ფეხბურთი ირლანდიელი პოლ მაკგრათი გახლდათ. მუხლები ისეთ დღეში ჰქონდა, ვარჯიშებზე ძლივს დაბობღავდა, მაგრამ გავიდოდა თუ არა მოედანზე, გარდაიქმნებოდა და მისნაირი ცენტრალური მცველი სანატრელი ხდებოდა. ის 1982-89 წლებში „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობდა, 1989-96 წლებში კი „ასტონ ვილასაც" დაატყო მადლიანი ხელი. მაკგრათმა „იუნაიტედის" შემადგენლობაში ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო, „ვილასთან" ერთად ორჯერ გახდა ლიგის თასის მფლობელი, იტალია 90-ზე ირლანდიის ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და 1993-ში ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

## 1. ერიკ კანტონა

თუ ბურთს თევზსაჭერ გემებს აკიდებულ თოლიებს არ გაუქანებდა ან კუნგ-ფუს ილეთებით ტრიბუნაზე მაყურებელს არ დაესხმებოდა თავს, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ფასდაუდებელ საქმეს აკეთებდა. „მანჩესტერამდე" ფრანგი „ლიდს იუნაიტედში" გამოდიოდა და ამ გუნდის შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ლეგენდად „იუნაიტედში" იქცა. სანამ „მეფე ერიკი" 30 წლისა ფეხბურთის თამაშს თავს დაანებებდა, „იუნაიტედი" ოთხჯერ გახადა პრემიერლიგის ჩემპიონი, ხოლო ორჯერ ფეხბურთის ასოციაციის თასი მოაგებინა. არავინ იცოდა, რომელ წუთს რა მოუვლიდა თავში. ამბობენ, რომ მისი მოწინააღმდეგე გუნდის ფანებსაც ეშინოდათ, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ და იმავდროულად უდიდეს პატივსაც სცემდნენ. მართლაც რომ „ოჰ! აჰ! კანტონა!"

ილია ბაბუნაშვილი


ნევილ საუთჰოლი


პიტერ ოსგუდი


პერი გროვსი


მიკი ქუინი


მეტ ლე ტისიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო კომიტეტში

# თბილისის მერიის მისაბაძი თაოსნობა

გუშინ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა მიეძღვნა „სპორტის შესახებ კანონის“ ახალი რედაქციის საბოლოო განხილვას. საბჭოს თავმჯდომარემ **ვაჟა შუბლაძემ** დაწვრილებით გააანალიზა პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც აისახება კანონში და გახდება ქართული სპორტის შემდგომი წინსვლის გარანტი.

მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისის მერთან **გიგი უგულავასთან** შეხვედრის შემდეგ დედაქალაქში გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელთა დასასაქმებლად. უკვე 160 სპეციალისტი შეუდგა მუშაობას შესაბამისი ფედერაციების წარდგინებით. თითოეული მწვრთნელი ყოველთვიურად მიიღებს 500 ლარს დაუქვითავად. გარდა ამისა, გამოიყო თანხები სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ სექციებში მეცადინეობის უზრუნველსაყოფად.

*„160 სპეციალისტის დასაქმებით თითქმის გადაწყდა სპორტში ბავშვთა მეცადინეობისთვის მწვრთნელთა გადასახადის პრობლემა. იმედი გვაქვს, თბილისს სხვა ქალაქები და რაიონებიც მიბაძავენ“* — თქვა ვაჟა შუბლაძემ.

**საბჭომ ახალ წევრად აირჩია თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი ზაზა დოლიძე და, შესაბამისად, შემადგენლობიდან გამოიყვანა სფფ-ის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია.**

**თენგიზ თომაშვილი**

ძიუდო

ინტერვიუ სოსო ლიპარტელიანთან

# ზუსტად შესრულებული გეგმა

**ერთი ოქრო და ერთიც ბრინჯაო - ამ შედეგით დაასრულა გამოსვლა საქართველოს ნაკრებმა 23-წლიანთა ევროპის პირველობაზე ანტალიაში. კონტინენტის ჩემპიონი პაატა მერებაშვილი (60) გახდა, ბრინჯაო კი ზვიად ბაზანდარაშვილმა (73) მოიპოვა. ამასთან, კიდევ ორი მოჭიდავე მეხუთეზე გავიდა - ზურაბ შარვაშიძე (66) და კოტე მუკვანი (100). გუნდი ამ დღეებში დაბრუნდა თბილისში და ტურნირის შესახებ ნაკრების თავკაცი სოსო ლიპარტელიანი გვესაუბრება.**

**- ანტალიაში წასვლამდე რას გეგმავდით, რა იყო თქვენი მიზანი?**

- მინიმუმ ორ მედალს, მათ შორის - ერთ ოქროს ნამდვილად ვგეგმავდით. მოხარული ვარ, დასახული გეგმა რომ შევასრულეთ.

**- იმდენად ძლიერი გუნდი გყავდათ წაყვანილი, იმდენად გამოცდილი ფალავნები შედიოდნენ მასში, გასაკვირია, მეტს რატომ არ გეგმავდით?**

- დაგეგმვით მეტს ვგეგმავდით და უარს არც სხვების მედალზე ვიტყოდით, მაგრამ ეს პროგრამა-მინიმუმი იყო. მართლაც შეგვეძლო უფრო მეტის მოპოვება. სანყენია, ეს რომ ვერ შევძელით.

**- ყველაზე მეტად ვისმა მარცხმა დაგწყვიტათ გული?**

- ძალიან დამწყდა გული ზურაბ შარვაშიძის (66) წაგებაზე, რომელმაც ბრინჯაოსთვის იჭიდავა. თუმცა მას საყვედური მაინც არ ეთქმის, რადგან უცხოეთში პირველად ჭიდაობდა და ძალიან კარგად იასპარეზა. უბრალოდ, სანყენია, ბრინჯაო რომ ვერ მოიპოვა.

გულდასაწყვეტი იყო გიგა ნიკლაურისა (81) და ლევან მუქერიას (+100) წაგებებიც. მუქერია დამთავრებამდე 13 წამით ადრე იგებდა, მაგრამ ბოლოს სუნთქვა არ ეყო და წააგო. თვითონ თქვა, რომ გლანდები აწუხებს და ამიტომ ვერ გაუძლო ბოლომდე. არადა, ნორმალურად ვარჯიშობდა, შეკრებებიც კარგად გაიარა.

**- ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ არჩილ შინჯიკაშვილის გამოსვლას როგორ აფასებთ?**

- ძალიან ცუდად გამოვიდა. ის პირველივე წრეში დამარცხდა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონსა და ვერცხლის პრიზიორთან, ჰოლანდიელ მარვინ დე ლა კროსთან. მან იცოდა თავისი მეტოქის ვინაობა და ვერ განეწყო საჭიდაოდ.

**- პაატა მერებაშვილის გამოსვლაზე რას იტყვით?**

- ერთი შეცდომა არ დაუშვია, ისე გახდა ჩემპიონი. ძალიან ძლიერად იჭიდავა და კარგი შეხვედრებიც მოიგო.

**- ის მედლის მოპოვების უმთავრესი კანდიდატი იყო, მაგრამ წილისყრამ განწყობა ხომ არ შეგიცვალათ, როცა გაირკვა, რომ მეორე წრეში უფროსებში მსოფლიოს პრიზიორი, ნესტორ ხერგიანის მომგები იტალიელი ელიო ვერდე ელოდა?**

- წილისყრის შედეგები მან არ იცოდა - არ ვუთხარით და ისე ვცდილობდით მის განწყობას. კიდევ ვიმეორებ - ძლიერად იჭიდავა. მისი სტილიც ზედგამოჭრილია ახალი წესებისთვის. ამის საპირისპიროდ, იტალიელისთვის ეს სიახლეები სირთულეა და ამიტომ მასთან მოგებას ველოდით. შეხვედრამდე მას ვეუბნებოდით, რომ იტალიელს ხვდებოდა, მისი რეგალიები კი არ გაგვიმხელია. მერებაშვილისთვის ის მხოლოდ ვიღაც იტალიელი იყო და არა მსოფლიოს პრიზიორი. ვცდილობდით, პაატა ისე განგვეწყო, რომ ბოლომდე ებრძოლა და საბოლოოდ ჩვენი დავალებაც კარგად შეასრულა. მან ამის შემდეგაც კარგი შეხვედრები მოიგო და დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. ფინალში თანამემამულე რობერტ მშვიდობაძეს შეხვდა და საკმაოდ იოლადაც მოუგო.

**- მათი ფინალი საინტერესო ბევრი რამის გამო იქნებოდა, როგორც თანამემამულეების, თანაქალაქელების, მეგობრების და ძველი მეტოქეების.**

- ამ ფინალს მათი მწვრთნელი ქართლოს პავლიაშვილიც ესწრებოდა. როგორც მისგან ვიცი, ხან ერთი უგებდა, ხან - მეორე. მშვიდობაძე ახლა რუსეთის ნაკრებში კი გამოდის, მაგრამ მეგობრებთან დამოკიდებულება არ შეუცვლია და ჩვეულებრივად შეგვხვდა.

**- ბაზანდარაშვილზე რას იტყვით?**

- მას ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, მაგრამ წლეულს ჯერ საქართველოს ჩემპიონატი მოიგო 23-იანებში, ახლა კი იქაც მედალი მოიპოვა. კმაყოფილი ვარ მისი ჭიდაობით, შეუძლია დიდი წარმატებების მოპოვება. მას ისიც შველის, რომ ქართული ჭიდაობის ტურნირებში სისტემატურად გამოდის, კარგად ფლობს ამ სტილს და ახალი წესების შემოღება ძალიან წაადგა.

**- ეს ახალგაზრდები 5-6 დეკემბერს ყველანი გამოვლენ საქართველოს ჩემპიონატში? დატვირთვა ზედმეტი ხომ არ მოუვათ?**

- ყველანი გამოვლენ, მაგრამ არა მგონია, გადაიღალონ. იქამდე ორი კვირაა და დასვენებას შეძლებენ.

**- ახალგაზრდული ნაკრების სამომავლო გეგმები როგორია, იგეგმება რომელიმე ტურნირში გამოსვლა?**

- ჯერჯერობით არაფერია დაგეგმილი. ისინი ახლა საქართველოს ჩემპიონატში გამოვლენ, მერე კი დიდების ნაკრებში ვინც მოხვდება, მათთან ერთად იასპარეზებს მსოფლიოს თასებზე. უშუალოდ ჩვენი ნაკრები კი ტურნირებში, ალბათ, მაისში გამოვა.

**ირაკლი თავაძე**

ბილიარდი

# ალექსიძე ისევ ოთხი წლით


დავით ალექსიძე

დიდი ხანია, ბილიარდი საქართველოშიც იატაკქვეშეთიდან სამზეოზე გამოვიდა და საინტერესო ღონისძიებებიც ეწყობა. ამის შესახებ გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **დავით ალექსიძემ** ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენთან ბილიარდის სხვადასხვა სახეობაში 45 ჩემპიონატი და ტურნირი გაიმართა, მათ შორის ორი საერთაშორისო შეჯიბრებაც: „კავკასიის თასი“ და ზაზა დარასელის ხსოვნის ტურნირი ოც-ოცი ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. ბოლო ასპარეზობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა **პაატა ხმალაძემ** გაიმარჯვა. მანვე წარმატებით იასპარეზა შარშან კიევში მსოფლიოს ჩემპიონატზე (კლასიკური პირამიდა), სადაც მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა წააგო და მეორე ადგილზე გავიდა.

ზემოაღნიშნულის გარდა, ქართველმა მობილიარდეებმა 15 საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯეს ძალები უცხოეთში. დღეისთვის ფედერაციაში ირიცხება 10 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 32 სპორტის ოსტატი (მათ შორის 7 მანდილოსანი), 10 ეროვნული კატეგორიის მსაჯი და 7 ლიცენზირებული მწვრთნელი. ბილიარდი ვითარდება 3 მიმართულებით: კლასიკური - პული–სნუკერი. პულში განსაზღვრულია A და B ლიგების შექმნა, რათა შეჯიბრებები უფრო საინტერესო გახდეს. მეტი ყურადღება მიექცევა სტუდენტური და ქალთა მიმართულების განვითარებას, მწვრთნელთა გადამზადებას და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ბილიარდის განვითარების კონცეფციის განხორციელებას.

სიტყვებით გამოვიდნენ პაატა ხმალაძე, პროფესორი **თამაზ შილაკაძე, როსტომ როსტომაშვილი,** ოფთოლმიჯის პროფესორი **გია ჯავრიშვილი,** კალათბურთში სპორტის დამსახურებული ოსტატი, მობილიარდე **ლევან ინწკირველი,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავა.**

დელეგატებმა საანგარიშო პერიოდში ფედერაციის მუშაობა დადებითად შეაფასეს. მომდევნო ოთხი წლით ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად ისევ დავით ალექსიძე აირჩიეს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რაგბი

ლეგიონერები

# პლეი ოფისთვის კვარტეტი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 2 დივიზიონში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო შედეგი F ჯგუფში მოასპარეზე **მერაბ კვირიკაშვილისა** და **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ფიჟაკს“ აქვს. ჩვენებურთა გუნდმა რვა შეხვედრიდან შვიდი მოიგო და 30 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას

ფიჟაკელებმა მე-8 ტურში საკუთარ მოედანზე ერთ-ერთი უშუალო კონკურენტი „აგდი“ 22:9 დაამარცხეს და შვიდი ქულით გაუსწრეს. „აგდიზე“ ერთი ქულით მეტი დააგროვა მეორეადგილოსანმა „როდეზ“, რომელმაც სტუმრად სძლია „პეზენას“ - 25:22.

შეგახსენებთ, რომ ფედერალ 2 დივიზიონში ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი რანგით უფრო მაღალ, ფედერალ 1 დივიზიონის საგზურს ავტომატურად მიიღებს. ამდენად, „ფიჟაკს“ კარგი შანსი აქვს, პლეი ოფის გარეშე დაწინაურდეს.

B ჯგუფში პლეი ოფში მოსახვედრად ქართველ მორაგბეთა ორი გუნდიდან მხოლოდ ერთი, **ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონი“ იბრძვის. პარიზელებმა მე-8 ტურში სტუმრად წააგეს „კომპიენთან“ - 3:11 და ახლა 19 ქულით მე-3 ადგილზე არიან. პირველადგილოსანი „ნევერი“, რომელიც დაუმარცხებლად ასპარეზობს, მჭედლიშვილის გუნდს 16 ქულით უსწრებს.

დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის **ირაკლი აბუსერიძის** „ოსერი“. ჩვენებურის გუნდმა საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტ „არასთან“ წააგო - 8:12. ოსერელებმა 13 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-11 ადგილზე არიან.

პლეი ოფში მოხვედრის შანსი აქვს D ჯგუფში მოასპარეზე **ილია ზედგინიძის** „კარკერნს“, რომელიც სტუმრად დამარცხდა „შატონოუსთან“ - 13:19. კარკერნელები ახლა 23 ქულით მეოთხე ადგილზე არიან და ლიდერ „სენ რაფაელს“ რვა ქულით ჩამორჩებიან.

E ჯგუფში 25 ქულით მე-4 ადგილზეა **რეზო გიგაურის** „სენაკი“. ჩვენებურის გუნდმა შინ „ანგულემი“ დაამარცხა მინიმალური სხვაობით - 9:8. ჯგუფს დაუმარცხებლად ლიდერობს „რიბერაკი“, რომელსაც 32 ქულა დაუგროვდა.

მერვე ტურის შეხვედრები გაიმართა სათადარიგო გუნდების, ანუ ესპუარების ჩემპიონატშიც. ქართველ მორაგბეთა ოთხივე გუნდი აქ A ჯგუფში ასპარეზობს. დღესდღეობით საუკეთესო შედეგი აქვს **დავით ლოსაბერიძისა** და **გიორგი მიქაუტაძის** „აჟენს“, რომელიც სტუმრად „კასტრთან“ 22:23 მარცხის მიუხედავად, 18 ქულით მეორე ადგილს ინარჩუნებს.

ყველაზე სუსტად ასპარეზობს **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი“, რომელიც 11 ქულით სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. მე-8 ტურში ტულონელებმა საკუთარ მოედანზე წააგეს გათამაშების ლიდერ „კლერმონთან“ - 9:15.

სტუმრად დამარცხდა „პოსთან“ **ოთარ ტორაძის** „ტულუზი“ - 19:21. ჩვენებურის გუნდი 14 ქულით მერვე ადგილზეა. მშრალი ანგარიშით - 0:25 შინ წააგო „მონპელიესთან“ **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა“. ბრიველებს ახლა 14 ქულა აქვთ და მეექვსე ადგილზე არიან.

**ესპუარები: VIII ტური: ბრივი-მონპელიე 0:25, ბაიონი-პერპინიანი 26:25, ტულონი-კლერმონი 9:15, პო-ტულუზი 21:19, კასტრი-აჟენი 23:22. სატურნირო მდგომარეობა: 1. კლერმონი-27 ქულა, 2. აჟენი-18, 3. პერპინიანი-18, 4. მონპელიე-16, 5. კასტრი-15, 6. ბრივი-14, 7. პო - 14, 8. ტულუზი-14, 9. ბაიონი-12, 10. ტულონი-11.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



სუმო

# მონღოლი ვეფხვის დამარცხებულია

გუშინ კუნძულ კიუშუს ბაშოს მე-11 დღეს მე-9 გამარჯვება იზეიმა ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**. ქართველმა მე-13 მაეგაშირა **მოკონამი** იორიკირით დაამარცხა. დაჯახების შემდეგ ორივემ მეტოქის მავაშის დაჭერა შეძლო, საქმე უკვე ძალაზე მიდგა, რომელიც ტოჩინოშინს „მონღოლ ვეფხვზე“ მეტი აღმოაჩნდა. ბაშოს დასრულებამდე 4 დღით ადრე ქართველი სუმოისტი იმპერატორის თასის მოპოვების შანსს ინარჩუნებს! 22 წლის გორგაძემ წლეულს ორჯერ, მაისის და ივლისის ბაშოებზე შეძლო 9-9-ჯერ მოგება, ახლა კი მას კარიერის რეკორდის დამყარება შეუძლია - უმაღლეს, მაკუუჩის დივიზიონში ტოჩინოშინს ბაშოზე 10-ჯერ არასოდეს მოუგია. დღეს ლევანის მეტოქე მე-11 მაეგაშირა **ტაკამისაკარია**, იაპონელთა უსაყვარლესი რიკიში აქამდე ყოველთვის უგებდა ჩვენებურს (0:4).

სამწუხაროდ, ამით ამოიწურება სასიხარულო ამბები იაპონიის სიდიდით მესამე კუნძულ კიუშუდან. **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მე-7 მარცხი იგემა და კიდევ ერთი დამარცხება უარყოფით ბალანსს დაუბევებს. გუშინ მას 170-კილოგრამიანმა **ტოიოჰიბიკიმ** აჯობა. იაპონელმა დაჯახებისთანავე დოჰიოს კიდემდე გააგდო, სადაც კოტენაგეს ილეთით წააქცია. კოკაის 4-7 ბალანსი აქვს, დღეს მისი მეტოქე ვაკანოსატოა, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში 7:7 ბალანსი აქვს.

ძურიოს დივიზიონში დამარცხდა **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. თავიდან ქართველმა ყოჩაღად შეუტია 22 წლის იაპონელ **ოკინოუმის**, მაგრამ რკალის სიახლოვეს ოკინოუმიმ უვატეჰინერის ილეთი შეასრულა. ახლა გაგამარუმ სეკიტორის (ელიტის სუმოისტი) სტატუსი რომ შეინარჩუნოს, დარჩენილი ოთხივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. დღეს ჩვენებურის მეტოქე ძურიოს მე-4 ნომერი **კაიჰოა**, ყოფილი კომუსუბი.

ბაშოზე ორ დიდ ჩემპიონს უკვე მხოლოდ სერიოზულ მეტოქეებთან დარჩათ საჭიდაო, ოძეკის ტიტულის მფლობელებთან და ბოლოს_- ერთმანეთთან. გუშინ **ასაშორიუმ** 37 წლის გოლიათი **კაიო** მინოლით დაამარცხა. **ჰაკუჰომ** კი თანამემამულე **ჰარუმაფუჯის** დააგდო უკან. მონღოლ იოკოძუნებს 11-11 მოგება აქვთ და ორ-ორი გამარჯვებით უსწრებენ ქართველ ტოჩინოშინს, ბულგარელ **კოტოოშუს** და იაპონელებს, **იოშიკაძესა** და **ტოიონოშიმას**.

XI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები

**მაკუუჩი**

| | |
|---|---|
| ტოჩინოშინი (მ 8)-მოკონამი (მ 13) | იორიკირი |
| ტოიოჰიბიკი (მ 12)-კოკაი (მ 10) | კოტენაგე |
| ასაშორიუ (ი)-კაიო (ო) | იორიკირი |
| ჰაკუჰო (ი)-ჰარუმაფუჯი (ო) | იორიკირი |
| კოტოოშუ (ო)-ბარუტო (ს) | იორიკირი |
| კოტომიცუკი (ო)-ჩიოტაიკაი (ო) | უბრძოლველად |
| კაკურიუ (ს)-ტაკეკაძე (მ 1) | უვატედაშინაგე |
| კოტოშოგიკუ (მ 2)-კისენოსატო (კ) | უვატენაგე |
| გოეიდო (კ)-ამინიშიკი (მ 1) | კუბინაგე |
| ტოიონოშიმა (მ 5)-მიაბიამა (მ 9) | ცუკიოტოში |

**სატურნირო მდგომარეობა: 11-0: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა). 9-2: კოტოოშუ (ოძეკი), ტოიონოშიმა (მაეგაშირა 5), ტოჩინოშინი (მ 8), იოშიკაძე (მ 9)... 4-7: კოკაი (მ 10).**

**ძურიო**

| | |
|---|---|
| ოკინოუმი (ძ 5)-გაგამარუ (ძ 14) | უვატეჰინერი |
| ჯუმონჯი (ძ 8)-მასაცუკასა (ძ 1) | იორიტაოში |
| ჰაკუბა (ძ 1)-ტოკუსეგავა (ძ 8) | სუკუინაგე |
| ფუტენო (ძ 2)-ასოფუჯი (ძ 3) | იორიკირი |

**სატურნირო მდგომარეობა: 8-3: ტოსანოუმი (ძურიო 11). 7-4: კიტატაიკი (ძ 5), კორიუ (ძ 6), ტოკუსეგავა (ძ 8), ვაკაკოიუ (ძ 9), შირონონამი (ძ 12), კასუგანიშიკი (ძ 13), ჰოშიკაძე (ძ 13)... 4-7: გაგამარუ (ძ 14).**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

16-წლამდელები

## კადეტებმაც დაიწყეს

22 ნოემბერი. აგრარული უნივერსიტეტი

**ზაზა–მართვე 98:60**

31:11, 20:15, 21:18, 26:16

ზაზა: ბურჯანაძე (26 ქ, 14 მ), აბულაძე (16), კრიხელი (15);
მართვე: გულია (16 ქ, 11 მ), ლლონტი (15)

**ვარსკვლავები–თელავი 87:52**

24:11, 30:11, 26:6, 7:24

ვარსკვლავები: ქიტიძე (27), გაგნიძე (25), კარანაძე (20ქ, 12მ);
თელავი: ყვარელაშვილი (15), გუნაშვილი (14ქ, 12მ), სპანდერაშვილი (14ქ, 9 მ)

**აკადემია–ვერე 100:72**

22:15, 29:13, 28:27, 21:17

აკადემია: ხეთაგური (26), ცხაკაია (16), გოგბაიძე (15);
ვერე: ჯინჯიხაძე (27), სანიკიძე (17ქ, 10მ)

**დინამო–იმედი 73:102**

17:19, 17:20, 21:32, 18:31

დინამო: ლლონტი (37ქ, 11მ), ჯობავა (22ქ, 11მ);
იმედი: კენჭიაშვილი (34), სალარიძე (32)

**მარნეული–ორბი 41:90**

9:20, 11:21, 10:28 11:21

მარნეული: ჯაჯანიძე (17), ბერიძე (10ქ, 13მ);
ორბი: ანანიაშვილი (16), ბოლქვაძე (12), სამნიაშვილი (11ქ, 12მ)

გასულ კვირას დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი 16-წლამდელთა შორის. შეჯიბრებაში 14 გუნდი მონაწილეობს, რომელიც 2 ჯგუფად არის გაყოფილი.

A ჯგუფი: რუსთავი, თელავი, მარნეული, აკადემია, ვერე, ორბი, ვარსკვლავები.
B ჯგუფი: ქუთაისი, ბათუმი, იმედი, მართვე, ზაზა, დინამო, აკადემია 2.

გათამაშების ფორმატით ჯგუფებში გუნდები 2 წრედ ითამაშებენ და მომდევნო ეტაპზე, ანუ პლეი ოფში 4–4 საუკეთესო გავა. მეოთხედფინალები ერთ მოგებამდეა, ხოლო ნახევარფინალები და ფინალი – ორამდე.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## კარგი დასაწყისის ცუდი დასასრული

**ვლადიმერ ბოისას** "ზადარი" ევროთასის გათამაშებაში ჩაერთო. სადებიუტო მატჩში ხორვატებმა ბოისას ყოფილ კლუბს, ბერძნულ "არისს" უმასპინძლეს და 68:73 დათმეს.

ვოვა ბოისამ მატჩი კარგად დაიწყო: საწყის ორ წუთში 2 მოხსნა, 2 ქულა და 1 ჩაჭრა ჰქონდა, "ზადარი" კი 12:1 დაწინაურდა. ბოისას და **მარკო კარის** სამქულიანებით მეორე პერიოდის დასაწყისში "ზადარი" 8 ქულით გავიდა წინ – 32:24, თუმცა ამის შემდეგ სტუმრებმა მიზანი გაისწორეს და მეოთხე პერიოდის წინ 58:53 დაწინაურდნენ. ბოლო ათწუთეულში ბოისას გუნდელები "არისს" ოდენ 3 ქულით მიუახლოვდნენ (62:65). ეს იყო და ეს, ბერძნებმა 73:68 მოიგეს. თანაგუნდელთა შორის ვლადიმერ ბოისა ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იყო. მან სხვებზე მეტჯერ მოხსნა (7), 8 ქულა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება გაიფორმა. ვოვამ ორი სამქულიანი ისროლა და ორივე ზუსტად. მატჩის ბომბარდირი ზადარელი მარკო კარი გაზრდა, რომელმაც 17 ქულა მიითვალა.

ამავე, C ჯგუფში იერუსალიმის "ჰაპოელმა" ლიტვური "შიაულიაი" 89:76 დაამარცხა. B ჯგუფში **თორნიკე შენგელიას** "ვალენსიამ" სერბეთში "ჰემოფარმი" დაამარცხა – 75:68. თორნიკე განაცხადში არ იყო.

1-ელ დეკემბერს "ვალენსია" ფრანგულ "ნანსის" უმასპინძლებს, ხოლო "ზადარი" "შიაულიაის" ეწვევა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ევროლიგა**

**პანათინ.–ოლდენბურგი 96:63**

გიორგი შერმადინი: 03:27 წუთი, 4 ქულა

ჭადრაკი




## გადაზრდილები ბრძენთა თამაშშიც მომრავლებულან

თურქეთის ქალაქ ანტალიაში ამას წინათ დამთავრდა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს 28 წარმომადგენელი ცდიდა ძალებს. მათგან სამი მედლებით დაბრუნდა სამშობლოში. გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** და ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა **დავით გურგენიძემ** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც თურქული ბატალიების მონაწილე რამდენიმე მოჭადრაკეც დაესწრო. *„პირველობაზე 87 ქვეყნის 1375 გოგონა და ვაჟი იბრძოდა მედლებისთვის,* — აღნიშნა გია გიორგაძემ. — *18-წლიანებში ვერცხლის მედალი დაიმსახურა ქეთი ნაწალაშვილმა, რომელიც მხოლოდ უარესი კოეფიციენტით ჩამორჩა რუს ოლგა გირიას. საგულისხმოა, რომ წლეულს ევროპის პირველობაზეც მსგავსი რამ მოხდა: იტალიაშიც გირიამ და ნაწალაშვილმა პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. ქეთი ჯერ 17 წლისაა და მას გაისადაც ექნება შანსი, ოქროსთვის იბრძოლოს.*

*მეორე ადგილზე გავიდა 16-წლიანებში მერი არაბიძე. მას პერუელმა დეისი კორიმ აჯობა, რომელმაც არგენტინაში 20-წლიანთა მსოფლიოს პირველობაზე პირველი-მესამე ადგილები გაინაწილა.*

*წლეულს უმედლოდ იყო შარშანდელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ნაზი პაიკიძე, რომელმაც ევროპის პირველობის უილბლობა ანტალიაში გადალახა და 16-წლიანებში „ბრინჯაო" დაიმსახურა. საგულისხმოა ისიც, რომ პირველ ექვსეულში მოხვდნენ ნინო ხომერიკი (12 წ.) და სოფიო გურამიშვილი (18 წ.), რომლებსაც მედლამდე სულ მცირე დააკლდათ. ყოველივეს მიუხედავად, ჩვენი მოჭადრაკეების შედეგებით კმაყოფილი ვარ. აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ ბოლო დროს სულ უფრო მეტ მედალს ეუფლებიან აზიელი მოჭადრაკეები. განსაკუთრებით უმცროს ასაკში. ჭადრაკის ფედერაციამ მეტი თუ არ იზრუნა მოზარდების დაოსტატებაზე, შესაძლოა, ბოლოდროინდელმა ტენდენციამ ჩვენც დაგვაზარალოს. არადა, წლეულს ჩვენმა მოჭადრაკეებმა სხვადასხვა დონის შეჯიბრებაზე 3 ოქროს, 8 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურეს".*

*„ვეთანხმები ბატონ გიას — ბავშვთა ჭადრაკში დიდი და საინტერესო ძვრებია. თუ მას ფეხი არ ავუწყვეთ, ჩამოვრჩებით,* — ჩაერია საუბარში დავით გურგენიძე. — *განსაკუთრებით აზიელთა წინსვლა იგრძნობა. მაგალითად, ამ ჩემპიონატზე ინდოელებმა 6 მედალი მოიპოვეს, ირანელებმა ორი „ოქრო" წაიღეს სამშობლოში. თუმცა ერთი უსიამოვნო ტენდენციაც შევნიშნე — შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ მომეჩვენა, რომ ზოგიერთ ქვეყანას ანტალიაში გადაზრდილი მოჭადრაკეები ჰყავდა ჩამოყვანილი.*

*უცხოელ მოჭადრაკეთა წარმატებებს ისიც განაპირობებს, რომ ისინი ცნობილ უცხოელ სპეციალისტებს იწვევენ მწვრთნელებად, უფრო — შეძლებული ოჯახები. მაგალითად, ერთ-ერთ აზერბაიჯანელს ელიზბარ უბილავა ავარჯიშებდა, ავსტრალიელებს არტურ იუსუპოვი და ქეთევან არახამია ახლდნენ თან. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ყურადღებით თუ არ ვიქნებით, შესაძლოა, ამ დონის ტურნირებზე მედალი სანატრელი გაგვიხდეს".*

გია გიორგაძე: წლეულს სპორტის დეპარტამენტმა სათანადო სახსრები გამოგვიყო ახალგაზრდა მოჭადრაკეების მოსამზადებლად და ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე გასამგზავრებლად, რისთვისაც მადლობის მეტი რა გვეთქმის. სახელმწიფოს და ფედერაციის ამგვარი თანამშრომლობით სამომავლოდ მეტ წარმატებას მივაღწევთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

## ჯობავა მესამე რაუნდში გრიშჩუკს დაუპირისპირდება

ხანტი-მანსიისკში ფიდეს მსოფლიოს თასის გათამაშების მონაწილეთა რაოდენობა განახევრდა და მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლას 32 წყვილი განაგრძობს. სასიხარულოა, რომ მესამე ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** (2696), რომელმაც გუშინ მე-2 ტურში ვენესუელელ **ედუარდო იტურისაგას** (2605) სძლია და ორი მატჩის ჯამში (1,5:0,5) წარმატებას მიაღწია. საგულისხმოა, რომ ოქტომბერში ვენესუელელი დიდოსტატი 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა, რომელსაც არგენტინამ უმასპინძლა. მაშინ იტურისაგამ 13 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა და მე-10 ადგილი დაიკავა. მას ნახევარი ქულით გაუსწრო **გიორგი მარგველაშვილმა**, რომელსაც მე-9 ადგილი ხვდა. მათი პირადი დაპირისპირება მე-5 ტურში ვენესუელელის გამარჯვებით დასრულდა. ჯობავამ კი გუშინ თანამემამულის დამარცხებისთვის ჯავრი იყარა. მესამე წრეში იგი **ვლადისლავ ტკაჩოვის** (2642) მძლეველ **ალექსანდრ გრიშჩუკს** (რუსეთი, 2738) შეხვდება.

მესამე რაუნდში გასასვლელად ორი-ორი პარტია იკმარეს **ბორის გელფანდმა** (ისრაელი), **ვუგარ გაშიმოვმა** (აზერბაიჯანი), **ვიქტორ ლაზნიჩკამ** (ჩეხეთი), **სოუ უესლიმ** (ფილიპინები), **ალექსანდრ გრიშჩუკმა** (რუსეთი), **დმიტრი იაკოვენკომ** (რუსეთი), **შაჰრიარ მამედიაროვმა** (აზერბაიჯანი), **იუ იანგმა** (ჩინეთი), **ჰაო ვენმა** (ჩინეთი), **ალექსანდრ მოტილევმა, კონსტანტინ საკაევმა, გატა კამსკიმ, ეტიენ ბაკრომ** და **არკადი ნაიდიჩმა**. დანარჩენ 15 წყვილში გამარჯვებულებს დღევანდელი ტაი-ბრეიკები გამოავლენს.

უკვე გაუწყეთ, რომ შეჯიბრების მონაწილე ორი ქალბატონი — რუსი მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** და ჩინელი ვიცე-ჩემპიონი **ჰოუ იფანი** ტურნირს პირველსავე რაუნდში დაემშვიდობნენ. ასპარეზობას განაგრძობს **იუდით პოლგარი**, რომელსაც პირველ წრეში ავადმყოფობის გამო მეტოქე არ გამოუცხადდა და უბრძოლველად გავიდა მომდევნო ეტაპზე, სადაც რუმინელ **ლივიუ-დიტერ ნისიპიანუსთან** ორივე პარტია ყაიმით დაამთავრა. მათ შორის უძლიერესს დღეს სწრაფი ჭადრაკი გამოავლენს. შეგახსენებთ, რომ პოლგარს ორი შვილი ჰყავს, მაგრამ მხოლოდ საოჯახო საზრუნავით არ კმაყოფილდება: *„მე უჭადრაკოდ არ შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ ყოველთვის საუკეთესოთა შორის ვიყო. ჭადრაკი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და თამაშისგან დიდ სიამოვნებას ვიღებ".*

თასის გათამაშების პირველ რაუნდში მხოლოდ ერთი მოულოდნელობა იყო — 2700-იანთა კლუბის წევრი **სერგეი მოვსესიანი** ნაკლებად ცნობილ ჩინელ **იუი იანგუისთან** დამარცხდა, მეორე რაუნდმა კი უფრო მეტი სენსაცია შემოგვთავაზა: ჩეხმა **ვიქტორ ლაზნიჩკამ** 2:0 მოუგო რუს **ალექსანდრ მოროზევიჩს** (2750), უკრაინელმა **ვასილი ივანჩუკმა** (2739) თითქმის უბრძოლველად დათმო ორთაბრძოლა (0,5:1,5) ახალგაზრდა ფილიპინელ **სოუ უესლისთან** (2640). მე-2 რაუნდის პირველი პარტია თითქმის უპრობლემოდ მოუგო ფინელმა **ტომი ნიუბეკმა** (2628) რუსეთის ნაკრების ლიდერ **პიოტრ სვიდლერს** (2754), თუმცა მან მეორეში იმარჯვა და ანგარიშში წონასწორობა აღადგინა.

დღეს მოჭადრაკეები ტაი-ბრეიკებში გაარკვევენ ურთიერთობას, ხვალ კი მესამე რაუნდის პირველი პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**




ჩოგბურთი

## ერევანი უმასპინძლებს

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) მომავალი წლის „ფედერაციის თასის" ზონური ტურნირების მასპინძელი ქვეყნები დაადგინა. ევროპა-აფრიკის მეორე ზონას, სადაც საქართველოს ნაკრებიც გამოდის, სომხეთის დედაქალაქი ერევანი უმასპინძლებს. ერევნის ფიტნესისა და ჩოგბურთის კლუბის კორტებზე მატჩები 26 აპრილიდან გაიმართება. შეგახსენებთ, რომ შარშან **ლალი ზერეკიძის** ნაკრებმა ანტალიაში (თურქეთი) იასპარეზა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში პირველად მოახერხა თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით თამაში (**ანა ტატიშვილი, მაკა ჩახნაშვილი, სოფიო შაფათავა და მანანა შაფაქიძე**), ვერ შეძლო ევროპა-აფრიკის პირველ ზონაში დაბრუნება (საიდანაც 2008 წელს გავვარდით).




წესით, სომხეთში ამ გუნდებმა უნდა იასპარეზონ: სომხეთი, საქართველო, სამხრეთი აფრიკა, საბერძნეთი, ბულგარეთი და ლუქსემბურგი. ორი საუკეთესო ნაკრები 2011 წლისთვის ევროპა-აფრიკის პირველ ზონაში გადავა, ორი უარესი კი „ფედერაციის თასის" ევროპა-აფრიკის მესამე ზონაში გავარდება. საქართველოს ნაკრები რეიტინგში 407,50 ქულით 54-ე პოზიციაზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ტყვიის სროლაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის**

**ოთარ კვირიკაშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

www.sport.gov.ge
DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლელო წარმოგიდგენთ ქართული სპორტის ქრონიკები

## ლელოს დაუსწრებელი ოლიმპიური აკადემია

### ქართული სპორტის მატიანე

# წყალში ხტომა

წყალში ხტომა, როგორც სპორტის სახეობა, XIX საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბდა გერმანიაში. იქვე 1890 წელს ჩატარდა პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრება, რომელსაც მოგვიანებით ევროპის ჩემპიონატის სტატუსი მიენიჭა, სწორედ ამ თარიღიდან იღებს სათავეს ევროპის ჩემპიონატი.

მსოფლიოს ჩემპიონატი 1973 წლიდან იმართება. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კი სპორტის ეს სახეობა 1904 წლიდან - კაცების, ხოლო 1912 წლიდან ქალებისთვის შეიტანეს.

ცურვის საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1908 წლის 19 ივლისს ლონდონში, ფედერაციაში შექმნილია ცურვის, წყალში ხტომის, წყალბურთისა და ყვინთვის კომიტეტები. დღეისათვის ცურვის საერთაშორისო ფედერაცია აერთიანებს 189 ქვეყნის ფედერაციას.

საქართველოში წყალში ხტომა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყებს ჩამოყალიბებას. ბათუმში 1928 წელს ჩატარდა პირველი ოფიციალური შეჯიბრება. განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან, როდესაც ვაკის საცურაო აუზი აშენდა. ამ პერიოდში დაოსტატდა **ბორის პოლულიახი**, რომელიც 1961-1968 წლებში ხუთჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1962 წელს კი ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 70-იანი წლებიდან დიდ სარბიელზე გამოჩნდნენ **ლიანა ცოტაძე** და **სერგო შალიბაშვილი**, რომლებმაც ჯერ საკავშირო ჩემპიონატებზე გაიმარჯვეს, შემდეგ — მრავალ საერთაშორისო ტურნირში. ლიანა ცოტაძე ერთადერთი ქართველი მხტომელია, ვინც ოლიმპიურ თამაშებში მედლის (ბრინჯაოს) მოპოვება შეძლო. მომდევნო თაობის წყალში მხტომელთაგან საუკეთესო იყო **გიორგი ჩოგოვაძე**, რომელმაც ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის საწყალოსნო სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს. 1992 წელს წყალბურთი გამოიყო ცალკე ფედერაციად, ხოლო 1996 წელს შეიქმნა სპორტის საწყალოსნო სახეობათა (ცურვა, წყალბურთი, წყალში ხტომა) კონფედერაცია, შემდგომში — ფედერაცია. 1992 წლის 24 ივლისიდან ცურვის საერთაშორისო ფედერაციასა და ევროპის საწყალოსნო ლიგის წევრია.



ლიანა ცოტაძე

2008 წლიდან საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია ალექსანდრე ბითაძე.

**საქართველოს წყალში მხტომელებმა მედლები მოიპოვეს:**

**ოლიმპიადაზე**

ლიანა ცოტაძემ 1980 წელს მოსკოვში - ბრინჯაო

**მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

**ბრინჯაოს მედალი**

გიორგი ჩოგოვაძემ 1991

მსოფლიო ჩემპიონი –
ბრინჯაოს მედალოსანი – 1
ბრინჯაოს მედალი –1.

**სულ: 1 მედალი (1 ბრინჯაო).**

**ევროპის ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

გიორგი ჩოგოვაძემ 1987, 1989

**ბრინჯაოს მედალი**

ბორის პოლულიახმა 1962

ევროპის ჩემპიონი –
1 სპორტსმენი, ოქროს მედალი — 2.

ბრინჯაოს მედალოსანი –
1 სპორტსმენი, ბრინჯაოს მედალი –1.

**სულ: 3 მედალი (2 ოქრო, 1 ბრინჯაო).**

*დასაწყისი: ლელო №52 (12731). გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია, პროფესორი**

## ნიგნის თარო

# არის სტუდენტური სპორტის ისტორია

ქართული სპორტის უმდიდრეს მონაპოვარში დიდია სტუდენტური სპორტის წვლილი. ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონთა და პრიზიორთა უმრავლესობამ სტუდენტურ წლებში დაიპყრო მაღალი სპორტული მწვერვალები. ისინი საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ. განსაკუთრებით კი გამოირჩეოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ჩვენი სტუდენტი სპორტსმენები მსოფლიოს ყველა უნივერსიადის მონაწილენი არიან, მოპოვებულია 144 მედალი, აქედან ოქროსი — 35. აი, ეს ფაქტები და საქართველოს სტუდენტურ სპორტთან დაკავშირებული სხვა საინტერესო ამბებია გადმოცემული ახლახან გამოცემულ წიგნში „სტუდენტური სპორტი საქართველოში", რომლის ავტორია ქართული სპორტის ვეტერანი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი **გივი (გაიოზ) მძელური.** 1992-2007 წლებში იგი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი იყო და ბევრი საინტერესო მასალისთვის მოუყრია თავი, ფაქტობრივად, შექმნა 1949 წლიდან მოყოლებული ფედერაციის ჩვენი ქვეყნის სტუდენტური სპორტის ისტორია, რაც უდავოდ დასაფასებელია. დავძენთ, რომ ქართულ სტუდენტურ სპორტს ავტორი განიხილავს ერთიან ქართულ სპორტთან კავშირში და გვახსენებს უმაღლესი სასწავლებლების ღვაწლმოსილ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს საქართველოში სტუდენტური და საერთოდ ქართული სპორტის ალმავლობისთვის.

წიგნის რედაქტორია **ნუგზარ ჭიაბერაშვილი.**

**თენგიზ თომაშვილი**




## თქვენთვის ერუდიტებო

### ვიქტორინა

1. ბათუმის „დინამოს" საფეხბურთო გუნდმა 1983 წლის 12 ნოემბერს შინ კოკისპირულ წვიმაში სძლია კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" და სსრკ ჩემპიონატის პირველი ლიგის საგზური მოიპოვა. მერამდენე ცდაზე მიაღწიეს სანადელს ბათუმელებმა?

ა – მეორე ცდაზე
ბ – მესამე ცდაზე
გ – მეოთხე ცდაზე

2. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში რამდენჯერ მონაწილეობდა ბაკურიანელი კობა ნაქაძე ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში?

ა – ერთხელ
ბ – ოთხჯერ
გ – ხუთჯერ

3. პეკინის ოლიმპიადაზე მშვილდოსან ქალთა შორის ევროპიდან საუკეთესო იყო ქართველი სპორტსმენი. რომელი?

ა – ხათუნა ნარიმანიძე
ბ – ქრისტინე ესებუა
გ – ნატო ნასარიძე

4. არის მოსაზრება, რომ ძველ საქართველოში იმართებოდა ბერძნული ოლიმპიადების მსგავსი ასპარეზობები. იგი მოიხსენიება როგორც:

ა – იბერთა თამაშები
ბ – მესხური თამაშები
გ – ლაზური თამაშები

5. ცნობილია, რომ ცხენოსნობაში ჩოგნის სიგრძე ძველად თანაბარი ზომისა იყო და უდრიდა...

ა – მშვილდის ისარს
ბ – მკლავის სიგრძეს
გ – ქართული ხმლის სიგრძეს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

## თარიღი

### 26 ნოემბერი-2 დეკემბერი

**26.XI. 1905 წ.** დაიბადა ვიქტორ გოგლიძე. ჭადრაკი. გარდაიცვალა 1964 წელს

**26.XI. 1983 წ.** დაიბადა ბაადურ ჯობავა. ჭადრაკი.

**27.XI. 1968 წ.** თბილისის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა ბოლო მატჩი რეკონსტრუქციამდე.

**29.XI. 1920 წ.** დაიბადა **დავით ჩირაძე.** ჭადრაკი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**30.XI. 1988 წ. ბორის პაიჭაძე** დასახელდა თბილისის საპატიო მოქალაქედ.

**2.XII. 1940 წ.** დაიბადა **ვლადიმერ რუბაშვილი.** თავისუფალი ჭიდაობა. ტრაგიკულად დაიღუპა 1964 წელს.

**2.XII. 1910 წ.** დაიბადა **მიხეილ შიშოვი.** ჭადრაკი. გარდაიცვალა 1980 წ.

## კალენდარი




**26-დან. მკლავჭიდი.** გრძელდება მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია. დიდები.

**26. ჭადრაკი.** მსოფლიოს ასაკობრივი (8-18 — წლიანების ჩემპიონატის ბოლო დღე. თურქეთი.

**26-27. ციგაობა.** მსოფლიო თასის გათამაშება. ავსტრია. დიდები.

**26-27. ძალოსნობა.** მსოფლიოს ჩემპიონატი. სალიცენზიო ტურნირი. კორეა.

**26-29. პლაჟბურთი.** ბანკო დე ბრაზილიას ტური. ბრაზილია. ქალები, ვაჟები.

**26-30. ფლორბოლი.** საბავშო ფესტივალი. ქუთაისი. 10-14—წლამდელები. დიდები.

**27-29. თავისუფალი ჭიდაობა.** დ. ციმაკურიძის ტურნირი. თბილისი. ჭაბუკები.

**27-30. კიკბოქსინგი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი. დიდები.

**28. უშუ.** საერთაშორისო ტურნირი „სანდაში". თბილისი. დიდები.

**28-29. ძიუდო.** საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. დიდები.

**29. ავტოსპორტი.** ჩემპიონთა რბოლა. რუსთავი. დიდები.

## ვინ რა თქვა...

ჯერ კიდევ 300 წლის წინათ ფრანგი პროფესორი **გ. მონტენი** წერდა: *„მხოლოდ სულს ან მხოლოდ სხეულს ხომ არ ზრდიან, ზრდიან მთლიანად ადამიანს. არ შეიძლება მისი ორად გახლეჩვა, არ შეიძლება მათი ცალ-ცალკე აღზრდა; პირიქით, ისე უნდა შევძლოთ მათი გამართვა, რომ ერთმანეთისგან არ განვასხვაოთ, თითქოს ერთ უღელში შებმული ხარები იყვნენ"...*

## იყო ასეთი შემთხვევა

# ადექი, ვითამაშოთ...

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია. სსრ კავშირის ჩემპიონატს ფეხბურთში მოსკოვის ცდკა ლიდერობს. პირველი წრის ბოლო მატჩი გუნდს თბილისში ჰქონდა „დინამოსთან".

ნახევარმცველი გიორგი ჭელიძე, რომელიც მუდამ მარცხენა ჰავბეკის ამპლუაში თამაშობდა, ცდკა-სთან მატჩში მარჯვენა ფრთაზე გაამწესეს და სწრაფი დიომინის მეურვეობა დაავალეს. ჭელიძე, როგორც დაავალეს, გვერდიდან არ მოშორებია, როგორც იტყვიან, საიმედოდ ჩაკეტა მეტოქე. ის კი არა, როცა დიომინი მოედნის კიდესთან ბუცის ზონარს ისწორებდა, იქაც თავზე ადგა ჭელიძე.

— მომისმინე, აქ მაინც ამომასუნთქე! — ეუბნება დიომინი.

და პასუხი:

— ბევრს ნუ ლაყბობ, ადექი, ჩქარა, ვითამაშოთ...

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ოფიციალური შეხვედრა კალათბურთში საქართველოში შედგა 1923 წლის მარტში თბილისში მუშფაკის ორ გუნდს შორის.

**პირველმა** საქართველოში სპორტში მომუშავე კადრების მომზადებას ხელი მოჰკიდა თბილისში ჩეხეთიდან მოწვეულმა სპეციალისტმა **ანტონ ლუკეშმა.** მან ბევრი ტანმოვარჯიშე და მწვრთნელი აღზარდა. საქართველოში იგი 1896-1919 წლებში მოღვაწეობდა.

**პირველად** ორი ქართველი მოჭადრაკე ქალი მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდა 1975 წელს. ეს იყო ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას შეხვედრა, რომელიც ბიჭვინთასა და თბილისში გაიმართა. მატჩი მოიგო გაფრინდაშვილმა 8,5:3,5 და მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

## ფოტომატიანე



1952 წელი. საქართველოს სპორტსაზოგადოება „მედიკის" ქალ ფრენბურთელთა გუნდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი




# რეიდი ესპანეთში

## პეხშტაინი ვანკუვერში არ გაუშვეს

ესპანეთის პოლიციამ აკრძალული პრეპარატების გავრცელებაში ეჭვმიტანილი 11 ადამიანი დააკავა. სამართალდამცავებს ეჭვი აქვთ, რომ ისინი დოპინგს სპორტსმენებს შორის ასაღებდნენ.

პოლიციამ ერთდროული რეიდი მოაწყო ვალენსიაში, ბარსელონაში, მურსიასა და გრანადაში. ამ საქმის გამოძიება 2009 წლის აგვისტოში დაიწყო, როცა პოლიციამ შეიტყო დანაშაულებრივი ჯგუფის არსებობის შესახებ, რომლის სპეციალიზაცია აკრძალული პრეპარატების გავრცელება იყო.

სააგენტო „როიტერის" ცნობით, დაკავებულთა შორის მოხვდა ვალენსიელი ექიმი, რომელიც სპორტსმენებს კონსულტაციას უწევდა დიეტისა და სპორტული კვების საკითხებში, აგრეთვე მონაწილეობდა საწვრთნელი პროგრამების შემუშავებაში.

დაზუსტებით არ იტყობინებიან იმ სპორტსმენთა გვარებს, რომლებიც ამ ექიმთან გადიოდნენ კონსულტაციებს. ამბობენ, რომ ის ათლეტებს სხვადასხვა აკრძალული პრეპარატის მიღებაში უწევდა რეკომენდაციას. მათ შორის იყო - ერითროეპოეტინი და ზრდის ჰორმონი, აგრეთვე ის წამლები, რომლებიც დოპინგის გამოყენების კვალს მალავს.

პოლიციის ოპერაციის დროს გაიჩხრიკა რამდენიმე სახლი და აფთიაქი. ჩხრეკისას დიდი რაოდენობით აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინეს.

■ ■ ■

უმაღლესმა სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ციგურებით სირბილში ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონის **კლაუდია პეხშტაინის** აპელაცია. შეგახსენებთ, რომ ცნობილი გერმანელი სპორტსმენი დოპინგის გამოყენების გამო ორი წლით არის დისკვალიფიცირებული. ასე რომ, 37 წლის მოციგურავე მონაწილეობას ვერ მიიღებს ვანკუვერის თამაშებში, არადა პეხშტაინი ზედიზედ მეხუთე ოლიმპიადაზე გეგმავდა ოქროს მედლის მოპოვებას.

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა ამა წლის თებერვალში გამოაცხადა, რომ პეხშტაინის დოპინგსინჯში ანომალიური ცვლილებები შეინიშნებოდა და ორდღიანი მოსმენის შემდეგ გაარკვიეს, რომ გერმანელის სისხლში დოპინგის კვალი არსებობდა.

სხვადასხვა

ჰოკეი

## ჩიკაგოს ჰოსა ელირსა

„ჩიკაგო ბლეკჰოქსის" ვარსკვლავური ახალბედა **მარიან ჰოსა** მზად არის მოედანზე გასასვლელად. სლოვაკი ფორვარდის ჩიკაგოელთა რიგებში დებიუტი „სან ხოსესთან" უახლოეს მატჩში იგეგმება.

დღემდე ჰოსა 2009 წლის სტენლის თასის ფინალში მიღებულ ტრავმას მკურნალობდა. მან მხარი „დეტროიტ რედ უინგზის" შემადგენლობაში თამაშისას დაიზიანა და ოპერაციის გაკეთება მოუხდა.

ამ ზაფხულს მარიანმა 12-წლიანი კონტრაქტი გააფორმა „ჩიკაგოსთან", რაც მას ჯამში 62.8 მილიონ დოლარს მოუტანს.

კალათბურთი

## ვაშინგტონმა მფლობელი დაკარგა

85 წლის ასაკში გარდაიცვალა „ვაშინგტონ უიზარდსის" მფლობელი **ეიბ პოლინი**, რომელმაც კლუბი ჯერ კიდევ 1964 წელს შეიძინა. მაშინ გუნდი „ბალტიმორ ბულეტსის" სახელით გამოდიოდა, ცხრა წლის შემდეგ კი პოლინმა ის კოლუმბიის ოლქში გადაიყვანა. 1996 წელს მან გუნდს სახელი შეუცვალა და „უიზარდსი" დაარქვა, რადგან სახელწოდება „ბულეტსი" („ტყვიები") საზოგადოებაში ნეგატიურად აღიქმებოდა.

მამაკაცთა საკალათბურთო გუნდის გარდა, პოლინი ფლობდა „მისტიკს", რომელიც ქალთა NBA-ში თამაშობს და აგრეთვე ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ „ვაშინგტონ კეპიტალზს". გარდაცვლილი საქველმოქმედო საქმიანობითაც იყო ცნობილი.

## აივერსონის მაისურებს ტანზანიაში დაარიგებენ

4 დეკემბერს „დალას მავერიქსთან" მატჩის დროს,"მემფის გრიზლისი" სარეკლამო აქციის ჩატარებას გეგმავდა - მას ამ დღეს გულშემატკივრებში **ალენ აივერსონის** 3 ათასი სათამაშო მაისურა უნდა დაერიგებინა, მაგრამ ვეტერანმა მცველმა „გრიზლისთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ახლა, კლუბი სათამაშო ფორმას თავისი ახალბედა **ჰაშიმ ტაბიტის** სამშობლოში - ტანზანიაში გაგზავნის. ეს იქნება საქველმოქმედო პროგრამის - „კალათბურთი საზღვრებს გარეშე" დახმარება.

რაც შეეხება 4 დეკემბერს დაგეგმილ აქციას, გულშემატკივრები ესპანელი ლეგიონერის **მარკ გასოლის** მაისურებს მიიღებენ. *„ასე გამოვხატავთ მარკის მიმართ მადლობას ამ სეზონში მაღალ დონეზე თამაშის გამო"*, - განაცხადა „მემფისის" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტმა **გრეგ კემპბელმა**.

ფორმულა 1

## ზაუბერის ბედი გაურკვეველია

გერმანულ კონცერნ BMW-ის ყოფილი საქარხნო გუნდის, ამჟამად კი „ზაუბერ კვადბაკის" ბოსმა **მარიო ტიისენმა** განაცხადა, რომ ჯერაც არ მიუღია ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისგან პასუხი საკუთარი განაცხადის შესახებ, რომელიც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გამოსვლას ითვალისწინებს.

ტიისენის აღიარებით, ასეთი გაურკვევლობა ძალიან ამცირებს „ზაუბერის" შანსებს ღირსეულად მოემზადოს მომავალი სეზონისთვის. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდის პილოტის ადგილზე პრეტენდენტებად გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი** (მას აგრეთვე „მერსედესში" გადასვლის ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ) და ავსტრიელი **კრისტიან კლიენი** სახელდებიან. ასევე გაურკვეველია თავად ტიისენის ბედი. დირექტორის რანგში მისი მუშაობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, გამოვა თუ არა „ზაუბერი" 2010 წლის ჩემპიონატზე.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ექვსი მეომრის გმირობა

გასული დღის მატჩებიდან ყველაზე მოულოდნელი შედეგი დალასში დაფიქსირდა. ამ მატჩის წინ „გოლდენ სტეიტ უორიორზი" ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა - გუნდმა ძირითადის ხუთი მოთამაშიდან ოთხი დაკარგა და შემადგენლობაში შეყვანილი რვა კალათბურთელიდან ექვსი გამოიყენა. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ „მეომრების" დამრიგებელი **დონ ნელსონი** ავად გახდა და შინიდან ადევნებდა თვალს თავისი შეგირდების თამაშს, მის მოვალეობებს კი **კეიტ სმარტი** ასრულებდა.

„დალასიც" იძულებული გახდა სასტარტო ხუთეულის სამი წევრის გარეშე გასულიყო მოედანზე, მაგრამ ამას „კოვბოებისთვის" ხელი არ შეუშლია პირველი ორი მეოთხედის ერთნაირი ანგარიშით მოგებაში - 27:25.

დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე სიტუაცია დიდად არ შეცვლილა - **დირკ ნოვიცკი** (28 ქულა და 10 მოხსნა) და **ჯეისონ ტერი** (21 ქულა, 4 ჩაჭრა) უპირატესობას ზრდიდნენ და დამაჯერებლად მიჰყავდათ „დალასი" გამარჯვებისკენ - 98:89. მაგრამ მოულოდნელად, „გოლდენ სტეიტის" რიგებში მკვეთრად მოუმატეს თამაშს **ენტონი მოროუმ** და **სტივენ კარიმ** (11 ქულა ბოლო 4 წუთში) და „მავერიქსის" უპირატესობისგან აღარაფერი დარჩა - 100:100. ხოლო, როცა ამ დუეტს **მონტა ელისიც** დაეხმარა, American Airlines Center საერთოდ დადუმდა. მატჩის ბოლო მონაკვეთში სტუმრებმა იბატონეს - 11:3 და შეწყვიტეს **რიკ კარლაილის** გუნდის ხუთმატჩიანი მოგებათა სერია.

„ნიუ ჯერსიმ" ზედიზედ მე-14 მატჩი წააგო და კვლავაც მოუგებლად აგრძელებს მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატს. ასე რომ, „ნეტსი" ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა აქამდე „მუდმივ" ანტირეკორდად მიჩნეულ ზედიზედ 17 წაგებას, რომელიც „ლოს ანჯელეს კლიპერსს" ეკუთვნის. *„წაგება არავის უყვარს, განსაკუთრებით ასეთ სტილში*, - განაცხადა „ნეტსის" გამთამაშებელმა **დევინ ჰარისმა**, რომელმაც 19 ქულა დააგროვა. - *მაგრამ ჩვენ ღრმად უნდა გავაანალიზოთ პრობლემები და დროულად გამოვიდეთ შექმნილი სიტუაციიდან"*.

შეხვედრის წინ „დენვერ ნაგეტსის" დამრიგებელ **ჯორჯ კარლს** სერიოზულად ეშინოდა უიმედო აუტსაიდერის, რომლის უიღბლო სერია ოდესღაც უნდა შეწყდეს. მაგრამ „დენვერმა" არ მოისურვა გამხდარიყო პირველი გუნდი, რომელსაც ამ სეზონში „ნიუ ჯერსი" დაამარცხებდა. შესაბამისად, კარლმა მწვრთნელის რანგში კარიერაში 943-ე გამარჯვებას მიაღწია, რითაც NBA-ის ყველა დროის სიაში მოგებათა რაოდენობით **ჯეფ ფიტჩს** გაუთანაბრდა. ტრადიციულად „ნაგეტსის" შემადგენლობაში საუკეთესო **კარმელო ენტონი** იყო, რომელმაც თავის აქტივში 27 ქულა, 6 მოხსნა და 4 შედეგიანი პასი ჩაიწერა. ენტონი აგრძელებს ლიდერობას სნაიპერთა დავაში და ერთადერთ მოთამაშედ რჩება ლიგაში, რომელმაც სეზონის ყველა მატჩში მოახერხა მინიმუმ 20 ქულის მოგროვება. ასეთი ბრწყინვალე გამოსვლით მელომ გაიმეორა, 984-85 წლებში **ალექს ინგლიშის** მიღწევა.




### დღის გმირი

ის, რაც გასულ ღამეს სტივენ კარიმ და მონტა ელისმა (და „გოლდენ სტეიტის" კიდევ ოთხმა კალათბურთელმა) გააკეთეს, კალათბურთის ნებისმიერი გულშემატკივრის აღფრთოვანებას იმსახურებს. ექვსი კაცით სტუმრად „დალასის" დამარცხება - ეს ნამდვილად გმირობის ტოლფასია. თანაც არა უბრალო, არამედ ბოლო წამებზე მოპოვებული გამარჯვება, როცა ბრძოლისთვის ძალა აღარ არის დარჩენილი.

„უორიორზის" მცველებმა ამ შეხვედრაში მთავარი როლები ითამაშეს - კარის გმირობაზე ზემოთ უკვე ვახსენეთ, ელისის ბრწყინვალე თამაშზე კი მისი სტატისტიკა მეტყველებს - 48 წუთი, 37 ქულა (თამაშიდან 29 ტყორცნა და 15 ზუსტი, ცხრა საჯარიმოდან შვიდი ჩაგდებული), რვა გადაცემა, ოთხი მოხსნა და ოთხი ჩაჭრა.

აქვე უნდა ვახსენოთ „გოლდენ სტეიტის" სხვა გმირები, რომლებმაც ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში დაიდეს წილი - **ვლადიმირ რადმანოვიჩი** (14 ქულა, 12 მოხსნა), ენტონი მოროუ (27 ქულა, 9 მოსნა, 5 პასი), **მიკი მური** (6 ქულა, 11 მოხსნა) და **ენტონი რენდოლფი** (9 ქულა, 6 მოხსნა).

### ეს დღე ისტორიაში

1949 წლის 24 ნოემბერს „სირაკუზ ნეიშენზმა" ხუთი ოვერტაიმის ჩატარების შემდეგ დასძლია „ანდერსონ პეკერსის" წინააღმდეგობა. ეს მატჩი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიისთვის ორი რეკორდით არის აღსანიშნავი. „პეკერსმა" 66 (!) პერსონალური ჯარიმა შეაგროვა, სულ კი ორივე გუნდმა 121-ჯერ დაარღვია თამაშის წესი.

1960 წლის 24 ნოემბერს **უილტ ჩემბერლენმა** „ფილადელფიას" რიგებში 55 მოხსნა გააკეთა, რითაც ერთ მატჩში მოპოვებული მოხსნების რაოდენობით NBA-ის რეკორდი დაამყარა. ეს საჩვენებელი მატჩი „ფილადელფიამ" „ბოსტონ სელტიქსის" წინააღმდეგ ჩაატარა, რომელსაც სათავეში **ბილ რასელი** ედგა - ჩემბერლენის მთავარი მეტოქე მთელი კარიერის განმავლობაში. ამ მოვლენამდე ცხრა თვით ადრე, რასელმაც რეკორდი დაამყარა - 51 მოხსნა ერთ მატჩში.

**ტორონტო–ინდიანა 123:112**

39:31, 35:22, 26:39, 23:20

ტ: კალდერონი (21+7 პასი), ჯეკი (18+6 პასი), ბოში (16+12 მოხსნა+4 დაფარება), თურქოგლუ (14+7 პასი+3 დაფარება), ბარნიანი (14+7 მოხსნა), ნესტეროვიჩი (12+7 მოხსნა), ბელინელი (11).

ი: გრეინჯერი (36+9 მოხსნა), ფორდი (16), დ. ჯონსი (12), რაში (11), მერფი (11+8 მოხსნა), ჰენსბრო (10).

**ვაშინგტონი–ფილადელ. 108:107**

23:22, 22:24, 40:29, 23:32

ვ: ჯეიმისონი (32+14 მოხსნა), ნ. იანგი (20), არენასი (17+8 პასი), ბლეტჩი (14).

ფ: ლ. უილიამსი (26), ტ. იანგი (23), დალემბერი (15+9 მოხსნა+4 დაფარება), ჯ. სმიტი (14), იგუოდალა (12+7 მოხსნა).

**დალასი–გ. სტეიტი 103:111**

27:25, 27:25, 28:28, 21:33

დ: ნოვიცკი (28+10 მოხსნა), ტერი (21+4 ჩაჭრა), გუდენი (14+12 მოხსნა+3 დაფარება), კიდი (5+10 მოხსნა+13 პასი).

გ-ს: ელისი (37+8 პასი+4 ჩაჭრა), მოროუ (27+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), კარი (18+6 პასი+3 ჩაჭრა), რადმანოვიჩი (14+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), მური (6+11 მოხსნა).

**დენვერი–ნიუ ჯერსი 101:87**

27:19, 28:24, 25:18, 21:26

დ: ენტონი (27), ნენე (17+9 მოხსნა+5 ჩაჭრა), აფლალო (15+8 მოხსნა), სმიტი (13).

ნ-ჯ: ელსტონი (19), ჰარისი (19+7 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ბუნი (7+12 მოხსნა).

**იუტა–ოკლაჰომა 94:104**

28:25, 24:28, 16:31, 26:20

ი: ბუზერი (26+7 მოხსნა), მილსეპი (19+7 მოხსნა), კირილენკო (14), ოქური (13), დ. უილიამსი (10+7 მოხსნა+9 პასი).

ო: დურანტი (28+8 პასი), გრინი (19+4 ჩაჭრა), უესტბრუკი (17).

**ლეიკერსი–ნიუ იორკი 100:90**

30:24, 25:21, 28:17, 17:28

ლ: ბრაიანტი (34+3 ჩაჭრა), არტესტი (17+7 მოხსნა), ბინუმი (17+8 მოხსნა), ფიშერი(12), პ. გასოლი (11+16 მოხსნა), ოდომი (5+12 მოხსნა).

ნ-ი: ჩენდლერი (15+7 მოხსნა), რობინსონი (15), დ. ლი (13+7 მოხსნა), დუგლასი (12), გალინარი (11).




კრივი

# ტრაგედია რინგზე

მექსიკური წარმოშობის ამერიკელი მოკრივე, 25 წლის **ფრანსისკო როდრიგესი** ფილადელფიაში გამართული ბრძოლიდან ორი დღისთავზე გარდაიცვალა. როდრიგესი რინგზე თანამემამულე **ტეონ კენედის** დაუპირისპირდა და მეათე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. მოკრივე 22 ნოემბერს გარდაიცვალა, მაგრამ მისმა პრომოუტერმა **დომინიკ პესოლიმ** ინფორმაცია ორი დღის შემდეგ გაავრცელა.

ორთაბრძოლის მეათე რაუნდში კენედიმ მოწინააღმდეგეს რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა და ბრძოლა შეწყდა. გონდაკარგული როდრიგესი საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც მას ტვინზე ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ ექიმებმა ვერ მოახერხეს სპორტსმენის გადარჩენა.

კენედისთან ბრძოლამდე ფრანსიკომ პროფესიულ რინგზე 16 ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგანაც 14 მოიგო და ორჯერ დამარცხდა. როდრიგესს საკმაოდ წარმატებული კარიერა ჰქონდა - 2001 წელს Golden Gloves-ის ამერიკული პირველობა მოიგო. პროფესიულ სპორტში ამერიკელი 2005 წელს გადავიდა და იქ 55.3 წონით კატეგორიაში გამოდიოდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# მოუხელთებელი ჯო

| მონრეალი-კოლამბუსი | 5:3 |
|---|---|

1:2, 1:1, 3:0

გოლები: 1:0 კამალერი-12 (ა. კოსტიცინი-8, პლეკანეცი-18), 1:1 ვერმეტი-5 (ნეში-12, სტრალმანი-11), 1:2 სტრალმანი-4 (ნეში-13, ტიუტინი-12), 2:2 მ-ა. ბერჟერონი-4 (გორჯესი-3, პლეკანეცი-19), 2:3 ვერმეტი-6 (ტორესი-4, ბრასარი-11), 3:3 მეტროპოლიტი-5 (ჰამრლიკი-4, პასიორეტი-4), 4:3 მ-ა. ბერჟერონი-5 (რ. უაიტი-2, პასიორეტი-5), 5:3 ლაპიერი-2 (ა. კოსტიცინი-1).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 24 | 16 | 8 | 0 | 32 |
| 2. ვაშინგტონი* | 24 | 13 | 5 | 6 | 32 |
| 3. ოტავა* | 21 | 12 | 6 | 3 | 27 |
| 4. ნიუ ჯერსი | 21 | 14 | 6 | 1 | 29 |
| 5. ბაფალო | 20 | 12 | 6 | 2 | 26 |
| 6. ბოსტონი | 23 | 11 | 8 | 4 | 26 |
| 7. ფილადელფია | 21 | 12 | 8 | 1 | 25 |
| 8. ტამპა ბეი | 21 | 9 | 5 | 7 | 25 |
| 9. რეინჯერსი | 23 | 12 | 10 | 1 | 25 |
| 10. მონრეალი | 24 | 12 | 11 | 1 | 25 |
| 11. აილენდერსი | 24 | 9 | 8 | 7 | 25 |
| 12. ატლანტა | 20 | 10 | 7 | 3 | 23 |
| 13. ფლორიდა | 22 | 10 | 9 | 3 | 23 |
| 14. ტორონტო | 22 | 4 | 11 | 7 | 15 |
| 15. კაროლინა | 23 | 5 | 13 | 5 | 15 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე* | 25 | 16 | 5 | 4 | 36 |
| 2. ჩიკაგო* | 22 | 15 | 5 | 2 | 32 |
| 3. კოლორადო* | 24 | 14 | 7 | 3 | 31 |
| 4. კალგარი | 22 | 13 | 6 | 3 | 29 |
| 5. დალასი | 23 | 11 | 6 | 6 | 28 |
| 6. ლოს ანჯელესი | 24 | 13 | 9 | 2 | 28 |
| 7. ნეშვილი | 22 | 13 | 8 | 1 | 27 |
| 8. კოლამბუსი | 23 | 12 | 8 | 3 | 27 |
| 9. ფინიქსი | 24 | 13 | 10 | 1 | 27 |
| 10. დეტროიტი | 22 | 11 | 7 | 4 | 26 |
| 11. ვანკუვერი | 23 | 12 | 11 | 0 | 24 |
| 12. ედმონტონი | 24 | 10 | 11 | 3 | 23 |
| 13. სტ. ლუისი | 21 | 8 | 9 | 4 | 20 |
| 14. ანაჰაიმი | 22 | 8 | 11 | 3 | 19 |
| 15. მინესოტა | 22 | 8 | 12 | 2 | 18 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 33 (14+19) |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 32 (18+14) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 32 (7+25) |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 28 (18+10) |
| კორი პერი (ანა) | 28 (13+15) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 28 (7+21) |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 27 (14+13) |
| რიკ ნეში (კოლამ) | 27 (14+13) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 27 (13+14) |

| გოლები | |
|---|---|
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 18 |
| დენი ჰიტლი (ს-ხოს) | 18 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 16 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 16 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 15 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 14 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 14 |
| რაიან მელოუნი (ტ-ბეი) | 14 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 14 |

| პასები | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 25 |
| ტომაშ კაბერლე (ტორ) | 22 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 22 |
| მაიკ გრინი (ვაშ) | 21 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 21 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 19 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 19 |
| ნიკ ანტროპოვი (ატლ) | 19 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 19 |
| ტომაშ პლეკანეცი (მონ) | 19 |



კვირის ტრადიციული მიმოხილვა საუკეთესო გუნდის არჩევით იწყება. ამჯერად ეს სტატუსი "ნეშვილ პრედატორზს" ერგო. ეს გუნდი მონატრებული იყო გამარჯვებებს და ამჟამინდელმა ექვსმატჩიანმა მოგებათა სერიამ სულზე მიუსწრო. გასულ კვირას ტენესის შტატის ბინადარმა ნადირობა ყველა მსუყე ლუკმით დაიწყო - 4:3 დაამარცხა სანხოსელი "ზვიგენები". ამას მოჰყვა ბულიტების სერიაში ნიუჯერსელი "ეშმაკებისა" და "კოლამბუსის" ძლევა. "პრედატორზმა" ნადირობა დეტროიტელი "ფრთებით" დაასრულა - 3:1.

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გატარებული 11 სეზონის შემდეგ "ნეშვილის" ამბიციები გაიზარდა: გუნდმა უკვე მოასწრო დასავლეთი კონფერენციის პლეი ოფში გამოსვლა, მაგრამ ტიტულის მოგებაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. რამდენად მომზადებულია ამ სეზონისთვის ეს გუნდი, ამას გაზაფხულზე გავიგებთ, როცა სტენლის თასის გათამაშება ყველას კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

## კვირის მოთამაშე

**ჯო ტორნტონის** ბრწყინვალე კარიერის დასაწყისი დაახლოებით "ნეშვილის" შექმნის პერიოდს ემთხვევა. "სან ხოსეს" ლიდერი გასულ კვირას ისევე ბრწყინავდა, როგორც კვირის საუკეთესო გუნდად აღიარებული "პრედატორზი". ჯოს 8 ქულამ (2+6) "შარქსს" ორ მატჩში გაამარჯვებინა. შესაბამისად, "სან ხოსე" ლიდერობს დასავლეთ კონფერენციას, ხოლო ტორნტონი, რომელსაც NHL-ში 600 შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა, ამ სეზონში ლიგის საუკეთესო ასისტენტი გახლავთ.

სეზონის ყოფილი საუკეთესო მოთამაშე კარგად უხამებს ერთმანეთს კარიერულ მიღწევებსა და კლუბის წარმატებებს, მაგრამ ეს ფორმულა ჯერჯერობით მხოლოდ სტენლის თასისთვის ბრძოლის საწყის სტადიაზე მუშაობს. როგორც წესი, რეგულარულ ჩემპიონატში "შარქსის" სოლიდურ თამაშს პლეი ოფის ეტაპზე ლოგიკური გაგრძელება არ მოჰყვება ხოლმე.

## კვირის ხასიათი

"კაროლინამ" წლევანდელი სეზონი 14-მატჩიანი მოუგებელი სერიით დაიწყო, ბოლო ცხრა მატჩში კი უკვე გამარჯვებას მიაღწია. გასულ კვირას "ჰარიკეინზმა" ორი თამაშის გადარჩენა შეძლო - "ტორონტოსთან" (6:5 ბულიტებით) და "ტამპა ბეისთან" (3:1).

საინტერესოა, რომ "ტორონტოსთან" მატჩის მსვლელობისას "კაროლინა" სამი შაიბით იყო ჩამორჩენილი. კანადური კლუბი ბოლო წუთზე კიდევ ერთხელ გავიდა წინ, მაგრამ **ერიკ კოულმა** სამი წამით ადრე გაათანაბრა ანგარიში.

## კვირის ტრავმა

ძალისმიერი ილეთების მოყვარულმა დეტროიტელმა მცველმა **ნიკლას კრონვალმა** სერიოზულად დაიზიანა მუხლი "მონრეალის" თავდამსხმელ **ჟორჟ ლარაკთან** ორთაბრძოლაში. ამ უკანასკნელმა კანადურად ხისტად და აგრესიულად ითამაშა, მაგრამ მის მოქმედებას ჯენტლმენობა აკლდა. შედეგად კრონვალს 4-8 კვირის გამოტოვება მოუწევს.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| ჰალი-ევერტონი | 3:2 |
| ფულჰემი-ბლექბერნი | 3:0 |

| იტალიის თასი | |
|---|---|
| კიევო-ფროსინონე | 2:0 |
| სიენა-ნოვარა | 0:2 |

| ავსტრია | |
|---|---|
| რაპიდი-შტურმი | 2:1 |
| ვინერი-ლინცერი | 4:1 |

| კვიპროსის თასი | |
|---|---|
| ანორთოსისი-აია | 6:0 |
| არისი-აეკ | 0:0 |
| აპოპ-აეპ | 4:1 |
| ერმისი-ენოსისი | 4:0 |

| ჩეხეთის თასი | |
|---|---|
| სლავია-კარვინა | 2:0 |

| სლოვაკეთის თასი | |
|---|---|
| ტრნავა-პეტრჟალკა | 3:0 |
| სლოვანი-მიიავა | 0:0 |

| პოლონეთი | |
|---|---|
| არკა-ლეჩია | 1:2 |

| პოლონეთის თასი | |
|---|---|
| ლეგია-კრაკოვია | 0:0 დ.დ. 2:0 |

| ხორვატიის თასი | |
|---|---|
| პომორაცი-დინამო | 0:2 |
| ოსიეკი-შიბენიკი | 1:1 |
| ზაგრები-ჰაიდუკი | 0:0 |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| ლევსკი-ლიტექსი | 2:2 |

| სერბეთის თასი | |
|---|---|
| ბორაცი-ოფკ | 0:2 |
| იაგოდინა-პარტიზანი | 1:2 |
| ვოივოდინა-სარტიდი | 1:0 |
| ცრვენა ზვეზდა-სპარტაკი | 3:2 |

| უნგრეთის თასი | |
|---|---|
| დიორი-ჰონვედი | 0:1 |
| უიპეშტი-ვიდეოტონი | 1:0 |

| ურუგვაი | |
|---|---|
| რივერ პლეიტი-სერო ლარგო | 1:4 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| ხიმკი-პროკომი | 89:67 |
| პანათინაიკოსი-ოლდენბურგი | 96:63 |
| ვილერბანი-ციბონა | 71:68 |
| ჟალგირისი-ფენერბაჰჩე | 78:84 |
| ოლიმპია-რომა | 87:70 |

| გერმანია | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ტუბინგენი | 55:65 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ავტომობილისტი-ცსკა | 1:4 |
| მეტალურგი (მ)-ვიტიაზი | 5:3 |
| ტრაქტორი-ტორპედო | 1:4 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პარდუბიცე-ზლინი | 4:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ლონდონი | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-სიოდერლინგი | 6:7, 1:6 |
| ნადალი-დავიდენკო | 1:6, 6:7 |

TV პროგრამა

**26 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:20 100% დინამო.
09:45 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
11:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რეალი-ციურიხი.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ალკმაარი-ოლიმპიაკოსი.
14:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. პორტუ-ჩელსი.
16:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ვოლფსბურგი.
18:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
19:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:45 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ფინალი. ლიგა დე კიტო-ფლუმინენსე.
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:35 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:50 კალათბურთი. ევროლიგა. V ტურის მიმოხილვა.
23:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ევროლიგა. V ტური. მონტეპასკი-ბარსელონა (LIVE).
01:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:25 კალათბურთი. ევროლიგა. V ტური. ხიმკი-პროკომი.
03:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. აპოელ-ატლეტიკო.
04:55 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი.
06:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
07:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

**SPORT 2 (უკრაინა)**

09:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ვოლფსბურგი.
11:05 ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი.
13:05 კალათბურთი. ევროლიგა. V ტური. ხიმკი-პროკომი.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
16:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-კოლამბუსი.
17:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბორდო-იუვენტუსი.
19:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. პორტუ-ჩელსი.
21:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რეალი-ციურიხი.
23:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მილანი-მარსელი.
01:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-კოლამბუსი.
02:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
03:35 კალათბურთი. ევროლიგა. V ტური. მონტეპასკი-ბარსელონა.
05:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ვოლფსბურგი.
07:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. პორტუ-ჩელსი.

**EUROSPORT**

11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
12:00 რალი. დაკარი.
12:15 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. სეზონის მიმოხილვა.
12:45 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. სამხრეთ კორეა.
14:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 85 კგ. სამხრეთ კორეა (LIVE).
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS 131. ჰაკუბა. იაპონია.
18:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. სამხრეთ კორეა.
19:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 85 კგ. სამხრეთ კორეა.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. კლიგენტალი. გერმანია.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS 142. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 რესტლინგი.
02:45 მულტისპორტი.
03:00 რესტლინგი.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS 142. კუუსამო. ფინეთი.
04:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

მძლეოსნობა

# სპორტის დედოფალი წესებს იცვლის

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი ფორმატი დაამტკიცა, რომელმაც სპორტის დედოფალს პოპულარობის ახალი ტალღა და მეტი შემოსავალი უნდა მოუტანოს.

ექსპერიმენტს სტარტი 2011 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მიეცემა, რომელსაც სამხრეთ კორეის დედაქალაქი დეგუ უმასპინძლებს. განახლებული პროგრამა სეზონის მთავარ ტურნირს უფრო საინტერესოსა და დინამიკურს გახდის. საღამოს პრაიმტაიმზე გულშემატკივარს ყველაზე საინტერესოს აჩვენებენ - სარეიტინგო ნახევარფინალებსა და ფინალებს. თანაც საღამოს სესია სამ საათზე მეტხანს არ გაგრძელდება და ყოველდღე მინიმუმ ექვს გამარჯვებულს გამოავლენს.

■ ■ ■

IAAF-ში რეფორმისტული განწყობა კარგა ხნის წინ გაჩნდა, მაგრამ საჯაროდ ამის შესახებ ლაპარაკი წელს ბერლინში საერთაშორისო კონგრესის დროს დაიწყეს. მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება პირველი ფალსტარტის შემდეგ სპორტსმენის დისკვალიფიკაციის შესახებ, აგრეთვე განიხილეს მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამაში სავარაუდო ცვლილებები. გარდაქმნების მიზეზი მარტივია. მიუხედავად იმისა, რომ მძლეოსნობა სპორტის დედოფლად არის წოდებული, მისი პოპულარობა აშკარად მოიკოჭლებს. ახალგაზრდები სარბენ ბილიკზე გასვლას ფეხბურთს ამჯობინებენ, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ტრიბუნები სანახევროდ არის შევსებული, იკლო ტელეაუდიტორიამ...

ამ მომენტამდე პროგრამა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდებოდა, ნაკლებად საინტერესო საკვალიფიკაციო შეჯიბრებებისა და ფინალების ნაზავს წარმოადგენდა. ასეთი რამ აღარ უნდა მოხდეს - მიჩნიათ ფედერაციაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩემპიონატის პირველ და ბოლო დღეს. ტურნირი უნდა დაიწყოს სირბილის ვარსკვლავური სახეობებით - 100, 400 და 800 მეტრი. ჩემპიონატის ბოლო ორი დღე (მერვე და მეცხრე, რომელიც უქმეებს ემთხვევა) მხოლოდ საღამოს პროგრამისგან იქნება შემდგარი. ერთი დღე უშუალოდ სპორტულ სიარულსა და მარათონს მიეძღვნება. დანარჩენი ყველაფერი ძველებურად დარჩება - ჩემპიონატის ხანგრძლივობა ცხრა დღე და დილის საკვალიფიკაციო სესიები.

ორგანიზატორები განრიგს ისე შეადგენენ, რომ სპორტსმენებმა შეძლონ ორ მსგავს დისციპლინაში მონაწილეობა: 100 და 200 მეტრი, 200 და 400 მეტრი, 800 და 1500 მეტრი, 5000 და 10000 მეტრი, სიგრძეზე ხტომა და სამხტომი, შვიდჭიდი და სიგრძეზე ხტომა. შუბისა და უროს ტყორცნაში, აგრეთვე ჭოკით ხტომაში კვალიფიკაციასა და ფინალს შორის კვლავ ერთი დღე დასვენება იქნება. სხვები - ბადროს მტყორცნელები, ბირთვის მკვრელები, სიგრძეზე მხტომელები და სამხტომელები კვალიფიკაციიდან მომდევნო დღეს გავლენ ფინალში საასპარეზოდ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



**ჩოგბურთი.** ATP-ის ჩემპიონატი

# პირველი!

## რობინ სიოდერლინგმა ნადალის შემდეგ ჯოკოვიჩიც გაანადგურა

**რობინ სიოდერლინგი** აღარ ხუმრობს. სკანდინაველი ჩოგბურთელმა, რომელიც ამერიკელი **ენდი როდიკის** ტრავმის წყალობით მოხვდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე, ზედიზედ მეორე სენსაცია შემოგვთავაზა. **რაფაელ ნადალის** დამარცხების შემდეგ, როლან გაროსის ვიცე-ჩემპიონი სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** გაუსწორდა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სიოდერლინგმა ორივე ვარსკვლავს ერთი სეტიც არ დაანება.

ამ გამარჯვებით წლევანდელი როლან გაროსის ფინალისტმა პრაქტიკულად გაინაღდა ნახევარფინალში თამაში. გარდა ამისა, მან კარიერაში პირველად დაამარცხა სერბი ჩოგბურთელი და თან შეწყვიტა ნოვაკის 11-მატჩიანი მოგებათა სერია, რომლის დროსაც ჯოკოვიჩმა მოიგო „500“ კატეგორიის ბაზელის ტურნირი და პარიზის მასტერსი.

შეხვედრაში, რომელიც საათსა და 37 წუთს გაგრძელდა, ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში იყო, სადაც ჩოგბურთელებმა აბსოლუტურად თანაბარი თამაში აჩვენეს. მეტოქეებმა ვერც ერთი ბრეიკი ვერ გააკეთეს და ურთიერთობის გარკვევა ტაი-ბრეიკზე გააგრძელეს. აქაც 4:4-მდე რთული იყო რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება, მაგრამ სიოდერლინგმა ზედიზედ ორი გათამაშების მოგებით ორი სეტ-პოინტი მიიღო და მეორე ცდაზე მოიგო პარტია - 7:6 (5).

მეორე სეტში ჯოკოვიჩმა პრაქტიკულად შეწყვიტა წინააღმდეგობა. პირველი ბრეიკი სიოდერლინგმა მესამე გეიმში გააკეთა. იგივე განმეორდა მეხუთე და მეშვიდე გეიმებში, რამაც სერბის განადგურება გამოიწვია - 1:6.

როგორც ჩანს, ბოლოდროინდელმა გამარჯვებებმა ჯოკოვიჩს დიდი ენერგია გამოაცალა და ნოვაკი მზად არ აღმოჩნდა ზედიზედ მესამე ტურნირში მაღალ დონეზე სათამაშოდ. „ჯოკერმა“ მძიმე სიტუაციაში ჩაიყენა თავი, რადგან ბოლო ტურში რაფაელ ნადალთან მოუწევს ბრძოლა, რომელსაც ასევე მართებს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება. ესპანელი გუშინ, გვიან ღამით პირველ ტურში მასსავით ხელმოცარულ რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** ხვდებოდა.

*„დღეს მე თამაშისგან სიამოვნება ვერ მივიღე. ძალიან დაღლილი ვიყავი, რადგან მთელი წლის განმავლობაში სრულად გამოვიფიტე. სეზონში განსაკუთრებულად ბევრი მატჩი არ ჩამიტარებია, უბრალოდ ყველა ტურნირზე მაქსიმალურად კონცენტრირებული ვიყავი და ამან ბევრი ენერგია წამართვა. არც კი ვიცი, მოვასწრებ თუ არა ნადალთან მატჩისთვის ძალების აღდგენას.*

*სიოდერლინგს ამ ტურნირზე დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ეს მისი პირველი შემაჯამებელი ჩემპიონატია კარიერაში. მან აქ ორივე მატჩი ორ სეტში მოიგო და აბსოლუტურად დამსახურებულად მოიპოვა ნახევარფინალის საგზური. რობინი ლონდონში ჯერჯერობით ყველაზე კარგად თამაშობს“,* - განაცხადა ნოვაკ ჯოკოვიჩმა.

ახლა კი წლის შემაჯამებელი ტურნირის ერთ-ერთი მთავარი მოვლენის შესახებ. A ჯგუფის მეორე შეხვედრაში შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ძველი მეტოქე - ბრიტანელი **ენდი მიურეი** დაამარცხა (3:6, 6:3, 6:1). ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2009 წლის სეზონს ფედერერი პირველი ჩოგნის რანგში დაასრულებს.

*„ეს არის ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, რაც კი ოდესმე კარიერაში მქონია. ურთულესი შარშანდელი სეზონის შემდეგ, წელს შევძელი რეიტინგში ლიდერობის დაბრუნება და მთელი სეზონის განმავლობაში დომინირება. და ეს იმ დროს, როცა მსოფლიოს ჩოგბურთში კონკურენციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ასე რომ, ეს შესანიშნავი მიღწევაა და განსაცვიფრებელი გრძნობა მეუფლება“,* - აღიარა ფედერერმა.

ზედიზედ ორი გამარჯვების მიუხედავად, როჯერს ჯერ არ აქვს განაღდებული მერვედფინალში თამაში - თუ ბოლო ტურში **ხუან მარტინ დელ პოტრო** ფედერერს ორ სეტში მოუგებს, ხოლო **ენდი მიურეი ფერნანდო ვერდასკოს** დაამარცხებს, შვეცარიელი შარშანდელის მსგავსად ჯგუფში ჩარჩება, ხოლო თუ არგენტინელი სამ სეტში გაიმარჯვებს, მაშინ გეიმების სხვაობას დაითვლიან.

მეორე ტურში ფედერერი თავის კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქეს - ენდი მიურეის ხვდებოდა. „დიდი სლემის“ ტურნირების 15-გზის ჩემპიონს მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, როცა ბრიტანელმა მასზე ერთით მეტი ბრეიკი გააკეთა და პარტია 6:3 მოიგო.


როჯერ ფედერერი

ფედერერმა პირველ ტურში ფერნანდო ვერდასკოსთანაც წააგო პირველი სეტი, მაგრამ შემდეგ შანსი არ დაუტოვა მეტოქეს. ამჯერადაც ასე მოხდა. დარჩენილ ორ პარტიაში მიურეი მხოლოდ თავიდან ეწინააღმდეგებოდა როჯერს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში შვეიცარიელი უფრო ზუსტი და აგრესიული იყო. მეორე სეტში ფედერერმა ერთი ბრეიკის წყალობით გაიმარჯვა. მესამე პარტიაში კი 1:1-ზე ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ ტურნირზე საკუთარი ამბიციები.

შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა. ეს იყო ფედერერის მეოთხე მოგება მიურეის წინააღმდეგ. სულ ეს ჩოგბურთელები მეათედ შეხვდნენ ერთმანეთს და უპირატესობა ბრიტანელის სასარგებლოდაა - 6:4.

**გია თვალაბეიშვილი**

